



# ეპოქა

სუთმოქმედების  
ტრაგედია

1787

## მოქმედი პირნი

მარგარიტა პარმელი, კარლოს მენუთის ასული, ნიდერლანდების მმართველი-

გრაფი ეგმონტი, პრინცი გავრისა.

ვილჰელმ ორანელი.

ჰერცოგი ალბა.

ფერდინანდი, მისი უკანონო შვილი.

მაკიაველი, მმართველის მრჩეველი.

რიხარდი, ეგმონტის მდივანი.

სილვა, { ალბას ხელქვეითი.

კლერხენი, ეგმონტის სატრაფი.

მისი დედა.

ბრაკენბურგი, მოქალაქე.

სოესტი, მეწვრილმანე.

იეტერი, თერძი.

დურგალი,

საპანის მხარეში, { ბრიუსელის მოქალაქენი.


ბუიკი, ეგმონტის ხელქვეითი ჯარისკაცი.

რუისუმი, ყრუ ინვალიდი.

ფანსენი, მწერალი.

ხალხი, ამაღლა, გუშაგები და სხვა პირნი.

მოქმედება სწარმოებს ბრიუსელში.



## პირველი მოქმედება

### სასკოლო მოვლანი

ჯარისკაცები და მოქალაქენი მშვილდ-ისრებით.  
იეტერი, ბრიუსელის მოქალაქე, თერი. გამოდის წინ და მოსწევს მშვილდის  
ლამბს. სოესტი, ბრიუსელის მოქალაქე, მეწერილმანე.

სოესტი. აბა, ესროლეთ და გავათაოთ. მაინც ვერ მაჯობებთ. სამ შავ წრეს მთელ თქვენს სიცოცხლეში ვერ მოახვედრებთ. წელს მე დაერჩები გამარჯვებული.

იეტერი. გამარჯვებულ-ცა და მეფეც. ვინ გედავებათ? სამა-გიეროდ, ორმაგად მოგიხდებათ ჯიბიდან ფულის ამოკაჭვა; უნდა გაგვიმასპინძლდეთ თქვენს მიერ მოპოებულ გამარჯვებისათვის, როგორც ამას სამართლიანობა მოითხოვს.

ბუიკი. ჰოლანდიელი, ვემონტის ხელქვეითი ჯარისკაცი.

ბუიკი. ვყიდულობ თქვენს გასროლას, იეტერი, მოგებასაც შუაზე გაგიყოფთ და ამ ბატონებსაც დაეპატიებ. ამდენი ხანი აქა ვარ და ბევრი პატივისცემა მახსოვს. თუ ავაცილე, ისე ჩაითვლება, თითქოს თქვენ გესროლოთ.

სოესტი. მაგ პირობაზე არ უნდა დაგთანხმებოდით, რადგან ამით სინამდვილეში მე ვზარალობ. მაგრამ, ესროლეთ ბუიკ, თანახმა ვარ.

ბუიკი (ესვის). აბა, მსაჯო; მაქვს პატივი!.. ერთი! ორი! სამი! ოთხი!

სოესტი. ოთხი წრე? გამარჯვება თქვენია!

ყველანი. მეფეს გაუმარჯოს, ვაშა! ვაშა! ვაშა!

ბუიკი. გმადლობთ, ბატონებო. ეს ჩემთვის დიდი პატივია! გმადლობთ პატივისცემისათვის.

იეტერი. ეგ თქვენს თავს დაუმაღლეთ.

რუისუმი, ფრისლანდელი, ყრუ ინვალიდი.

რუისუმი. იციოთ, რას გეტყვით?

სოესტი. როგორ მოგწონს, მოხუცო?

რუისუმი. აი, რას გეტყვით. ეგ თავის ბატონივით ისვრის, ეგმონტივით მარჯვედ ისვრის.

ბუიკი. მე იმასთან ბუზადაც არ გამოვჩნდები. ეგმონტსავეთ მარჯვედ თოფს ვერავინ ისვრის. არ გეგონოთ ეს მხოლოდ მაშინ, როცა ბედი სწყალობს ან კარგ გუნებაზეა; არა! როცა კი დაუმიზნებს, პირდაპირ შუაში არტყამს. სროლა იმასთან ვისწავლე. მე ხომ უხეირო ბიჭი ვიქნებოდი, იმასთან შემსახურა და არაფერი მესწავლა... მაგრამ ნუ დაივიწყებთ, ბატონებო, რომ მეფე არჩენს თავის ხალხს; მაშ ჩამოახით ღვინო მეფის ხარჯზე!

იეტერი. ჩვენში კი იციან, რომ ყოველი...

ბუიკი. მე ხომ თქვენებური არა ვარ, ამასთან მეფეც გახლავართ და არ დაგიდევთ თქვენს წესსა და ჩვეულებას.

იეტერი. მაშ ესპანელ მეფეზე უარესი ბრძანებულხარ. ის ვერ ვერ შეხება ჩვენს ადათ-წესებს.

რუისუმი. რაო?

სოესტი (ხმამღლა). მას სურს თვითონ გაგვიმასპინძლდეს და ის კი არა, რომ ყველა თავ-თავის წილს ჩამოვიდეს და მეფემ მხოლოდ ორი წილი გადაიხადოს.

რუისუმი. დაუთმეთ! მაგრამ ეს ადათად არ გადაიქცეს. ეგვეც მაგის ბატონის ჩვეულებაა: გულუხეობა, ხელგაშლილობა და სხვათა დაზოგვა, როცა საქმე კარგად მიდის.

(ღვინო მოაქვთ.)

ყველანი. მის უდიდებულესობას გაუმარჯოს! ვაშა!

იეტერი (ბუიკს). ესე იგი თქვენს უდიდებულესობას.

ბუიკი. თუ თქვენთან წესი ასეთია, გულითად მადლობას მოგახსენებთ.

სოესტი. რა თქმა უნდა, ნიდერლანდელი სულით და გულით ეგრე ადვილად ვერ დაღვეს ჩვენი ესპანელი უდიდებულესობის სადღეგრძელოს.

რუისუმი. ვის სადღეგრძელოს?

სოესტი (ხმამღლა). ესპანეთის მეფისას, ფილიპე მეორისას.

რუისუმი. ჩვენი ყოვლად მოწყალე მეფისა და ბატონისას? ღმერთმა დიდი ხნის სიცოცხლე მისცეს!

სოესტი. განა თქვენ ბატონი მამა, კარლ მეხუთე, უფრო მეტად არ გიყვარდათ?

რუისუმი. განუხვენოს უფალმა. აი, მეფე ის იყო. მთელ დედამიწაზე ხელი ჰქონდა გადაწვდენილი და ყველაფერში ყველას შემწე და ნუკეში იყო. წინ რომ შემოგყროდათ, იცე მოგესალმებოდათ, როგორც მეზობელი მეზობელს მიესალმება ხოლმე. თუ თქვენ შეკრთებოდით, ისე ალერსიანად მოგეტყუოდათ, რომ... დიახ, ხომ გამიგეთ... გამოდიოდა ხოლმე ფეხით ან ცხენით, მხლებელთა სულ მცირე რაზმით. ყელანი ვტიროდით, როცა მან თავის შერლს გადასცა სახელმწიფოს გამგებლობა. ეს კი, როგორ გითხრათ, თქვენ თვითონ მიმიხვდებით, სულ სხვანაირი კაცია, უფრო ხელწიფური...

იეტერი. აქ რომ იყო, ხალხს ერთხელაც არა სჩვენებია ისე, თუ არა ხელმწიფურად მორკმული. ამბობენ, სიტყვაძუნწიაო.

სოესტი. ეც საჩვენო ბატონი არ არის. ჩვენი მთავრები ჩვენსავით გულკეთილნი და მხარულნი უნდა იყვნენ. ნათქვამია, ილხინე და სხვაც მოალხინეო. თუმცა ჩვენ გულკეთილი სულელები ვართ, მაგრამ ნებას არავის მივცემთ, ვგზავრავდნენ და ვეზიზღებოდეთ.

იეტერი. მეფე, ჩემის აზრით, ძალზე ნწყალობელი ბატონი იქნებოდა, უკეთესი მრჩეველები რომ ჰყავდეს.

სოესტი. არა, არა! ხელმწიფეს არ მოვწონვართ ნიდერლანდელები, ხალხზე გული აქვს ავარდნილი, არ ვუყვარვართ; ჩვენ როგორღა უნდა შევიყვაროთ იგი? რატომ არის გრაფი ეგმონტი ყველასათვის ასე საყვარელი? ყველა ამჩნევს, რომ ჩვენი სიკეთე და კარგა ყოფნა სურს და ამიტომ შეეხარით იმას. მისი თვალეზიდან ნათლად გამოსკვივის სიმზიარულე, კეთილი ხასიათი და გულწრფელობა. მთელი თავისი ქონება ღარიბებზე აქვს გადაგებული. ისეაუბნაც კი უმართავს ხელს, რომელთაც არც თუ ისე დიდად უჭირთ. გაუმარჯოს გრაფ ეგმონტს! თქვენ გეუთვნით, ბუიკ, პირველი სიტყვა, დალიეთ თქვენი ბატონის სადღეგრძელო! ბუიკი. სულდით და გულით დავლევ. გრაფ ეგმონტს ვაშა!

რუისუმი. დღეგრძელობა სენ-კანტინთან გამარჯვებულს.

ბუიკი. გრაველინგენის გმირს გაუმარჯოს!

ყველანი. ვაშა!

რუისუმი. სენ-კანტინი იყო ჩემი უქანასქნელი ბრძოლა. სიარული მიპირდა, ძლივსღა მივათრევედი ჩემს მძიმე თოფს, მაგრამ, მოგეცა ლხენა, ფრანგებს ერთხელ კიდევ ავუწვი ყურები; გამოთხოვებისას კი მეც გადამიხადეს სამაგერო, მარჯვენა ფეხში დამპრეს ტყვიით.

ბუიკი. გრაველინგენი! აი, სად იყო, მეგობრებო, ყველაზე ცხარე ბრძოლა! მაგრამ ჩვენ გავიმარჯვეთ. ვანა რამე გადარჩათ იმ ვალონელ ქოფაკებს დაუწვავ-დაუდაგავი მთელს ფლანდრიაში? ჩვენ კი მათ მაგრა დაფუხილეთ გვერდები. დიდხანს გვიწევდნენ მედგარ წინააღმდეგობას ძველი ვალონელი მებრძოლები, მაგრამ ისე მივაწექით, ტყვიის ისეთ კორიანტელში გახვებით, ისე დავეწყეთ ჩეხვა, რომ სულ ცხვირ-პირი ჩავუმტერიეთ; შევარყეთ მათი რიგები. გრაფ ეკმონტს ცხენი მოუკლეს. დაიწყო საშინელი ბრძოლა: ხან ჩვენ დაგრევდით ხელსა, ხან კი ისევ მტერი გვძალავდა. ებრძოდა კაცი კაცსა, ცხენი ცხენს, რაზმი რაზმს გაშლილ ქვიშაან მინდორზე, ზღვის ნაპირას. უეცრად ვაისმა ზეცის გრგვინვის მსგავსი საშინელი გრიალი და მდინარის შესართავიდან ყუზბარები წვიმასავით წამოვიდა ფრანგებისაკენ. ესენი ინგლისელები იყვნენ, აღმირალ მალჩნის მეთაურობით, დიუჟიკრხენიდან შემთხვევით რომ გამოეცურათ ჩვენსკენ. მართალია, ისინი ბევრს ვერაფერს შეგვეწივნენ, მათ მხოლოდ პაწაწინა ხომალდებით შეეძლოთ ჩვენსკენ გამოცურვა, ისიც არასაკმარის სიახლოვეზე და მათი ნასროლი ყუმბარები ჩვენთან უფრო ცვიოდა, ვიდრე მტრის რიგებში, მაგრამ მაინც კარგი საქმე გვიყვეს: ვალონელებს თავზარი დაეცათ, ჩვენ კი უფრო გავმხნევედით. ჰოდა, ატყდა საშინელი ჭახა-ჭუხი მარჯვნივ თუ მარცხნივ! ზოგნი ამოეყოლიტეთ, ზოგნი მდინარეში გადაყარეთ. ვალონელები წყალში წამივე იძირებოდნენ, ჰოლანდიელებს კი წყლისა სულაც არ გვეწინია; როგორც კი გადაცვივდნენ, ჩვენც სიხარულით თან გადავყვეით. ჩვენ ხომ წყალში ბაყაყებივითა ვცურავთ. ჰოდა, ისე ვკუწავდით მტრებს, ვაფლებდით ტყვიით მუსრს, როგორც იხვებს. ვინც ცოცხალი გაგვიძვრა ხელიდან ნაპირზე, ისინი თქვენებურმა დედაკაცებმა გაულ ტეს თოხებითა და ფიწლებით. მაშინ კი ძალა დაადგა ვალონელ უდიდებულესობას და გამოგვიწოდა თათი მშვიდობიანობა.

ბის სათხოვნელად. ჰოდა, ახლა ჩვენ უნდა გვიმადლოდეთ ამ მშვიდობიანობას, დიდ ეგმონტს უნდა უმადლოდეთ.

ყველანი. ვაშა! დიდ ეგმონტს ვაშა! ვაშა და კიდევ ვაშა!

იეტერი. მარგარიტა პარმელის მაგიერ ნეტავი ის დაესვათ მმართველად!

სოესტი. არც ეგრა საქმე! კაცმა მართალი უნდა თქვას. მარგარიტას ლანძღვის ნებას არავის მივცემ. ახლა ჩემი რიგია, ყმაწვილებო. გაუმარჯოს ჩვენს მოწყალე ქალბატონს!

ყველანი. გაუმარჯოს!

სოესტი. მართლაც, მშვენიერი ქალები გამოდიან ამ სამეფო სახლიდან. გაუმარჯოს მმართველს!

იეტერი. ჭკვიანია და ყოველ საქმეში თავდაჭერილი, რასაც კი აკეთებს; მხოლოდ ეს არის, რომ ძალზე მხარს უჭერს ხუცებსა. მსი წყალობითაა, თოთხმეტი ახალი საეპისკოპოსო მიტრა რომ მოემატა ჩვენს ქვეყანას. რა ოხრად გვინდა ჩვენ ესენი? ახლა უცხოელები უნდა წამოსხდნენ იმ კარგ ადგილებზე, სადაც წინათ მრევლისაგან არჩეული მოძღვრები იყვნენ. ასე არ არის? ჩვენ კი უნდა დავიჯეროთ, რომ ეს სარწმუნოების გაძლიერებისათვის მოხდა. როგორ არა! ჩვენ სამი ეპისკოპოსიც გვეყოფიდა: ყველაფერი პატიოსნად და წესიერად მიდიოდა. ახლა კი ყველა მათგანი ისე იქცევა, თითქოს სხვებზე მეტად ის იყოს საჭირო, და ამას ყოველ ნაბიჯზე ჩხუბი და აყალმაყალი მოსდევს. ჰოდა, ხომ მოგესხენებათ, სასმელს რაც მეტად შეანჯღრევ და შეაჭანჭყარებ. მით უფრო აიძღვრევა (სვაფენ.)

სოესტი. ეგ ხელმწიფის ნება-სურვილი იყო; მმართველი მის ბრძანებას ვერ გადავა.

იეტერი. ახლა ჩვენ ახალი ფსალმუნების გალობაც ავეიქრძალეს. მერე, რა მშვენიერად არიან გალექსილ-გაწყობილნი, რა სასიამოვნო, პირდაპირ სულის მაცხნებელი საგალობლებია. ჩვენ კი უფლება არა გვაქვს ვიმღეროთ ეს ფსალმუნები; უწმაწური სიმღერები კი, რამდენიც გვნებაგს. რატომია, რომ ჰკითხო, ასე გიპასუხებენ: ეგ მწვალელობააო, და ღმერთმა არ იცის, კიდევ რას არა სწამებენ იმ სიმღერებსა. მე თვითონ მიმღერია ისინი, მაგრამ მათში ამის მსგავსი არაფერი შემიმჩნევია, ტყუილად იგონებენ რალაცას.

ბუიკი. მე კი გეკითხებით: ჩვენს პროვინციაში რატომ ვმღერით ყველაფერსა, რაც კი გვსურს? იმიტომ, რომ ჩვენ მეფის-

ნაცვალი ეგმონტი გვყავს; ის ამ საქმეში სულაც არ ერევა... გენტში, იპერხში და მთელს ფლანდრიაში. ვისაც რა სურს, იმასა მღერის. (ხამაძლა) სასულიერო საგალობლებზე უცოდველი რაღა უნდა იყოს? ასე არაა, მამაო?

რუისუმი. რაღა თქმა უნდა. ეს ღვთისმსახურების, სულის საცხოვრებელი საქმეა.

იეტერი. ისინი კი ამბობენ, ფსალმუნები კარგად ვერ არის გაწყობილიო, ესე იგი, არა იმათებურად, და მუდამ საშიშია მათი თავისუფლად გალობაო. ინკვიზიციის მსახურნი ჩუმიად დაძვრებიან აქეთ-იქით და ყველაფერს თვალსურს აღევნებენ. რამდენი პატიოსანი კაცი გაუბედურდა მათი წყალობით. ბარემ სინდისიც შეგვილანძლონ, ეგლა აკლიათ. თავისუფლად მოქმედების ნებას თუ არ მაძლევენ, ფიქრსა და გალობას მაინც რაღას მიშლიან?

სოესტი. ინკვიზიცია ვერაფერს გახდება. ესპანელები კი არა ვართ, რომ ჩვენი სინდისის დამონების ნება ვინაჟს მიეცეთ. თავადაზნაურობა დროს ეძებს, რომ ინკვიზიტორებს ფრთები შეაკვეცოს.

იეტერი. საძაგელი დრო დაგვიდგა! ვთქვათ ამ კაი კაცებს მოეპრიანათ და სახლში იმ დროს შემოიცივიდნენ, როცა სამუშაოს ვუზივარ და ჩემთვის ფრანგულ ფსალმუნს ვლილინებ ისე, რომ არც კარგი და არც ცუდი აზრი თავში არ მიტრიალეს.— მაგრამ მაინც ვლილინებ, რადგან ყელზე მაღვას იგი,—ხომ მაშინვე მწვალებლად გამომაცხადებენ და ციხეში მიკრავენ თავსა. ანდა, ვთქვათ, გზად მივდივარ ჩემს მშობლიურ მიწაწყალზე, დავინახე შეგროვებული ხალხი და მეც შევჩერდი მათთან, რომ ახალმოსულ მქადაგებელს მოეუსმინო, ერთ-ერთ იმათგანს, ჩვენთან გერმანიიდან რომ შემოდიან, იმწამსვე აჯანყებულად ჩამთვლიან და შეიძლება სიკვდილითაც დამსაჯონ. თქვენ რომელიმე მათგანის ქადაგება მოგისმენიათ?

სოესტი. მამაცი ხალხია. ამასწინათ ერთ იმათგანს მოეუსმინე, რამდენიმე ათასი კაცის წინაშე რომ ლაპარაკობდა. ეს სიტყვა სულ სხვანაირად იყო შეზავებული, ვიდრე ჩვენი ხუცებისა, ეკლესიაში კათედრიდან რომ გაჰყვირიან და ლათინური დომხალით ხალხს მუცლებს უბერავენ. ეს მქადაგებელი კი სხარტად, ცოცხლად ლაპარაკობდა და გვიხსნიდა, დღემდე მღვდლები როგორ გვიხვედნენ თვალს, რანაირ უმეცრებასა და სიბნელეში

დაგვარჩინეს და როგორ შეგვიძლია რაც შეიძლება მეტი სწავლა-განათლების მიღება... ყოველივე ამას იგი თვითონ საღმრთო წერილის, ბიბლიის სიტყვებით ამტკიცებდა.

იეტერი. დიახ. შეიძლება მაგ ქადაგებაში რაღაც სიმართლე იყოს. ჩემს თავსაც ასე ვეუბნებოდი მუდამ და ღრმად ჩაუფიქრდი ამ საგანს. დიდი ხანია, რაც ეგ აზრი თავში მომივიდა.

ბუიკი. იმიტომაც აწყდება იმათ მთელი ხალხი.

სოესტი. არც გასაკვირია. კაცმა შეიძლება იმათგან რაიმე კარგი, რაიმე ახალი გაიგონოს.

იეტერი. მერედა, ამაში ცუდს რასა ხედავენ? დაე ყველამ ის იქადაგოს, რაც თვითონა სურს.

ბუიკი. აბა, გამხიარულდით, ბატონებო, ამ საუბარში თქვენ ღვინოც დაგვიწყებიათ და ვილჰელმ ორანელიც.

იეტერი. მისი დავიწყება როგორ შეიძლება! აი, ჩვენი ფარი და ხმალი. ოლონდაც კი ის მოაგონდეს კაცსა და მაშინვე გაიფიქრებს, შემიძლია ირანელის უკან ისე დავიმალო, რომ თვითონ ემმაკაც ვერაფერი დამაკლოსო. ვაშა! ვაშა ვილჰელმ ორანელს!

ყველანი. ვაშა! ვაშა!

სოესტი. აბა, მოხუცო, ახლა შენ წარმოსთქვი სადღეგრძელო!

რუისუმი. მოხუც სალდათებს გაუმარჯოს! გაუმარჯოს ყველა ჯარისკაცს! გაუმარჯოს ომს!

ბუიკი. ყოჩაღ, მოხუცო! ყველა ჯარისკაცს გაუმარჯოს! გაუმარჯოს ომს!

იეტერი. ომი, ომიო, რომ გაჰყვირით, იცით კი, რასა ჰყვირით? ენას რომ ძვალი არა აქვს და ზედ არაფერი მოედება, ეს ცხადზე ცხადია. მაგრამ თქმაც კი მიჭირს, თუ რა საძნელოა ჩვენთვის მაგ სიტყვის გაგონება. მთელი წელი ნაბათის ცემითა გვაქვს ყურები გამოჭედილი და იმის მეტი არა გვესმის რა, რომ ერთი რაზმი იქითკენ წავიდა, მეორე კი აქეთ მხარეს, როგორ გადაიარეს მათ ბორცვი და წისკვილთან როგორ შეჩერდნენ, რამდენი ჯარისკაცი იდგა აქ და რამდენი იქ, ბრძოლა როგორ ატყდა, ერთმა როგორ გაიმარჯვა და მეორე როგორ დამარცხდა. მაგრამ კაცი თავის დღეში მართალს ვერ გაიგებს, თუ ვინ გაიმარჯვა და ვინ დამარცხდა. ანდა გაიგონებ, ესა და ეს ქალაქი აიღესო, როგორ ამოჟლიტეს მამაკაცები და რა დაემართათ საბრალო დედაკაცებსა და უმწეო ბავშვებს. იცხოვრე მუდამ შინსა

და გაჭირვებაში და სულ იმის ფიქრში იყავ: ისინი აქაც მოვლენ და ჩვენც ასე დაგვემართებაო!

სოესტი. ამიტომ მოქალაქეც უნდა სწავლობდეს იარაღის ხმარებას.

იეტერი. დიახ, ვისაც ცოლ შვილი ჰყავს, ყველა სწავლობს. მაგრამ მე უფრო შორიდან მიყვარს ჯარისკაცებზე საუბარი, ვინემ იმათი ნახვა.

ბუიკი. ეგ საწყენი უნდა იყოს ჩემთვის.

იეტერი. ეს მე თქვენზე არ მიტკვამს, ჩვენებურო!.. მაშინდა ამოვისუნთქეთ თავისუფლად, როცა გადავურჩით ესპანელთა გარნიზონებს.

სოესტი. ალბათ ყველაზე მეტად შენ გაგიჭირებს საქმე.

იეტერი. ნუ კითხულობ, რაც შენი საქმე არ არის.

სოესტი. ძვირად დაგიჯდა მათი დებინავენბა?

იეტერი. ენა გააჩერე!

სოესტი. მათ ის გამოაგდეს სამზარეულოდან, მარნიდან, ოთახიდან და... საწოლიდანაც. (იციინიან.)

იეტერი. აი, შე ყყყეო!

ბუიკი. დამშვიდდით, ბატონებო! ნუთუ ჯარისკაცმა უნდა მოგიწოდოთ მშვიდობიანობისაკენ?.. რაკი ჩვენზე არაფრის მოსმენა არა გნებავთ, მაშინ დალიეთ თქვენი სადღეგრძელო, მშვიდობიან მოქალაქეთა სადღეგრძელო.

იეტერი. მაგისტვის მზად გახლავართ. ღმერთმა მოგვცეს სიმშვიდე და მოსვენება.

სოესტი. გაუპარჯოს წესრიგსა და თავისუფლებას!

ბუიკი. ყოჩაღ! ჩვენც ეგ გვინდა.

(ჭიქებს უკ ბუნებენ ერთმანეთს და სიხარულით იმეორებენ ამ სიტყვებს, მაგრამ ისე კი, რომ ერთის დაწყებულს მეორე გ ნაგრძობს და მესამე ამთავრებს. მათი შეძახილები გაისმის მუსიკალური საგალობლის მსგავსად. მოხუცი ყურს უგდებს და ბოლოს მათ აჰყვება.)

ყველანი. სიმშვიდე და მოსვენება! წესრიგი და თავისუფლება!

### მმართველის სასახლე

მარგარიტა პარმელი, სანადირო ტანსაცმელში გამოწყობილი.

კარისკაცები, პაქები და მსახურები.

მმართველი. ბრძანება გაცემთ, ნადირობა აღარ შესდგება; დღეს სანადიროდ აღარ მოვდივარ. მაკიაველს გადაეცით, ჩემთან გამოცხადდეს. (ყველანი გადიან.)

ეს საშინელი ამბები მოსვენებას აღარ მძლევს. არაფერი აღარ მახარებს, არაფერი აღარ მართობს; ისევ ის სურათები მიდგას თვალწინ, ისევ ის ჯავრი და საზრუნავი. მეფე, რა თქმა უნდა, იტყვის, რომ ეს თითქოს ჩემი გულკეთილობისა და შემწყნარებლობის ბრალი იყოს, მაგრამ ჩემი სინდისი სულ იმას მეუბნება, ძალზე კარგად, გონივრულად მოიქეციო. ნუთუ აჩქარებულს საშინელი რისხვის ქარიშხლით ეს ხანძარი უნდა გამეძლიერებინა? იმედი მქონდა, თუ მას გაძლიერების საშუალებას მოვუსპობდი, თავისთავად ჩაქრებოდა იგი. დიახ, რასაც საკუთარ თავს ვეუბნები, რაც მე თვითონ კარგად ვიცი, ჩემს თვალში ნამარცხებს. მაგრამ როგორ შეხედავს ამას ჩემი ძმა? იმის უარყოფა ხომ არ შეიძლება, რომ უცხოელ მქადაგებელთა თავხედობა დღითი დღე მატულობს? მათ შელანძღეს ჩვენი საკურთხეველი, ალაგზნეს ბრბოს ველური ინსტინქტები და მასში სიგიჟის თესლი მიმოჰფანტეს. შფოთისთავეს უწმინდური ხალხიც გაერია და მოხდა ის საშინელი საქმენი, რომლებზე ფიქრიც კი მზარავს. ეს ამბები სასახლეს ახლავე დაუმაღავ-დაუფარავად უნდა შევატყობინო, რომ ხალხის ხმამ ჩემს წერილზე აღრე არ მიაღწიოს მეფის ყურამდე და ხელმწიფემ არ გაიფიქროს, უფრო რალაც საშინელ ამბავს მიმალავენო. სხვა საშუალებას ვერა ვხედავ - ვერც მკაცრსა და ველარც ლმობიერს, რომ ეს უბედურება თავიდან ავიცილოთ. ეჰ, რანი ვართ, რას წარმოვადგენთ ჩვენ, ძლიერნი ამა ქვეყნისა, ცხოვრების ზღვაში? ჩენ გვგონია, რომ ვმბრძანებლობთ მისზე, ნამდვილად კი ის გვაქანებს, საითაც ნებავს: ზევით თუ ქვევით, აქეთ თუ იქით.

შემოდის მაკიაველი.

მზად არის ხელმწიფესთან გასაგზავნი წერილები?

მაკიაველი. ერთი საათის შემდეგ შევიძლიათ მათ ხელი მოაწეროთ.

მმართველი. ხომ დაწვრილებით აღწერეთ ყოველივე?

მაკიაველი. დაწვრილებით და საფუძვლიანად, როგორც მეფეს უყვარს. ჯერ აღწერე, თუ როგორ იფეთქა სენტ-ომერში ხატების წინააღმდეგ ამხედრებული ხალხის მძვინვარებამ, როგორ დაესხა თავს სამლოცველოებს, ტაძრებსა და მონასტრებს კეტებით, ნაჯახებით, ჩაქუჩებით, კიბეებითა და თოკებით აღჭურვილი, გადარეული ბრბო, შეიარაღებულ ამბოხებულთა მცირე ჯგუფის თანხლებით, როგორ გამოირეკა მლოცველები, ჩაღწა ქიშკრები, ყველაფერი თავდაყირა დააყენა, ძირს დაამხო საკურთხეველები,

დაამსხვრია წმინდანთა ქანდაკებები, გაანადგურა ხატები და ყოველივე, რაც კი შეხვდა წმინდა და ნაკუთხი, დაამსხვრია, დაღწა და მტერად აქცია. მერე ვწერ, თუ როგორ იზრდებოდა გზადაგზა აჯანყებულთა რიგები, როგორ გაუღეს მათ ალაყაფის კარები იპერნიის მცხოვრებლებმა, რა გაუგონარი სისწრაფით გააპარტახეს ამბოხებულებმა ტაძარი და ეპისკოპოსის ბებლიო-თეკას კი ცეცხლი წაუკადეს. შემდეგ კი მე მოვუთხრობ, თუ ხალხის დიდი ურდო, რომელიც იმავე სიგიჟით იყო შეპყრობილი, როგორ მოედო მენინს, კომინს, ფერვისს და ლილს, ისე, რომ არსად შეხვედრია რაიმე წინააღმდეგობას და თითქმის მთელ ფლანდრიაში ერთი წამის განმავლობაში გავრცელდა ეს საშინელი შეთქმულება.

მმართველი. ოჰ, რა ძლიერი ტკივილი აღმიძარი გულში მაგ ამბების ხელახალი მოყოლით. ამას თან ერთვის იმის შიშიც, რომ ეს უბედურება უფრო და უფრო გაიზრდება, გაძლიერდება. მითხარით თქვენი მოსაზრება, მაკიაველი!

მაკიაველი. მბაბტივთ, თქვენო უმაღლესობავ, მაგრამ მე ახლა მეოცნებე გახლავართ. თქვენ ყოველთვის კმაყოფილი ბრძანდებოდით ჩემი სამსახურით, მაგრამ იშვიათად იღებდით ჩემს რჩევას. არაერთხელ გითქვამთ ჩემთვის ხუმრობით: „ძლიერ შორს იმზიოები, მაკიაველი! შენ ისტორიკოსი უნდა ყოფილიყავი. ვინც მოქმედებს, იგი დღევანდელ დღისთვის უნდა ზრუნავდეს!“ განა მე წინასწარ არ მოგახსენეთ ეს ამბავი? მე ხომ აღრევე განკვირებულ ყოველივე?

მმართველი. მეც ბევრ რამესა ვხედავ წინასწარ, მაგრამ მისი შეცვლა არ შემიძლია.

მაკიაველი. ერთ სიტყვას მოგახსენებთ: თქვენ ახალ მოძღვრებას ვერ დათრგუნავთ. დაე იარსებოს, განაცალკევით მართლწოდებულ კათოლიკეთაგან, მიეცით ეკლესიები, მიანიჭეთ მოქალაქეთა უფლება, ოლონდ განსახლებული; და თქვენ ერთბაშად დაამშვიდებთ ამბოხებულებს. ყველა დანარჩენი საშუალება ამაოიქნება და ამით თქვენ მხოლოდ ააოხრებთ ქვეყანას.

მმართველი. ნუთუ დავავიწყდა, როგორი ზიზლით უკუაგდო ჩემმა ძმამ ეს კითხვა: ახალ მოძღვრებას მოთმინებით მოვეპყროთ თუ არაო. ნუთუ არ იცი, რომ ის ყოველ წერილში დაბეჯითებით მოითხოვს მტკიცედ დავიკვთ ჰეშმარიტი სარწმუნოება? რომ იგი სიმშვიდისა და ერთიანობის გულსათვის სარ-

წმუნოებას არაფრის დიდებით არ შეეღევა? განა მას თვითონ არ ჰყავს პროვინციებში გაშვებული ჯაშუშები, რომელთაც ჩვენ არ ვიცნობთ, რათა შეიტყონ, თუ ვინ არის გატაცებული ამ ახალი მოძღვრებით? განა მან თვითონვე არ დაგვისახელა, ჩვენდა გასაოცებლად, თუ ვინა და ვინ არის ჩვენს მახლობელთაგან მწვალებლობის ფარულად თანამგრძობელი? აკი გვიბრძანა, მედგრადა და სასტიკად იმოქმედებო? შენ კი გინდა, რომ ღმობიერება გამოვიჩინო? ნუთუ მე უნდა ვურჩიო მეფეს, რომ დასთმოს და მოითმინოს? განა მე ამით მის სიყვარულსა და ნდობას არ დავკარგავ?

მაკიაველი. კარგად ვიცი, მეფეს რაც განუზრახავს და რასაც გიბრძანებთ. თქვენ უნდა აღადგინოთ მშვიდობიანობა და მყუდროება იმ საშუალებით, რომელიც უფრო მეტად გაამწარებს ადამიანთა გულებს და რომელიც აუცილებლად ომის ხანძარს გააჩაღებს ყოველ კუთხეში. დაუფიქრდით, რას აკეთებთ. მწვალებლობით დასნეულებული არიან მდიდარი ეპისკოპები, აზნაურობა, ხალხი, ჯარისკაცები. რას გეიშველს ჩვენს აზრზე მტკიცედ დგომა, თუ ირგვლივ იცვლება ყველაფერი? ნეტავი კეთილმა ძალამ შთააგონოს ფილიპეს, რომ მეფეს უფრო შეჰფერის განაგოს ორი სარწმუნოების მიმდევარი მოქალაქენი, ვიდრე ისინი გაანადგურებინოს ერთიმეორეს.

მმართველი. აღარ მითხრა მაგისტანა სიტყვა. კარგად ვიცი, რომ პოლიტიკა იშვიათად იცავს რწმენასა და პატიოსნებას და რომ იგი ჩვენი გულებიდან სდევნის: ნდობას, სიბრალულსა და გულწრფელობას. სამწუხაროდ, ეს ნამდვილად ასეა ხოლმე ქვეყნიურ საქმეებში. მაგრამ ღმერთსაც ისე ხომ არ მოვეპყრობით, როგორც ერთმანეთს? ნუთუ ახლა გულგრილად უნდა მოვექცეთ ჩვენს ჰეშმარიტ სარწმუნოებას, რომლისთვისაც ამდენ კაცს თავი შეუწირავს? ნუთუ ჩვენ მას გავცვლით უცხო, საექვო წინააღმდეგობებით აღსავსე ახალ სარწმუნოებაზე?

მაკიაველი. ამის გამო ცუდს ნუ იფიქრებთ ჩემზე!

მმართველი. კარგად გიცნობ, მჯერა შენი ერთგულება და ისიც ვიცი, რომ ადამიანი შეიძლება ძალზე პატიოსანი და ქვეიანი იყოს და ამასთან სულის ცხონების პირდაპირ და სწორ გზას აცდენილი. არიან ისეთნი კაცნიც, მაკიაველი, რომელთაც მე დიდად ვაფასებ და თანაც ვკიცხავ.

მაკიაველი. ვისზე ბრძანებთ?



მმართველი. უნდა გამოგიტყდეთ, რომ დღეს ეგმონტმა დიდად მაწყენინა.

მაკიაველი. რით?

მმართველი. თავისი ჩვეულებრივი გულგრილობითა და თავქარიანობით. მე ის საშინელი ამბავი სწორედ იმ დროს შევიტყვე, როცა საყდრიდან გამოვდიოდი უამრავი ამალისა და ეგმონტის თანხლებით. გულისტკივილი ველარ შევიკავე, ხმამალა დავიწყე გოდება, მიუზბრუნდი ეგმონტს და შევძახე: „ხედავთ, რას ჩადიან თქვენს პროვინციებში? თქვენ კი ამას ითმენთ, თქვენ, რომელზეც მეფე ასე დიდ იმედებს ამყარებს“.

მაკიაველი. რა გიპასუხათ?

მმართველი. თითქოს არაფერი, თითქოს უბრალო რამე ყოფილიყო, ისე მომიგო: „მთავარია, ნიდერლანდელები დამშვიდებული იყვნენ, რომ მათ უფლებებს არავინ შეეხება, დანარჩენი ადვილად მოგვარდება!“

მაკიაველი. შეიძლება მის ნათქვამში უფრო მეტი სიმართლეა, ვინემ კჰუა და ღვთის მოშიშობა. როგორ შეიძლება ნიდერლანდელებმა ნდობა განიმტკიცოს, როცა იგი ხედავს, რომ საქმე მის ქონებას უფრო ეხება, ვიდრე მის კეთილდღეობასა და სულის ცხონებას. რა გააკეთეს ახალმა ეპისკოპოსებმა? უფრო მეტი სულელები იხსნეს, თუ ხელთ ჩაიგდეს მსუქანი საეკლესიო მიწები? ისინი ხომ, უმთავრესად, უცხოელები არიან! მართალია, სახელმწიფო თანამდებობანი ჯერ კიდევ ნიდერლანდელებს უკავიათ, მაგრამ ესპანელები თავისი ქცევით განა ყველას ნათლად არ აგრძნობინებენ, რომ ხარბი თვალით დაეძებენ ასეთ ადგილებს? განა ყოველ ხალხს არ სურს, რომ მას თანამემამულენი განაგებდნენ მშობლიურ ადამ-წყესების მიხედვით, და არა უცხოელები, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, ცდილობენ გამდიდრდნენ ადგილობრივ მცხოვრებთა ხარჯზე, ყველაფერს უცხო საზომით უდგებიან და ხალხზე ისე მბრძანებლობენ, რომ მის მიმართ არავითარი სიბრალული და თანაგრძნობა არ გააჩნიათ?

მმართველი. შენ ჩვენი მოწინააღმდეგის მხარეზე გამოდინხარ.

მაკიაველი. გულით, რა თქმა უნდა, არა, მაგრამ მინდა ჩემი გონებაც მთლიანად ჩვენს მხარეზე იყოს გადმოსული.

მმართველი. შენ რომ დაგიჯერო, მათ უნდა გადავცე ჩემი გამგებლობა. ეგმონტსა და ვილჰელმ ორანელს ხომ დიდი

იმედი ჰქონდათ, რომ ამ ადგილს მიიღებდნენ. მაშინ ისინი ერთმანეთის მტრები იყვნენ, ახლა კი მათ ჩემს წინააღმდეგ კავშირი შეკრეს, მეგობრები, განუყრელი მეგობრები გახდნენ.

მაკიაველი. ძლიერ საშიში წყვილია.

მმართველი. გულახდილად რომ ვთქვა, მეშინია ორანელისა და შიშს შეგუპყრეიარ ეგმონტის გულისათვის. ორანელს ბოროტი განზრახვა აქვს, მისი აზრები ძლიერ შორს მიდიან, იგი გულჩახვეული ადამიანია, თითქოს ყოველივეზე თანახმაა, არაფერზე შეგეწინააღმდეგებათ, დიდი მოწინააღმდეგეა, მაგრამ ძალზე მარჯვედ აკეთებს ყოველივეს, რაც კი ნებავს.

მაკიაველი. წინააღმდეგ ამისა, ეგმონტი ცხოვრებაში თავისუფალი, ფართო ნაბიჯებით მიდის, თითქოს მთელი ქვეყანა მას ეკუთვნოდეს.

მმართველი. თავი ისე მალა უჭირავს, გეგონება, მის უდიდებულესობას ეგმონტამდე ხელი ვერ მიუწვდებოდეს.

მაკიაველი. მთელ ხალხს თვალი მისკენ აქვს მიპყრობილი და გულიც მასზე მინდობილი.

მმართველი. ეგმონტი არაფერს არ მალავს, თითქოს მას პასუხს ვერვინ ვერ მოსთხოვდეს. მაგრამ იგი ეგმონტის სახელს ატარებს. სიამოვნებს, გრაფ ეგმონტს რომ უწოდებენ, თითქოს არ უნდა დაივიწყოს, რომ მისი წინაპრები გელდერნის მფლობელები იყვნენ. რატომ გავრის პრინცს არ უწოდებს თავის თავს, ეს სახელი ხომ უფრო შეჭერის მას? რატომ უკრება ამას? დაკარგული უფლებების აღდგენა ხომ არ ნებავს?

მაკიაველი. მე ის მეფის ერთგულ მსახურად მიმაჩნია.

მმართველი. რომ მოესურვებინა, რა სამსახურს არ გაუწევდა იგი მთავრობას! ამის ნაცვლად კი გამოუთქმელ წყენასა და მწუხარებას გვაყენებს იგი და თვითონაც ვერავითარ სარგებლობას ნახულობს ამით. მისი წვეულებანი, სტუმრიანობა და ნადიმები უფრო მტკიცედ აკავშირებს ერთმანეთთან თავდაზნაურობას, ვიდრე ყველაზე საშიშარი და საიდუმლო შეთქმულება. თავისი სადღეგრძელოებით ისე აბრჯებს სტუმრებს, რომ ისინი დიდხანს რჩებიან თავბრუდასხმულნი. რამდენჯერ აუღელვებია ეგმონტს ხალხი თავისი დამცინავი ხუმრობით და როგორ აოცებდა ბრბოს მისი მსახურების ახალი ლივრები, ზედგამოსახული სულელური ემბლემებით!

მაკიაველი. დარწმუნებული ვარ, რომ ამას აკეთებდა ყოველგვარი ბოროტი განზრახვის გარეშე.

მმართველი. ეგ საქმეს არა შევლის. როგორც უკვე ვთქვი, ეგმონტი ჩვენ დიდ ზიანს გვაყენებს და თვითონ კი ვერავითარ სარგებლობას ვერ ნახულობს. იგი სერიოზულ საქმეს ხუმრობად მიიჩნევს ხოლმე და, ჩვენც, უსაქმურობა და დაუდევრობა რომ არ დაგვწამონ, ხუმრობა სერიოზულ საქმედ უნდა მივიღოთ. ასე არის გადაბმული ერთი მეორეზე და, რაც გინდა თავიდან აიცილო, პირდაპირ თავს დაგატყდებოდა ხოლმე. დიახ, ეგმონტი უფრო საშიშია, ვინემ გაბედული მეთაური შეთქმულებისა; ძლიერ შემცდარი უნდა ვიყო, თუ სასახლის კარზეც ასევე არა ფიქრობენ მასზე. არ დაგიმალავთ, ისე დღე არ გავა, რომ ეგმონტი მა რაიმე ძლიერ არ მაწყენინოს, დიდად არ მატკინოს გული.

მაკიაველი. მე მგონი, ეგმონტი ყველაფერს ისე აკეთებს, როგორც საკუთარი სინდისი უყარნახებს.

მმართველი. მისი სინდისი მლიქვნელი, მატყუარა სარკვეა. მისი ყოფაქცევა ხშირად შეურაცხყოფელია ადამიანისა. თითქმის ყოველთვის ისე გამოიყურება, თითქოს ღრმად სწამს, რომ მეფეა და ამას თუ არ გვაგრძნობინებს, ეს ვითომ მხოლოდ თავაზიანობით მოსდის. თუ ამ ქვეყნიდან ჯერ არ გვერეკება, მხოლოდ იმის გამო, რომ ჰგონია, ეს თავისთავადაც მოხდება.

მაკიაველი. გვედრებით, ნუ გგონიათ, რომ მისი პირდაპირობა და იშვიათი უნარი ყველაფრისადმი უდარდელი მოპყრობისა ეგრე საშიშარი იყოს. მაგით მხოლოდ თქვენს თავსაც ავენებთ და ეგმონტსაც.

მმართველი. არაფერიც არა მგონია. მე მხოლოდ აუცილებელ შედეგებზე ვლაპარაკობ და კარგად ვიცნობ ეგმონტს. ნიდერლანდული მალალი გვარიშვილობა და მკერდზე მიბნეული ოქროს საწმისის ორდენი განუმტკიცებენ მას თავის თავისადმი რწმენასა და სითამამეს. ორივე ღირსებას შეუძლია დაიფაროს იგი ხელმწიფის მოულოდნელი, უეცარი განრისხებისაგან, მაგრამ კარგად დაუფიქრდი: იმ მთელ უბედურებაში, რაც ფლანდრიაში დატრიალდა, მხოლოდ ეგმონტია დამნაშავე. პირველად ის უცხოელ მჭადაგებლებს თვალს არიდებდა, ჩუმჩუმად ალბათ ხელსაც კი უწყობდა და შეიძლება გულში უხაროდა კიდევაც, რომ ზედმეტი საზრუნავი გაგვიჩნდებოდა. ნუ შემაწყვეტინებ! რაც გულზე მაწევს, მათქმევინე სუყველაფერი. მე არ მინდა ისრები ტყუი-

ლად გავისროლო. კარგად ვიცი მისი სუსტი ადგილი; დიახ, მას აქვს ასეთი ადგილი.

მაკიაველი. მაშ, ბრძანებთ, საბჭოს სხდომა მოვიწვიოთ? ორანელიც დაესწრება?

მმართველი. შეკრიკი გავაგზავნე მასთან ანტვერპენში. მინდა მათ საქმაო სიმძიმის პასუხისმგებლობა მოვახვიო თავზე. ან ჩემთან ერთად გულმოდგინედ იბრძოლონ მწვალებლობის წინააღმდეგ, ან თავი გამოაცხადონ ამბოხებულებად. იქარე, რომ ბრათები მალე გამზადდეს და მომიტანე ხელის მოსაწერად. შემდეგ კი დაუყოვნებლივ გააგზავნე მადრიდს ჩვენი ერთგული ვასკა. იგი დაულოავი და საიმედოა. დაე მისგან გაიგოს ჩემმა ძმამ აქაური ამბავი და ხმამ ჩვენს წერილს ვერ მიასწროს. მე თვითონ მინდა მოველაპარაკო მას წასვლამდე.

მაკიაველი. თქვენი ბრძანებები ზუსტად და სასწრაფოდ იქნება აღსრულებული.

## მოქალაქის ხახლი

კლარა. კლარას დედა. ბრაკენბურგი.

კლარა. შულოს არ დამიჭერთ, ბრაკენბურგ?

ბრაკენბურგი. ვთხოვთ, გამანთავისუფლოთ მაგ საქმისაგან, კლერხენ.

კლარა. რა დაგემართათ? ამ უბრალო მეგობრულ სამსახურზე უარს რად მეუბნებით?

ბრაკენბურგი. ისე მაგრად მიმაბამთ ხოლმე ერთ ადგილას მაგ ძაფით, რომ აღარ შემიძლია თქვენს თვალებს წავუვიდე.

კლარა. რა სისულელეა! მოდით, დაიჭირეთ!

დედა (სავარძელში ზის და ქსოვს). იმღერეთ რამე! ბრაკენბურგს მშვენიერი მოძახილის თქმა შეუძლია. უწინ მხიარულები იყავით და მეც მუდამ მამხიარულებდით.

ბრაკენბურგი. დიახ, უწინ.

კლარა. ვიმღეროთ.

ბრაკენბურგი. როგორც გნებავთ.

კლარა. მხოლოდ რაიმე მხნე და მხიარული სიმღერა. ეს ჯარისკაცული სიმღერაა. (ნართს ახვევს და მღერის ბრაკენბურგთან ერთად).

დაფდაფის ხმა ისმის,  
სტვენენ ნალარები,  
რახმს მიუძღვის თმში  
ჩემი საყვარელი.  
ხელთ უჭირავს შუბი,  
მტერზე შემართული.  
რარიც დღელავს სი ხლი!  
რარიც მიძგერს გული!  
მეც რომ მქონდეს შუბი,  
მუხარადი, თორი,  
ჩავდგებოდი წამსვე  
მეომართა შორის,  
გავყვებოდი გვერდით  
გულის რჩეულს ჩემსას.  
მთელ ქვეყანას ბრძოლით  
მოვივლიდით ერთად.  
ჰე, გავტეხეთ უკვე  
იხვეს მტერი მკაცრი.  
ო, ნეტავ მეც ახლა  
ვიყო მამაკაცი.

(სიმღერის დროს ბრაკენბურგი ხშირად შეზღავს ხოლმე კლერხენს; ბოლოს ხმა ჩაუწყდება, თვალზე ცრემლი მოადგება, ხელიდან გააგდებს შულოს და ფანჯარასთან ღივა. კლერხენი მარტო დანათავრებს სიმღერას. დედა თავს გადააქნევს უკაცურად ნიშნად, წამოდგება, ერთ ნაბიჯს გადადგამს ბრაკენბურგისაკენ, შემდეგ ველარ გაბედავს მისელს, უკანვე გამობრუნდება და დაჯდება.)

დედა. რა ამბავია ქუჩაში, ბრაკენბურგ? ჯარისკაცთა ფეაის ხმა შესმის.

ბრაკენბურგი. მმართველის საგუშავო ჯარი მოდის.

კლარა. ამ დროს? ნეტავი რა ამბავია? (ადგება და მივა ფანჯარასთან, სადაც ბრაკენბურგი დგას.) ეს ჩვეულებრივი გუშავთა რახში როდია, გაცილებით ბევრი არიან, თითქმის მთელი ჯარია. წადით, ბრაკენბურგ, და გაიგეთ, რაშია საქმე. რალაც განსაკუთრებული ამბავი უნდა იყოს. წაბრძანდით, ჩემო კეთილო მეგობარო, გამიწიეთ ეს სამსახური.

ბრაკენბურგი. მივდივარ! ახლავე დავბრუნდები. (გაუწყდის ხელს. კლერხენიც ჩამოართმევს.)

დედა. ისევ გააგდე?

კლარა. რა ვქნა, ცნობისმოყვარე ვარ; გარდა ამისა, არ გამკიცხოთ, ნუ გამიწყობით, გულს მიწუხებთ მისი აქ ყოფნა; აღარ ვიცი, როგორ მოვეპყრა. დამნაშავე ვარ მის წინაშე და გული მიკვდება, იგი ასე ღრმად რომ განიცდის; მაგრამ სხვა არაფერი შემიძლია.

დედა. მერე, რა ერთგული ახალგაზრდაა.

კლარა. სწორედ მაგიტომ არ ვიცილებ თავიდან და ყოველთვის მეგობრულად ვხვდები. ჩემი ხელი უნებლიეთ, მოულოდნელად შეიკუმშება, როცა მისი ერთობ ფრთხილად, ნაზი ალერსით შეეხება ხოლმე. ჩემს თავს ხშირად ვუსაყვედურებ, რომ შეცდომაში შემყავს იგი და მის გულს ფუჭი იმედით ვასაზროლებ, თუმცა, ღმერთმა ხომ იცის, არ ვატყუებ. მე როდი წსურს ყალბი იმედი აღვუძრა გულში, მაგრამ არც ის შემიძლია, სასოწარკვეთამდე მივიყვანო.

დედა. ეგ კარგი არ არის.

კლარა. წინათ მომწონდა, არც ახლა ვარ მასზე გულაყრილი, შეიძლება ჯვარიც კი დამეწერა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ის მე არასოდეს არ მყუარებია.

დედა. მასთან მაინც ბედნიერი იქნებოდი მუდამ.

კლარა. მშვიდი და უზრუნველი ცხოვრება მექნებოდა.

დედა. შენი მიზეზით კი ყოველივე ეს დაგეკარგა.

კლარა. პირდაპირ საოცარ მდგომარეობაში ვიმყოფები. როცა დავეფიქრდები, თუ ეს როგორ მოხდა, ჩემთვის ყველაფერი ნათელიცაა და ამავე დროს გაუგებარიც. საკმარისია ამის შემდეგ მხოლოდ თვალი მოვკრა ეგმონტს, რომ მაშინვე დღესავით ნათელი და გასაგები გახდეს ყველაფერი. ოჰ, რა ვაქვაცია! ყოველ კუთხეში პირდაპირ ლოცულობენ მასზე და ჩემი თავი მთელ ქვეყანაზე უბედნიერეს ქმნილებად როგორღა არ ჩავთვალო მის მკლავებში?

დედა. ვინ იცის, მომავალი რას გიქადის!

კლარა. მე კი მხოლოდ იმას ვკითხულობ: ვუყვარვარ თუ არა ეგმონტს? თუ მას ვუყვარვარ, სხვა საკითხავი რაღა დამრჩენია?

დედა. შვილი დედის გულის დარდიაო, ნათქვამია. მერედა,

რა გამოვა აქედან? მხოლოდ ზრუნვა და მწუხარება. შენი თავიც გააუბედურე და მეც დამღუპე.

კლარა (მშვიდად). თავდაპირველად თქვენ ხომ არ გვიშლიდით ამას.

დედა. სამწუხაროდ, ძალზე გულკეთილად ვიქცეოდი. მე ხომ ყოველთვის კეთილი ვარ.

კლარა. როცა ეგმონტი ჩვენს ქუჩაზე ცხენით ჩაივლიდა და მე ფანჯარასთან მივირბენდი, თქვენ ამის გამო მიჯავრდებოდით? განა თქვენ კი არ მოხვიდოდით ხოლმე ფანჯარასთან? როდესაც ის ამოიხედავდა, გამიღივებდა, თავს დამიკრავდა, მომესალმებოდა, ნუთუ გწკინდათ ეს ამბავი? განა თქვენ თვითონ არ მოგწონდათ თავი, თქვენს ქალიშვილს რომ პატივსა სცემდნენ?

დედა. კიდევაც რომ მისაყვედურებ!

კლარა (აღღეღებით). როცა მან ჩვენს ქუჩაზე სიარულს მოუხშირა და ჩვენც კარგად ვგრძნობდით, რომ იგი ამას ჩემი გულისათვის აკეთებდა, განა ეს თქვენ პირველმა არ შენიშნეთ იდუმალი სიხარულით? განა როდისმე დაგიძახნიათ ჩემთვის, აქეთ მოდექიო, როცა ფანჯარასთან ვიჯექი და მას ველოდებოდი?

დედა. რას ვიფიქრებდი, რომ აქამდის მიაღწევდა საქმე?

კლარა (ხმა ჩაუწყდება და ცრემლებს ძლივს იკავებს). ერთ საღამოს, ჩვენ რომ ლამპასთან ვისხედით და იგი, მოსასხამ მოხვეული, უცბად დაგვადგა თავს, ვინ დაფაცურდა მის მისაღებად, როცა მე ჩემს სკამზე ჯაქვით დაკრულივით გაშტერებული დავრჩი?

დედა. მაშინ იმისა როგორ შემეშინდებოდა, რომ ეს უბედურის სიყვარული ჩემს ჰკვიან კლერხენს ასე მალე გაიტაცებდა? ახლა კი მე უნდა მოვითმინო, რომ ჩემი ქალიშვილი...

კლერხენი (ცრემლთა ფრქვევით). ეს ხომ თქვენ თვითონ გსურდათ, დედაჩემო! ახლა კი გიხარიათ ჩემი წამება.

დედა (ტირილით). იტირე, შვილო, იტირე და შენი მწუხარებით უფრო მომიკალი გული! თითქოს ტანჯვად ის არ მეყოფა, რომ ჩემი ერთადერთი ქალიშვილი ასე დაღუპულია.

კლარა (აღგება გულცივად). დაღუპულიო? ეგმონტის სატრფო და დაღუპული? რომელ თავადის ასულს არ შეეხარებოდა ის აღ-

გული, რომელიც საბრალო კლერხენს უჭირავს ეგმონტის გულში? ო, დედა... ჩემო დედა, უწინ ეგრე არ მელაპარაკებოდით. იყავით ისევ კეთილი ჩემს მიმართ, დედაჩემო! დაე ხალხმა რაც არ უნდა იფიქროს და მეზობლის ქალებმა რაც არ უნდა იჩურჩულონ — ეს სახლი, ეს პატარა სახლი ჩემთვის მაღალი ზეცაა მას შემდეგ, რაც შიგ ეგმონტის სიყვარულმა დაისადგურა.

დედა. მართლაცდა, როგორ შეიძლება კაცმა იგი არ შეიყვაროს? ის ხომ ყოველთვის ასე აღერსიანი, კეთილი და გულახდილია.

კლარა. ერთი ყალბი ნერვი არ არის მასში. იგი ხომ დიდი ეგმონტი არის, ხოლო, როდესაც ჩემთან მოდის, რარიგ საყვარელი, რა კეთილია! როგორ ივიწყებს თავის შთამომავლობას, თავის სიმამაცეს! როგორ ზრუნავს ჩემთვის. იგი მაშინ მხოლოდ აღამიანია, მეგობარი, შეყვარებული.

დედა. დღეს ხომ მოვა?

კლარა. ნუთუ ვერა მხედავთ, ფანჯარასთან მალ-მალე რომ მივიღივარ? განა ვერ მამჩნევთ, ყურს როგორ ვუგდებ, კარზე ხომ არ არავინ აკაკუნებს-მეთქი? თუმცა ვიცი, რომ საღამომდე იგი არ მოვა, მაგრამ დილას აქეთ, რაც კი ფეხზე ავდექ, ყოველ წამს ველოდები. ნეტავი ჭაბუკი ვიყო, რომ სულ მას ვახლდე, სასახლეშიც და ყველგან. ნეტავი მისი დროშა მიმქონდეს ბრძოლაში.

დედა. შენ ხომ პატარაობიდანვე სულ ასეთი უცნაური იყავი: ხან მთლად გადაირეოდი, ხან კი ჩაფიქრებული ხოლმე... არ მოირთვები ცოტა ამაზე უკეთესად?

კლარა. შეიძლება მოვირთო, დედა! თუ მომეწყინა... გუშინ, წარმოიდგინეთ, რამდენიმე მისმა მსახურმა გაიარა ჩვენი სახლის ახლოს, მასზე ქებას მიიმღეროდნენ. ამ სიმღერაში მხოლოდ მის სახელს მოვკარი ყური, დანარჩენს კი ვერაფერს მივხვდი. გული ისე ამიტოკდა, პირდაპირ გადმოხტომას ლამობდა თავისი ბუდიდან... დაუფიქრებელი კიდევაც; რომ არ შემრცხვენოდა.

დედა. ფრთხილად იყავი. შენმა მგზნებარე ხასიათმა შეიძლება ყველაფერი დაღუპოს; თვითონვე გაამხელ საკუთარ თავს ყველასთან. იმ დღეს, როცა მისი გრავიურა ნახე, მის ქვეშ წარ-

წერა წაიკითხე და ყველას გასაგონად წამოიძახე: „გრაფი ეგ-  
მონტი!“ სირცხვილის აღმური მომედო სახეზე.

კლარა. აბა როგორ არ დაბეჭდო. ეს ხომ გრაველინგენის  
ბრძოლა იყო. გრავეურის თავზე შევნიშნე ასო „ე“, რომლის ქვე-  
მოთ ასე ეწერა: „გრაფი ეგმონტი იმ მომენტში, როდესაც მას  
ცხენი მოუკლეს“. ძარღვებში სისხლი გაიყინა, მაგრამ მერე სი-  
ცილი ძლივს შევიკავე, როცა შევხედე ხეზე ამოკვეთილ ეგმონტს,  
რომელიც იქვე გამოსახული გრაველინგენის კოშკისა და მის გვერ-  
დით დახატული ინგლისის ხომალდის ტოლი იყო. როცა ხანდა-  
ხან მოვიგონებ ხოლმე, თუ უწინ როგორ წარმომედგინა ბრძოლა  
და რანაირი მესახებოდა ბავშვობისას გრაფი ეგმონტი, როცა  
თქვენ იმაზე და ყველა გრაფსა თუ თავადზე მომითხრობდით, — და  
ახლა კი მას რანაირს ვხედავ...

შემოდის ბრაკენბურგი.

რა ამბავია?

ბრაკენბურგი. კარგად არავინ იცის. ამბობენ, ამ ცოტა  
ხნის წინ ფლანდრიაში აჯანყებამ იფეთქაო; მმართველი ზომებს  
იღებს, ამბობებამ აქამდე რომ არ მოაღწიოს. ციხე-კოშკი ჯარის-  
კაცებითაა გაჭედებული, ქიშკართან მრავალ მოქალაქეს მოუყრია  
თავი, ქუჩებში ხალხი გუგუუნებს... მინდა სასწრაფოდ ვინახულო  
მოხუცი მამა. (წასვლას აპირებს.)

კლარა. ხვალ მოხვალთ? მინდა ცოტა კარგა გამოვეწყო, ჩემი  
ბიძაშვილი უნდა მოვიდეს და ასე მიჩაჩულ-მოჩაჩული ხომ არ დაე-  
ხვდები. ერთ წამს მომეხმარე, დედა. წაიღეთ ეს წიგნი, ბრაკენ-  
ბურგ, და კიდევ მომიტანეთ ასეთი ისტორია.

დედა. მშვიდობით!

ბრაკენბურგი (ხელს გაუწვდის). ხელი მიბოძეთ!

კლარა (ხელს არ აძლევს). როცა კიდევ მოხვალთ. (დედა და შვილი  
გადაიან.)

ბრაკენბურგი (მარტო). მე იმ განზრახვით მოვედი, რომ  
მაშინვე გავბრუნებულიყავი, მაგრამ, როცა იგი ამაზე სიამოვნებით  
დამეთანხმა, ლამისაა ჭკუაზე შევიშალო. უბედურო! ნუთუ არ გა-  
წუხებს შენი სამშობლოს ბედ-იღბალი? ნუთუ შენ სულაც არ გეხე-  
ბა ეს მღელვარება, დღითი დღე რომ ასე იზრდება? ნუთუ შენთვის

სულ ერთია ესპანელი და შენი თანამემამულე, მმართველიცა და  
მართალიც? მე ხომ სულ სხვა ახალგაზრდა ვიყავი მოწაფეობისას!...  
როცა დასაწერად მოგვეცეს: „ბრუტოსის სიტყვა თავისუფლებასზე,  
როგორც მქვერმეტყველების ნიმუში“, მე, როგორც ყოველთვის,  
თემა პირველმა ჩავაბარე და რექტორმა ასე მითხრა: წესიერად  
მაინც იყოს აზრები დალაგებული და ასე არ იყოს ერთმანეთზე  
მიყრილიო... მაშინ მთლად ვდუღდი და გადმოვდიოდი... ახლა კი  
ფეხქვეშ ვეგები ამ გოგოს და ველარ მოვცილებივარ!... მას კი  
ჩემი შეყვარება არ შეუძლია!.. აჰ, არა! ის... ის მთლად ვერ მომი-  
ძულებს... ვერც მთლად... და ვერც ნახევრად და ვერც ოდნავად!  
მეტის მოთმენა აღარ შემიძლია! ნუთუ მართალია, რაც ამ რამ-  
დენიმე დღის წინ ერთმა მეგობარმა ყურში ჩამჩურჩულა? თითქოს  
იგი ღამნამობით ვიღაც კაცს დაატარებდეს თავისთან, როცა მე  
დაღამებამდე თავაზიანად გამომისტუმრებს ხოლმე. არა, ეს მარ-  
თალი არ არის, ეს სიცრუეა, საზიზღარი სიცრუეა და ცილისწამება.  
კლერხენი ისევე უმანკოა, როგორც მე ვარ უბედური... მაგრამ  
მან მომიძულა, ამომიგდო გულიდან... და როგორღა უნდა ვიცო-  
ცხლო თავი? არა, ამას ვერ ავიტან... ჩემი სამშობლო შინაური  
შფოთით ზანზარებს, მე კი ამ ხმის გაგონებაზე სული მძვრება...  
არა, ველარ მოვითმენ ამას!.. როცა საყვირის ხმასა და თოფის  
გრიალს გავიგონებ, ეს ხმა ძვალსა და რბილში მივლის ხოლმე,  
მაგრამ იგი აღარ მიწვევს, იარაღი ხელში ავიღო, გადავერიო  
ბრძოლაში სხვებთან ერთად და ვიხსნა ჩემი სამშობლო... საცო-  
დავო, სამარცხვინო მდგომარეობაზე! არა სჯობია, უცებ ბოლო  
მოვულო ყოველივე ამას? ამასწინათ წყალში გადავევარდი, ვიხრჩო-  
ბოდი, მაგრამ ჩემში ისევე მხდალმა ბუნებამ იძალა; ვიგრძენი, რომ  
ცურვა შემეძლო, და უნებლიეთ თავი გადავირჩინე. ნეტავ იმ  
დროის დავიწყება მაინც შემეძლოს, როდესაც მას ვუყვარდი,  
როცა მეგონა, რომ მას ვუყვარდი! რად გამიჯდა ძვალსა და  
რბილში ეს ბედნიერება? რატომ შთანთქა ამ იმედმა სიცოცხლის  
ყოველივე სიტკბოება, როცა შორიდან დამანახა საოცნებო სამო-  
თხე? და ის პირველი კოცნა? ის ერთადერთი!.. აქ (დაადგბს მაგი-  
დას ხელს), აქ ვისხედით ჩვენ სრულიად მარტონი... ის მუდამ მე-  
გობრულად, კეთილად იყო ჩემდამი განწყობილი. თითქოს დამიტკ-  
ბა, ნახად შემომხედა. თავბრუ დამესხა და... ვიგრძენი მისი ტუ-

ჩემი ჩემს ბაგეებზე... ახლა კი... ახლა?... მოკვდი, უბედურო რა-  
ლას უცდი, რაღას აყოვნებ? (ჯიბიდან ამოიღებს ბუშტულას). ტყუილად  
კი არ მოგიპარე ჩემი ექიმი ძმის ყუთიდან, ჩემო მკურნალო შხამო.  
შენ უეცრად შთანთქავ და ერთბაშად მოუღებ ბოლოს ჩემს შიშს,  
ჩემს ტანჯვას და საშინელ წამებას.

## მეორე მოქმედება

### მთავანი ბრიუსელში

იეტერი და დურგალი შემოდინ ერთად.

დურგალი. ეს აღრევე არ ვიწინასწარმეტყველე? ამ რვა დღის  
წინათ სამქროში ვთქვი, რომ დიდი არეულობა დაიწყება-მეთქი.

იეტერი. ნუთუ მართალია, რომ ფლანდრიაში მათ ეკლე-  
სიები გაძარცვეს?

დურგალი. ეკლესიებიცა და სამლოცველოებიც, სულ დაუ-  
ცარიელებიათ, შიშველი კედლების მეტი აღარაფერი დაუტოვე-  
ბიათ. საზიზღარი ხალხია. ჩვენს კეთილ საქმეს ეს ძლიერ შეუშ-  
ლის ხელსა. აქამდე შეგვეძლო კანონის ფარგლებში მმართველის-  
თვის დაბეჯითებით მოგვეთხოვა ჩვენი უფლებები და მტკიცედაც  
დავმდგარიყავით ჩვენს სიტყვაზე. ახლა კი, თუ ხმა ამოვიღეთ, ან  
ერთად შევიკრიბებით, მაშინვე გვეტყვიან, აჯანყებულების მომხრე-  
ები ხართო.

იეტერი. დიახ, ახლა ყოველი კაცი ასე ფიქრობს: „წინ რა-  
ტომ ერები მაგ შენი ცხვირით? არ იცი, რომ ცხვირს კისრული  
მოჰყვება?“

დურგალი. მეშინია, ამ ღარიბ-ღატაკებში არეულება არ  
დაიწყოს, მათ დასაკარგიც კი არაფერი გააჩნიათ. ჩვენი მოთხოვ-  
ნები მათთვის კარგი საბაზი იქნება და ქვეყანას კი დიდ უბედურე-  
ბაში ჩააგდებენ.

შემოდის სოესტი.

სოესტი. გამარჯობათ, ბატონებო. რა არის ახალი ამბავი?  
მართალია, რომ ხატის წინააღმდეგ მებრძოლები პირდაპირ აქეთ  
მოემართებიან?

დურგალი. ისინი აქ ხელს ვერაფერს ახლებენ.

სოესტი. ერთი ჯარისკაცი შემოვიდა ჩემთან თამბაქოს საყიდ-  
ლად და ახალი ამბები იმას გამოვკითხე. თუმცა მამაცი და გო-  
ნიერი ქალი არის ჩვენი მმართველი, მაგრამ ამჯერად ძლიერ დაიბ-  
ნა თურმე. საქმე ძალზე ცუდად უნდა ჰქონდეს, რომ თავის გუ-  
შაგებს უკან დაბალულა. ციხე-კოშკი ჯარისკაცებითაა სავსე. იმა-  
საც კი ფიქრობენ, რომ მმართველი ქალაქიდან გაქცევას აპირებსო.

დურგალი. არ უნდა გაფუშვათ. მისი აქ ყოფნა გვიცავს და  
ჩვენც უფრო მეტად დავიცავთ მას, ვიდრე მისი გრძელწვერიანე-  
ბი. თუ მმართველი ჩვენს უფლებებსა და თავისუფლებას მტკიცედ  
დაუქერს მხარს, პირდაპირ ხელისგულზე ვატარებთ.

შემოდის საპნის მხარშავი.

საპნის მხარშავი. ცუდი ამბავია! პირდაპირ საძაგელი  
ამბავია! შფოთი ატყდება და უკულმართად დატრიალდება საქმე.  
თავს გაუფრთხილდით და ჰქვიანად ისხედით, თუ გინდათ, რომ  
თქვენც შფოთისთავებად არ ჩაგთვალონ.

სოესტი. აჰა, მოვიდა შვიდი ბრძენი საბერძნეთიდან.

საპნის მხარშავი. ვიცი, რომ აქაც ბევრი არიან კალ-  
ვინისტების ფარული მომხრენი, რომელნიც ეპისკოპოსსა ჰგმობენ  
და ხელმწიფეს არაფრად აგდებენ. მე კი ნამდვილი მართლმორწ-  
მუნე, ჰეშმარიტი კათოლიკე ვახლავართ. (შემოდის ხალხი და ერთად  
გროვდება.)

ფანსენი (შემოდის). გაპარჯობათ, ბატონებო! რას იტყვით  
ახალს?

დურგალი. მაგ კაცს მოერიდეთ, საზიზღარი ადამიანია!

იეტერი. ეგ დოქტორ ვიტცის მწერალი არ არის?

დურგალი. ბევრი ბატონი გამოიცვალა უკვე. ეგ კაცი პირ-  
ველად, მართლაც, მწერალი იყო და, რადგან ყველამ გამოაგდო,  
აღბათ თაღლითობის გამო, ახლა ნოტარიუსობას და ვეჭილობას  
მოჰკიდა ხელი. ლოთების ერთია! (ხალხი თანდათან ემატება.)

ფანსენი. რაკი შეიკრიბენით, ბარემ მოიჩუროს უღეთ კიდეც,  
სალაპარაკო ბევრი გვაქვს.

სოესტი. მეც ეგრე მგონია.

ფანსენი. ეჰ, ახლა რომელიმე ჩვენგანს რომ მკერდში ვაჟ-  
კაცური გული უცემდეს და მხრებზე ჰქვიანი გოგრა ებას, უცბად  
შევიძლებდით ესპანური უღლის გადაგდებას.

სოესტი. ეგრე ლაპარაკი არ გამოდგება, ბატონო! ჩვენ ხომ  
შეფეს შევფიცეთ.

ფანსენი. მეფემ კი ჩვენ შემოგვფიცა, კარგად დაიხსოვით.

იეტერი. ყური დავუგდოთ. აბა გადმოალაგეთ თქვენი მოსა-  
ზრებანი.

ზოგიერთები. მოუსმინეთ, მაგას კარგად გაეგება. ეშმაკი  
კაცია.

ფანსენი. მე ერთ მოხუცებულ კაცთან ვმსახურობდი, რომელ-  
საც პერგამენტები და წერილები ჰქონდა უძველესი დაწესებულე-  
ბებისა, ხელმეკრულეების და უფლება-სამართლიანობათა შე-  
სახებ და ძალზე იშვიათი წიგნებიც. ერთი მათგანი ჩვენი სახელ-  
მწიფოს წესდებულებას წარმოადგენდა: თუ როგორ გვმართავ-  
დნენ პირველად ცალკეული თავადები ჩვენ, ნიდერლანდელებს,  
ყოველთვის ჩვენივე კანონების, უფლებებისა და ჩვეულების თანახ-  
მად, რა დიდ პატივსა სცემდნენ ჩვენი წინაპრები თავიანთ თავადს,  
როცა იგი მათ ისე განაგებდა, როგორც ეს წესი და ვალი იყო,  
და რარიგ სასწრაფოდ ალაგმავდნენ, თუ საზღვარს გადააჭარბებ-  
და ხოლმე... საქმეში მაშინვე საკრებულო ჩაერეოდა... მაშინ ხომ  
ყოველ პროვინციას თავისი საკრებულო ჰყავდა.

დურგალი. ენა გააჩერეთ! ეგ დიდი ხანია ვიცი. ყოველმა  
წესიერმა მოქალაქემ სახელმწიფოს წესდება იმდენი იცის, რამდე-  
ნიც სჭირდება.

იეტერი. აცალე ლაპარაკი. ყოველთვის რაღაც ახალს ვაი-  
გონებს კაცი.

სოესტი. მართალს ლაპარაკობს!

რამდენიმე. მოგვიყვით, მოგვიყვით! ასეთ რამეს ხომ ყო-  
ველდღე ვერ მოისმენ.

ფანსენი. აი, ეგეთები ხართ თქვენა, ქალაქელები! დღეს-  
დღეობით გაგაქვთ თავი და, რაკი ხელობა თქვენი მშობლებისა-  
გან შეგისწავლიათ, მართვა-გამგებლობას იმის ნებას აძლევთ, რომ  
თქვენზე ისე იბატონოს და იმბრძანებლოს, როგორც მოეპრიანება.  
არც კი ეკითხებით თქვენს გამგებელს, თუ საიდან მოსულა, ვინა  
ბრძანდება და ვინ მისცა ბატონობის უფლება. სწორედ მაგ უღარ-  
დებლობის ბრალია, რომ ესპანელებმა თავზე მარყუჟი გადაგ-  
ვაკვეს.

სოესტი. მაგაზე ვილა ფიქრობს, ოღონდ კაცმა დღიური  
ლუქმბურთი როგორმე იშოვოს.

იეტერი. დასწყევლოს ეშმაკმა! რატომ დროზე არავენ მოდის და არ გვეუბნება ამისთანა რამეს?

ფანსენი. აი, მე გეუბნებით ახლა. ესპანეთის მეფეს, რომელიც ბედნიერი შემთხვევის წყალობითა ჰელოზს მთელ ჩვენს პროვინციებსა, იმაზე მეტი ბრძანება-განკარგულებების უფლება არ უნდა ჰქონდეს, რაც წინათ თვითნებური პატარა პროვინციის თავადს გააჩნდა. მიხვდით?

იეტერი. უფრო ნათლად აგვიხსენი.

ფანსენი. ეს ხომ დღესავით ნათელია. განა მოსამართლეებმა ჩვენი პროვინციის კანონების მიხედვით არ უნდა გაგასამართლონ? მერედა, როდისა ხდება ასე?

მოქალაქე. მართალია!

ფანსენი. ნუთუ ბრიუსელის მოქალაქეს სხვა კანონი არ უნდა ჰქონდეს, ვიდრე ანტვერპენელს? ანტვერპენელს კი სხვა, ვიდრე გენტელს? მერედა, რატომ არაა ასე?

მეორე მოქალაქე. ღმერთმანი, მართალს ამბობს!

ფანსენი. მაგრამ, თუ თქვენ შემდეგშია ც მისცემთ ამის ნებას, მალე სხვაც ბევრი უარესი დაგემართებათ. ფუი! ის, რაც ვერ შეიძლეს ვერც კარლოს ლომგულმა, ვერც ფრიდრიხ მეომარმა და ვერც კარლოს მეხუთემ, ფილიპე მეორე დედაკაცის ხელით აკეთებს.

სოესტი. დიახ, დიახ! ეს ძველმა მთავრებმაც სცადეს.

ფანსენი. რა თქმა უნდა, ჩვენი წინაპრები მათ ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს. თუ ისინი რომელიმე მთავრის უკმაყოფილონი შეიქნებოდნენ, მაშინვე შეიპყრობდნენ მის შვილს ან მემკვიდრეს, ციხეში ჩაამწყვდევდნენ და მხოლოდ ხეირიანი პირობების დადების შემდეგ გამოუშვებდნენ. დიახ, ნამდვილი ვაჟკაცები იყვნენ ჩვენი მამები: იცოდნენ, რაც იყო მათთვის სასარგებლო, და შეეძლოთ კიდევაც მისი ხელში ჩაგდება და შენარჩუნება. ჰოი, რა მარჯვე ვაჟკაცები იყვნენ! ამიტომაც არის ჩვენი უფლებები ასე ნათლად განსაზღვრული, თავისუფლება კი ჩვენთვის ასე უზრუნველყოფილი.

საპანის მხარეშავი. რომელ თავისუფლებაზე ლაპარაკობთ?

ხალხი. ჩვენს თავისუფლებაზე, ჩვენს უფლებებზე! კიდეც მოგვიყვით რაიმე ჩვენს უფლებებზე.

ფანსენი. განსაკუთრებით ჩვენ, ბრახანტელები, ვართ ამ უფლებებით აღჭურვილნი, თუმცა ყოველ პროვინციას თავისი უფლებები გააჩნია. მე ამაზე ბევრი წამიკითხავს.

სოესტი. გვითხარით!

იეტერი. მოგვასმენინეთ!

მოქალაქე. გთხოვთ!

ფანსენი. უპირველეს ყოვლისა, იქა სწერია: ბრახანტის ჰერცოგი უნდა იყოს ჩვენი კეთილი და ერთგული ბატონიო.

სოესტი. კეთილი? ასე სწერია?

იეტერი. ერთგული? მართლა?

ფანსენი. სწორედ ისე, როგორც გეუბნებით. ის ჩვენი მოვალეა, ჩვენ კი იმისა. მეორე: მან ჩვენს მიმართ არ უნდა გამოამჟღავნოს მძლავრობა და თვითნებობა, ეს არც კი უნდა შეგვამჩნევინოს და გაფიქრებთაც კი არ გაიფიქროს არასოდეს.

იეტერი. მშვენიერია, მშვენიერია. „არ უნდა გამოამჟღავნოს“...

სოესტი. „არც კი უნდა შეგვამჩნევინოს“...

მეორე მოქალაქე. „და გაფიქრებთაც კი არ გაიფიქროს არასოდეს“. ეს ნთავარი მუხლია, არავის არ მივცეთ რაიმეს ნება, არასოდეს.

ფანსენი. სწორედ მაგ სიტყვებით.

იეტერი. წიგნი გვიშოვთ!

მოქალაქე. დიახ, ჩვენ ისა გვჭირდება.

დანარჩენები. წიგნი! წიგნი!

მეორე მოქალაქე. ჩვენ მაგ წიგნით მმართველთან წავალთ.

მოქალაქე. სიტყვით თქვენ უნდა მიმართოთ, ბატონო დოქტორო!

საპანის მხარეშავი. თქვე ჩერჩეტებო!

დანარჩენები. კიდეც რამე გვითხარით იმ წიგნიდან!

საპანის მხარეშავი. მე მაგას კბილებს ჩავამტკრე, თუ კიდეც ხმა ამოიღო.

ხალხი. ერთი ვნახოთ, ვინა ჰკადრებს მას ასეთ რამეს! კიდეც გვითხარი ჩვენს უფლებებზე! გვაქვს კიდეც რაიმე უფლებები?

ფანსენი. რანდელიც გნ. ბავთ, ძალზე კარგი და იშვიათი. იქ ესაც სწერია! ქვეყნია გამგებელს არ შეუძლია სასულიერო პირთა გამრავლება და არც მათი პირობების გაუმჯობესება აზნაურობისა და ერობის ნებადაურთველად. ესეც კარგად დაიხსომეთ! არც სახელმწიფო წყობილების შეცვლა.



სოესტი. მართლა ასე სწვრია?  
ფანსენი. მე თქვენ გიჩვენებთ ამას, ორას-სამასი წლის წინათ დაწერილს.

მოქალაქე. ჩვენ კი უნდა ვითმენდეთ ახალ ეპისკოპოსებს? აზნაურობამ მხარი დაგვიჭიროს და საქმეს ჩვენ თვითონ დავიწყებთ.

სხვა მოქალაქენი. ინკვიზიციამ როგორ უნდა შეგვაშინოს, დაგვიმორჩილოს?

ფანსენი. ეგ თქვენი ბრალია.  
ხალხი. ჩვენ ეგმონტი გვყავს კიდევ! გვყავს ორანელიც! ისინი ზრუნავენ ჩვენი სიკეთისათვის.

ფანსენი. თქვენმა ძმებმა ფლანდრიაში კარგი საქმე წამოიწყეს.

საპნის მხარეში. აჰა, შე ძაღლო! (სცემს.)

სხვა მოქალაქენი (მისცვივდებიან საპნის მხარეში და უყვირიან). შენც ესპანელი ხარ?

პირველი მოქალაქე. როგორ? პატიოსან კაცსა სცემ?

მეორე მოქალაქე. სწავლულს? (მისცვივდებიან საპნის მხარეში.)

დურგალი. ღვთის გულისათვის, დამშვიდდით! (სხვებიც ჩაერვიან ჩხუბში). ამახ რას შერებთ, მოქალაქენო? (ბიჭები უსტყვენ, ქვებს ესვრიან და ძაღლებს უსცვენ, მოქალაქენი დგანან და უყურებენ, ხალხი შორბის, ერთნი მშვიდად დაიარებიან წინა და უკან, მეორენი კი ყოველნაირად მასხრობენ, ყვირიან და ერთი ალიაქოთი აქვთ.)

რამდენიმე მოქალაქე. თავისუფლება და უფლებები, უფლებები და თავისუფლება!

შემოდის ეგმონტი ამალით.

ეგმონტი. დამშვიდდით, დამშვიდდით, ხალხო, რა მოხდა? გაჩუმდით! გააშველით!

დურგალი. მოწყალეო ბატონო, თქვენ ციურ ანგელოზივით გამოგვეცხადეთ. (ხალხს) წყნარად! ვერაფერსა ხედავთ? გრაფი ეგმონტი! პატივი ეცით გრაფ ეგმონტს.

ეგმონტი. აქაც ვგრე? ეს რა გაგიზარხავთ? მოქალაქენი მოქალაქეთა წინააღმდეგ! ნუთუ ჩვენი ხელმწიფური მმართველის სიახლოვეც ვერ მოგაშლევინებთ ამ უქკუობას. დაიშაღენით! თქვენ თქვენს ხელობას დაუბრუნდით. ეს ძალზე ცუდი ნიშანია, როცა საქმის დღეს ასე უქმად იმყოფებით. რა მოხდა ამისთანა? (არეულობა თანდათან დაცხრება და ყველანი ეგმონტს შემოეხვევიან.)

დურგალი. ესენი ოავიანთი უფლებებისათვის იბრძვიან.

ეგმონტი. თავიანთი უგუნურობით მაგ საქმეს სულ დაღუპავენ!.. თქვენ ვინა ხართ? მე თქვენ წესიერი ხალხი მგონიხართ.

დურგალი. ჩვენც მაგასა ეცდილობთ.

ეგმონტი. რა ხელობისა ხართ?

დურგალი. დურგალი და ამქრის თავი გახლავართ.

ეგმონტი. თქვენა?

სოესტი. მეწვრილმანე.

ეგმონტი. თქვენ?

იეტერი. თერძი.

ეგმონტი. მახსოვს, ჩემს მსახურებს ლივრები რომ შეუკერეთ. თქვენ იეტერი გქვიათ.

იეტერი. გამაღობთ, რომ ეგ არ დაგვიწყებიათ.

ეგმონტი. ის აღვიღად არ დამავიწყდება, ვინც ერთხელ მინახავს, ან ვისთანაც მილაპარაკია... რაც კი თქვენზეა დამოკიდებული, ხალხო, ყოველივე ღონე იხმარეთ მშვიდობიანობის დასაცავად. თქვენ ისეც ბევრ ცილსა გწამებენ, მეფეს უფრო მეტად ნუ გააგულისებთ. რაც არ უნდა იყოს, ძალა მაინც მის ხელშია. წესრიგიან მოქალაქეს კი, რომელიც პატიოსანი და მუყაითი შრომით ირჩენს თავს, იმდენი თავისუფლება ყოველთვის ექნება, რამდენიც საჭიროა მისთვის.

დურგალი. მართალია. აი, ესაა ჩვენი უბედურება. ყოველგვარი უსაქმურები, ლოთები და ზარმაცები, თქვენს ბრწყინვალეობასთან კი ბოდიში მომიხდია ამ სიტყვებისათვის, კინკლაობენ მოწყენილობის გამო, შიმშილით შეწუხებულნი ჩაებლაუქებიან ამ უფლებებს და ატყუებენ ახალი ამბის მოყვარულთ და თავქარიანებს; ისინი ერთი ქიქა ლუდის გულისათვის სტეხენ ჩხუბსა და დავიდარებას და ათასობით აღამიანს აგდებენ უბედურებაში. იმათაც სწორედ ესა ნებავეთ. ჩვენ კარგად გვაქვს დაცული ჩვენი სახლები და სკივრები. რომ შეეძლოთ, იქიდანაც მუგუზლებით გამოგვრეკავდნენ.

ეგმონტი. ყოველგვარ შემწეობას აღმოგიჩენთ. ზომები უკვე მიღებულია, რომ ამ ბოროტებას მძლავრად შევეწინააღმდეგოთ. მაგრად დაუხედით უცხო მქადაგებლებს და ნუ იფიქრებთ, თითქოს ამბოხებით შეგიძლიათ განამტკიცოთ თქვენი უფლებები. დასხედით შინ და ნებას ნუ მისცემთ, რომ ქუჩებში ხალხი შეგროვ-

დეს. გონიერ ხალხს ბევრი რამის გაკეთება შეუძლია. (ამასობაში ხალხის გროვა გაიფანტება.)

დურგალი. გმადლობთ, თქვენო ბრწყინვალეებო, გმადლობთ ამ კარგი სიტყვისათვის. რაც კი შეგვიძლია, ყველაფერს გავაკეთებთ. (ეგმონტი მიდის.) მოწყალე ბატონია! ნამდვილი ნიდერლანდეელია. ესპანელისა სულაც არა სცხია რა.

იეტერი. ოღონდაც კი ეგა გვყოლოდა მმართველად, ხალხი სიამოვნებით გაჰყვებოდა.

სოესტი. როგორ არა, მეფე მაგაზე დათანხმდება. ასეთ ადგილებზე იგი სულ თავისიანებსა სვამს.

იეტერი. ეგმონტის ტანისამოსს დააკვირდი? ახალ მოდაზე, მთლად ესპანურ ყაიდაზე იყო გაწყობილი.

დურგალი. ლამაზი კაცია!

იეტერი. მისი კისერი სასიამოვნო ლუკმა იქნებოდა ჯალათისათვის.

სოესტი. ხომ არ გადაირიე? საიდან მოგივიდა თავში ეგ სისულელე?

იეტერი. სისულელეა, რა თქმა უნდა, რომ ასეთი აზრი შეუჯდება კაცს თავში... მაგრამ, რა ვქნა. ეს ასე მომდის. როცა ლაშაჰ კისერს დავინახავ, მაშინვე ჩემდა უნებურად გავიფიქრებ: „მშვენიერი მოსაქრელია!“ ეს წყეული დასჯა და წამება არ გამომდის თავიდან. როცა ბიჭები წყალში ცურავენ და მე ტიტველა ზურგს თვალს მოვკრავ ხოლმე, იმ წუთსავე წარმომიდგება ჩემს მიერ ნახული ათეულობით უმოწყალოდ გაწყვლილი ზურგი. შევხვდები თუ არა დიდ ღიბიან კაცს, ასე მგონია, მის შეწვას ვუყურებ-მეთქი, ღამით კი, სიზმარში, ასო-ასოდ ძღვეჯენ გაზით. ერთი საათიც კი მხიარულად ვეღარ გამიტარებია, ხუმრობა და სიცილი სულ გადამავეიწყდა. მუდამ ეს საშინელი სურათები მიდგას თვალწინ.

### ეგმონტის სასახლე

მდივანი, ქალღმერთიან მაგიდასთან.

მდივანი (წამოადგება ალღევებული). აღარ მოდის. მე კი უკვე ორი საათია ვუცდი, კალამი ხელში მიჭირავს და წინ ქალღმერთი მაქვს გაშლილი; სწორედ დღეს მინდოდა ცოტა ადრე წასვლა. ფეხისგულზე პირდაპირ ცეცხლი მიკიდია, მოთმინება აღარა

მყოფნის. „თავის დროზე გამოცხადდით“, — მიბრძანა მან წასვლისას და თვითონ კი არ მოდის. საქმე იმდენია, რომ შუალამედევ ვერ გადავრჩები. მართალია, ის ყველაფერს ზერელედ უყურებს, მაგრამ ჩემთვის უკეთესი იქნებოდა, მკაცრი იყოს და დაწესებულ დროს მათთვის უფლებდეს. მაშინ შეიძლებოდა ჩემი საქმეებიც მომეგვარებინა. ორი საათია უკვე, რაც მმართველის სასახლიდან გამოვიდა; ვინ იცის, გზაში ვინ დააბრკოლა!

შემოდის ეგმონტი.

ეგმონტი. როგორაა საქმე?

მდივანი. მე მხად გახლავართ და სამი შიკრიკიც იცდის.

ეგმონტი. ძლიერ დაგაყოვნე, რალაც გულმოსული კაცის იერი გაქვს.

მდივანი. კაი ხანია გელოდებით, რათა თქვენი ბრძანება აღვასრულო. ქალღმერთი აქ არის.

ეგმონტი. დონა ელვირა ძალზე გამირისხდება, როცა გაიგებს, რომ მე დაგავიანე.

მდივანი. თქვენ ხუმრობთ.

ეგმონტი. სრულებითაც არა! ნუ გრცხვენია! კარგი გემოვნება გქონია. ის ლამაზი ქალია. ძალზე მიხარია, რომ სასახლეში მეგობარი გაგიჩენია. რას იწერებთან?

მდივანი. ბევრ რამეს, სასიხარულოს კი ცოტას.

ეგმონტი. კარგია, რომ სიხარული სახლში გვექონია და მისი მიღება გარედან არ გვესაჭიროება. ბევრი წერილი მოვიდა?

მდივანი. საკმაოდ, და სამი შიკრიკიც იცდის.

ეგმონტი. ჯერ ყველაზე უფრო საჭირო ამბიდან დაიწყე.

მდივანი. ყველა საჭიროა.

ეგმონტი. მაშინ ერთი მეორეს მიყოლებით მითხარ, ოღონდაც ჩქარა!

მდივანი. ასისთავი ბრედა გაცნობებთ, რაც მერე მომხდარა გენტსა და მის გარეუბნებში. მღელვარება თითქმის ყველგან დამცხრალია.

ეგმონტი. იგი ალბათ იწერება ცალკეულ გამოსვლებსა და უწესოებებზე.

მდივანი. დიახ, აქა-იქ კიდევ ხდება.

ეგმონტი. დაწვრილებით ნულარ მომიტხრობ!

მდივანი. ექვსი კაცი კიდევ დაიჭირეს. ფერებისთან ღეთის-

მშობლის ხატი დაუღწეოთ. ასისთავი გეკითხებათ, ეს დამნაშა-  
ვნიც სხვებივით ჩამოვხრჩოთ თუ არაო.

ეგ მონტი. დამალა ამდენმა ჩამოხრჩობამ. გააწკებლინოს  
და გაუშვას.

მდივანი. მათ შორის ორი დედაკაცია. ისინიც გააწკებლი-  
ნოს?

ეგ მონტი. მკაცრად დატუქსოს და გაათავისუფლოს.

მდივანი. ბრინკს, ბრედას ასეულის ერთ-ერთ ჯარისკაცს,  
ცოლის შერთვა მოუსურვებია. ასისთავს კი იმედი აქვს, რომ უარს  
ეტყვი. ჩვენთან იმდენი ქალები არიან, იწერება იგი, რომ თუ სა-  
ლაშქროდ გამოსვლამ მოგვიწია, ლაშქარს კი არა, ბოშების ურდოს  
დავემგვანებითო.

ეგ მონტი. შემიძლია მაგას დავრთო ნება. მშვენიერი ახალ-  
გაზრდაა. რამდენს მეხვეწებოდა, აქეთ რომ მოვდიოდი. დღეიდან  
კი მეტს აღარავის მივცემ ცოლის შერთვის უფლებას, თუნცა  
რარაგ მწყინს, რომ იმ საბრალოებს, რომლებიც უამისოდაც სა-  
კმაოდ იტანჯებიან, ვუსპობთ ყველაზე დიდ სიხარულსა და სიამოვნ-  
ებას.

მდივანი. ორმა თქვენმა ჯარისკაცმა, სეტერმა და ჰარტმა,  
შეურაცხყოფა მიაცენეს ერთ გოგოს, მიკიტნის ქალიშვილს. ისინი  
ამ ქალიშვილს იმ დროს დაესხნენ, როცა მარტო იყო და გოგომ  
გერ შეძლო მათი მოგერიება.

ეგ მონტი. თუ ის პატიოსანი იყო და მათ კი ძალა იხმა-  
რეს, ბრედამ სამი დღე ზედიზედ გააწკებლინოს ისინი და, თუ  
რაიმე ქონება გააჩნიათ, იმდენი წაართვას, რომ ქალს მზითვევ  
გაუშვადღეს.

მდივანი. ერთი უცხოელი მოქალაქე ჩუმად გადმოვიდა კო-  
მინში და იქ შეიპყრეს. იგი ჰფიცავს, საფრანგეთში წასვლა მქონ-  
და განზრახულიო. თანახმად ბრძანებისა, მას თავი უნდა მოეკვე-  
თოს.

ეგ მონტი. ჩუმად მიიყვანონ საზღვართან და გააფრთხილონ,  
რომ მეორეჯერ ასე იოლად ვეღარ გადარჩება.

მდივანი. წერილია, თქვენი მოურავისაგან გამოგზავნილი.  
იწერება: ცოტა ფული შემომდის და ამ კვირაში გამიძნელებს  
შემოთვლილი თანხის გამოგზავნა, რადგან მღელვარებამ ყველა-  
ფერში დიდი არეულ-დარეულობა შეიტანაო.

ეგ მონტი. ეგ ფული კი უნდა გამომიგზავნოს და როგორც  
სურს, ისე შეაგროვოს.

მდივანი. იგი ამბობს, რაც კი შემიძლია, ვეცდებიო. ბო-  
ლოს და ბოლოს, ვუჩივლებ და ციხეში დავაჭერიებ რაიმონდს,  
რომელსაც თქვენი ვალი ამდენ ხანს მართებსო.

ეგ მონტი. აკი შეგვპირდა, გადაგიხდითო.

მდივანი. ბოლო დროს მან თვითონ ითხოვა თოთხმეტი დღის  
ვადა.

ეგ მონტი. თოთხმეტი დღე კიდევ მისცეს და მერე უჩივლოს.

მდივანი. მაგას კარგსა შერებით. ვალს იმიტომ კი არ იხდის,  
რომ ღონე არ შესწევს, არა, მაგ კაცს ბოროტი განზრახვა აქვს.  
მაგრამ, როცა დაინახავს, რომ აღარ ხუმრობთ, ამ ამბავს სერიო-  
ზულად ჩაუფიქრდება. შემდეგ, მოურავი ამბობს—მინდა ძველ ვე-  
ტერანებს, ჯარისკაცთა ქვრივებს და ზოგიერთ პირებს, რომელ-  
თაც თქვენ მოწყალეებას აძლევთ, ნახევარი თვის პენსიები და-  
ვუჭირო. ვიდრე ჩვენ რაიმე ღონისძიებას გამოვნახავთ, როგორ-  
მე გასძლონო.

ეგ მონტი. რას ჰქვია „გასძლონ“? მაგ ხალხს უფრო სჭირ-  
დება ფული, ვიდრე მე. პენსიებს ხელი არ ახლოს.

მდივანი. მაშ როგორ ბრძანებთ, საიდან იშოვოს ფული?

ეგ მონტი. ეგ თვითონ მოიფიქროს. ეს ხომ წინა წერილი-  
თვე შევატყობინე.

მდივანი. ამიტომაც აყენებს ასეთ წინადადებებს.

ეგ მონტი. ეგ წინადადებები არ ვარგა, სხვა რამე მოიგო-  
ნოს. ისეთი წინადადებები წაქოაყენოს, რომელთა მიღება შესა-  
ძლებელი იქნება. უწინარეს ყოვლისა კი, ფული იშოვოს.

მდივანი. ხელახლა გირდგენთ გრაფ ოლივას მიერ გამოგ-  
ზავნილ ბარათს. მომიტევეთ, რომ იგი გაგახსენეთ. ეს მოხუცე-  
ბული ყველაზე მეტად ღირსია, რომ დაწვრილებითი პასუხი გას-  
ცეთ. თქვენ თვითონ გასურდათ მისთვის ბარათის მიწერა. ამ  
ადამიანს ხომ ღვიძლი შვილივით უყვარხართ.

ეგ მონტი. არ შემიძლია. ყველა საძულველ საქმეთა შორის  
წერილის წერა ჩემთვის მეტიმეტად საძულველია. შენ ხომ ჩემს  
ხელს კარგად ამგვანებ, შენ მისწერე ჩემი სახელით! ორანელს  
ველოდები, ძალზე მოუცლელად ვარ, ისე კი მინდოდა, რომ ჩემი  
პასუხით მისი ეჭვები გამეფანტა და დამემშვიდებინა.

მდივანი. დაახლოებით მაინც მიბრძანეთ თქვენი აზრი. პასუხს შევადგენ და წარმოგიდგენთ. ნაწერი ისეთი იქნება, რომ სასამართლომაც კი თქვენი საკუთარი ხელით დაწერილად მიიჩნიოს.

ეგმონტი. მომეცი წერილი! (თვალს გადაავლებს.) კეთილო, პატიოსანო მოხუცო! ნუთუ შენ ახალგაზრდობისას ასეთი ფრთხილი იყავი? ნუთუ იერიშით არ აიჭრებოდი ხოლმე მტრის ციხის ზღუდეებზე? განა ბრძოლის დროს უკან დარჩენილხარ, როგორც ამას გონიერება გირჩევდა?.. ერთგულს მზრუნველო! მას ჩემი სიცოცხლე და ბედნიერება სურს, მაგრამ ის კი არ გაეგება, რომ ცოცხალიც კი მკვდარია, ვინც თავის სიცოცხლეს უფრთხილდება... მისწერე, ნუ შეწუხდება, მე ისე მოვიქცევი, როგორც ჩემი მოვალეობა მიკარნახებს, თავს გაუფრთხილდები, მან კი თავისი ვაჟუნა სასახლეში ჩემს სასარგებლოდ გამოაყენოს და დარწმუნებული ბრძანდებოდეს ჩე ს გულითად მადლობაში.

მდივანი. მეტი არაფერი? ო, უფრო მეტს ელის.

ეგმონტი. მეტი რაღა მივწერო? თუ მეტის თქმა გინდა, ადექი და შენ მისწერე. ყველაფერი ერთი და იგივე აზრის გარშემო ტრიალებს: ვიცხოვრო ისე, როგორც ჩემთვის შეუძლებელია. მხიარულად ვიქო, ყველაფერი ამოვებად მივიჩნიო, ვიცხოვრო აჩქარებით—აი, ჩემი ბედნიერება და მე ამ ბედნიერებას არ გავცვლი სასაფლაოს მყუდროებაზე. ერთი წვეთი სისხლიც კი არაა ჩემს ძარღვებში ისეთი, რომ ესპანურ ყაიდაზე ცხოვრება შემიძლოს; სრულებითაც არა მწაღია, რომ ჩემი ნაბიჯები სამეფო კარის ახალ, აუჩქარებელ სვლას გაუთანაბრო. ნუთუ ჩემი სიცოცხლე ცხოვრებაზე ფიქრით უნდა ჩაპოვალამო? ნუთუ კარს-მომდგარი წუთის ნეტარებით მხოლოდ იმიტომ არ უნდა დაეტყბე, რომ დაერწმუნდე შემდეგი წუთის ბედნიერებაში და ეს შემდეგიც სხვა შემდეგზე ზრუნვითა და ოცნებით გავატარო?

მდივანი. გვედრებით, ნუ მოექცევი ამ კეზილ ადამიანს ეგრე მკაცრად, ეგრე გულცივად, თქვენ ხომ ყველას მეგობრულად ეპყრობით ხოლმე. ერთი ტკბილი სიტყვა მაინც გებრძანებინათ, რომ ამით კეთილშობილი მეგობრი დაგემშვიდებინათ. ხედავთ, როგორ ზრუნავს იგი თქვენთვის, როგორ ერიდება თქვენს წყენას, როგორ სათუთად გეხებათ.

ეგმონტი. მაგრამ მუდამ ერთსა და იმავე მხარეს ეხება იგი. დიდი ხანია იცის, თუ როგორ მძულს ამგვარი დარიგება.

ის მხოლოდ თავგზას აგებნევს, დახმარებით კი ვერაფერს ვერ დაგეხპარება. ვთქვათ, მთვარეული ვარ და სახლის სახურავის კიდეზე მივსერიანობ. ნუთუ მეგობრობა იქნება, რომ სახელი დამიძახო, გამაფრთხილო, გამომალევიო და სიკვდილის მსხვერპლი გამხადო? დაე ყველა თავის გზას გაჰყვეს. დაე გრაფმა თავის თავზე იზრუნოს.

მდივანი. შიში არ შეგფერით, ნაგრამ ვინც თქვენ გიცნობთ, ვისაც უყვარხართ...

ეგმონტი (წერილში ჩაიხედავს). ის ისევე ძველ ზღაპრებს იგონებს, თუ რა ვქენით და რა ვილაპარაკეთ ერთ საღამოს. როცა მეგობრულმა თავმოყრამ და შეშხუნა ღვინომ მხიარულ გუნებაზე დაგვაყენა, მე ე რა შედეგი მოჰყვა ამას, რა დასკვნები გამოიტანეს და ეს ყველივე მთელ სამეფოს როგორ მოჰქინეს... მერე-და, რა მოხდა, თუ მასხარას ქუდები, სულელის ჩაჩები ამოვაქარგვინეთ მსახურების ტანსაცმლის სახელოებზე და შემდეგ კი ეს სულელური მორთულობა შევცვალეთ ისრების კონით? ეს კიდევე უფრო საშინელი ნიშანი შეიქნა იმათთვის, რომელნიც ფარულ აზრს იქ ეძებენ ხოლმე, სადაც ამისი მსგავსიც კი არაფერია. მხიარულ წუთებში ბევრი მოგვიგონია და აგვისრულებია ესა თუ ის სისულელე; ჩვენ მხოლოდ ის დავაშავეთ, რომ ერთხელ აზნაურებმა მოგონილი სახელებითა და მათხოვრის ჩანთებით მეფეს მისივე მოვალეობა მოვაგონეთ დამცინავი თვინიერებით. დავაშავეთ, მაგრამ ისეთი რა მოხდა ამის? ნუთუ ყველიერის ღვინოც სახელმწიფოს ღალატია? ნუთუ ვინც ეს ქრელი ჩერებიც კი უნდა შემურდეს, რითაც ქაბუკური სიფიცხე და მგზნებარე ფანტაზია ჩვენი ცხოვრების საშინელ სიტიტვლესა ჰფარავს ხოლმე? თქვენ რომ სიცოცხლეს ასე სერიოზული სახით შესცქერით, რა ყრია მაგაში? თუ დილა ახალი სიხარულისათვის არ გამოგვალეიდებს, ხოლო საღამო არ გვპირდება სიამოვნებას, განა ღირს მაშინ ტანსაცმლის ჩაცმა და გახდა? განა დღეს მზე იმისათვის მინათებს, რომ ვითქვო, თუ გუშინ რა მოხდა, ანდა წინასწარ გამოვიცნო, რისი გამოცნობაც შეუძლებელია,—ესე იგი ხვალის-დელი ბედი? დამიხსენი ასეთი პეტრობისაგან, მოწაფეებსა და კარისკაცებს დავეთმოთ მაგაზე ფიქრი. დაე იმათ იფიქრონ და იოცნებონ, წავიდნენ იქ, სადაც ნებავთ, მიალწიონ იმას, რისი მიღწევაც შეუძლიათ. თუ შენ ყველაფერ ამას ისე გამოიყენებ, რომ წერილის ნაცვლად მთელი დიდი წიგნი არ გამოგივა, დიდად

გამახარებ. კეთილ მოხუცს ყველაფერი დიდმნიშვნელოვან ამბად ეჩვენება. ასე იქცევა ის მეგობარიც, რომელსაც ჩვენი ხელი დიდხანს უჭირავს ხელში და ერთს უკანასკნელად კიდევ მაგრად მოვიჭერს ხოლმე, როცა იცის, მალე უნდა გავუშვაო.

მდივანი. მპატიეთ. ფეხით მიმავალ ადამიანსაც კი სიჩქარისაგან თვალი უჭრელდება, როცა ახლოს ეტლი გრიალით ჩაუჭროლებს ხოლმე.

ეგ მონტი. ეპ, ყმაწვილო, ყმაწვილო! ნულარაფერს მეტყვი! თითქოს უხილავი სულების მიერ გარეკილი მზის რაშები მიაჭროლებენ ჩვენი ბედის მსუბუქ ეტლს და ჩვენ იმის მეტი აღარაფერი დაგვრჩენია, რომ მაგრად ვწვდეთ სადავეებს, ხან მარჯვნივ მოვწიოთ, ხან—მარცხნივ და აქ ქვას, იქ კიდევ ღრანტეს ავარიდოთ ეტლის ბორბლები? ვინ იცის, საით მივჭირვართ? შეიძლება ისიც კი არავის გვახსოვს, საიდან მოვსულვართ!

მდივანი. ოჰ, ბატონო! ბატონო!

ეგ მონტი. მე მალლა ვდგევარ, მაგრამ ძალიმძს და მოვალეობაც მიკარნახებს კიდევ უფრო მალლა ავიდე; გულში ვგრძნობ იმედს, მხნეობას და უდიდეს ძალას. ჯერ არ მიმიღწევია ჩემი სიმაღლის მწვერვალისათვის, მაგრამ ოდესმე თუ შევდგები მე იმ მწვერვალზე, მინდა ზედ ისე მტკიცედ ვიდგე, რომ შიშისაგან არ ვკანკალებდე. და თუ უნდა დავეცე, დაე მენმა ან ქარიშხალმა, თუნდაც ჩემივე მცდარმა ნაბიჯმა ბნელ უფსკრულში გადამიძახოს. მე იქ ვეგდები ათასეული ადამიანების გვერდით. სულ მცირედი სარგებლობის გულისათვისაც კი ჩემს მებრძოლ ამხანაგებთან ერთად სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას არასოდეს ავრიდებოვარ. ნუთუ ახლა უნდა დავხარო თავი, როცა საქმე ეხება ცხოვრებაში ყველაზე უძვირფასესს—თავისუფლებას?

მდივანი. ოჰ, ბატონო ჩემო! თქვენ არც იცით, რა სიტყვებსა ბრძანებთ! ღმერთი იყოს მფარველი თქვენი!

ეგ მონტი. აკრიფე შენი ქალღმერთი! ორანელი მოდის. შეადგინე ყველაზე საჭირო წერილები, რომ შეიკრიკები წავიდნენ, ვიდრე ჭიშკარი დაიკეტებოდეს. დანარჩენი კიდევ მოესწრება. გრაფთან გასაგზავნი უსტარი კი ხვალამდე დარჩეს; ნულარ აგვიანებ! ელვირა ინახულე და ჩემი სალამი გადაეცი... გაიგე, თავს როგორ გრძნობს ჩვენი მმართველი; კარგად არ უნდა ბრძანდებოდეს, თუმცა იგი ამას სრულებით არ იმჩნევს:

(მდივანი გადის.)

შემოდის ორანელი.

ეგ მონტი. კეთილი იყოს თქვენი მოსვლა, ორანელო! რაღაც შეშფოთებული ჩანხარო.

ორანელი. რას იტყვი მმართველთან ჩვენი საუბრის თაობაზე?

ეგ მონტი. ჩვენი მიღების დროს მის ქცევაში განსაკუთრებული არაფერი შემიმჩნევია. წინათაც ბევრჯერ მინახავს ღე იგი ასეთი. მგონია, უქეიფოდ ბრძანდება.

ორანელი. ვერ შეამჩნიეთ, რომ უფრო თავდაჭერილად იქცეოდა, ვიდრე სხვა დროს? მან ჯერ ისურვა მოეწონებინა ჩვენი ყოფა-ქცევა ბრბოს ამ ხალ არეულობაში. შემდეგ კი შენიშნა, ზოგი რამ შეიძლება ცუდად განმარტონო, და მაშინვე გადავიდა თავის ჩვეულებრივ სალაპარაკო თემაზე, რომ თქვენ, ნიდერლანდელებმა, საკმაოდ ვერ შეაფასეთ ჩემი სურვილი და მეგობრობა, არაფრად არ მიგაჩნიათ იგი, მას სასურველი შედეგი არ მოჰყვა და მე, ბოლოს და ბოლოს, შეიძლება ძალ-ლონე აღარ მეყოს და მეფე სხვა გზას დაადგესო. ეს ხომ მოისმინეთ?

ეგ მონტი. ყველაფერი არ მომისმენია. მაშინ სულ სხვა რამეზე ვფიქრობდი. იგი ქალი გახლავთ, ჩემო კეთილო ორანელო, და ქალებს კი მუდამ ის უნდათ, რომ ყველამ მათი ტკბილი უღლის ქვეშ დალუნოს თავი, ყოველმა ჰერკულესმა ლომის ტყავი გაიძროს და მათ მატყლს დაუჯდეს ჩასართველად. ვინაიდან ქალები თვითონ მშვიდი ხასიათისანი არიან, სურთ ერთი ალერსიანი სიტყვით დააწყნარონ ხალხის მღელვარება, მათ ფეხქვეშ დაცხრეს გამძვინვარებული ქარიშხალი და ტკბილი თანხმობით შეერთდნენ ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი ელემენტები. აქაც ასეთივე ამბავია. რაკი ჩვენს მმართველს ამგვარი სურვილი არ უსრულდება, სხვა რა გზა დარჩენია, ბრაზობს, უჩივის უმადურებას, გვაშინებს მომავლის საშინელი სურათებით და წასვლით გვემუქრება.

ორანელი. რატომ გგონიათ, რომ იგი თავის მუქარას არ აასრულებს?

ეგ მონტი. ეგ არ მოხდება. ბევრჯერ მინახავს ჩვენი მმართველი წასასვლელად გამზადებული. მაგრამ სად უნდა წავიდეს? აქ იგი მმართველია, დედოფალია. შენ გგონია, იგი აიტანს შეუმჩნეველ, უფერულ ცხოვრებას თავისი ძმის სასახლეში? ანდა წავაიტალიაში და იქ თავის ნათესავთა ძველისძველ კინკლაობაში ჩაეფლობა?

ორანელი. მაშ ფიქრობთ, რომ იგი წასვლას ვერ გადას-

წყვეტს, რადგან თქვენ გინახავთ, თუ როგორ ყოყმანობდა და უკან მიჰქონდა მიღებული გადაწყვეტილება? ეს მას მართლაც ახასიათებს. ახლად შექმნილმა ვითარებამ ბევრჯერ უარყოფილი გადაწყვეტილება რომ განუახლოს? რომ წავიდეს? მეფემ რომ სხვა ვინმე გამოგზავნოს?

ეგმონტი. რას ვიზამთ. მოვა და იმასაც გამოუჩნდება აქ საქმე ის ხომ აქ ჩამოვა ფართო გეგმებით, პროექტებითა და განზრახვებით, თუ როგორ დაიმორჩილოს, თავის ხელში აიღოს და მოაწესრიგოს ყველაფერი; მაგრამ დღეს ერთ პატარა დაბრკოლებას წააწყდება, ხვალ მეორეს, ზეგ კი უფრო სერიოზულს; მთელ ერთ თვეს გეგმების გადასინჯვაში გაატარებს, მეორეს კი მწუხარებაში, რომ თავისი განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა; ნახევარი წელი დაეკარგება რომელიმე პროვინციის უმნიშვნელო საქმეებზე... ასე გაეპარება ჩვენს მმართველს დრო, თავი დაურეტოვებს ფიქრისაგან და საქმეები კი ისევ ისევ წავა, როგორც მიდიოდა, და იმის ნაცვლად, რომ უნაპირო ზღვა მოკლე, პირდაპირი გზით გადაესერა, ღმერთს მადლობა უნდა შესწიროს, თუ თავისი ხომალდი ამ გრიგალში კლდეებს ააჩიდა.

ორანელი. მაგრამ თუ ხელმწიფეს ურჩივს კიდევ ერთი საშუალება?

ეგმონტი. რა საშუალება?

ორანელი. ნახეთ, ტანი უთაოდ რას იზამსო.

ეგმონტი. რაო?

ორანელი. ყური მიგდე, ეგმონტი! დიდი ხანია, რაც ამ მომხდარ ამბებზე ვფიქრობ. ვით მოჭადრაკე, რომელიც დასცქერის ქადრაკის დაუას. ვფიქვარ, თვალს ვადევნებ მტრის მოქმედებას და მის ყოველ სვლას რაიმე მნიშვნელობას ვანიჭებ. ჰოდა, როგორც ნოცლილნი კაცნი დიდის მეცადინეობით იკვლევენ ბუნების საიდუმლოებას, ასევე მეც ყოველი მთავრის უპირველეს მოვალეობად და უანიშნულებად ის მიმაჩნია, რომ შეიტყოს ყველა პარტიის აზრი და განზრახვა. საკმაო საფუძველი მაქვს, რომ ძირფესვიანი ცვლილებების მეშინოდეს. დიდი ხანია მეფე ერთ გარკვეულ გზას ადგას. ის ახლა ხედავს, რომ ამ საშუალებით ვერაფერს მიაღწევს. განა უფრო ბუნებრივი არ არის, რომ იგი ახლა სხვა გზას დაადგეს?

ეგმონტი. მე ეგ არა მჯერა. როცა კაცი მოხუცებაში შევა

და დაინახავს, რომ ბევრი რამ სცადა, მაგრამ ქვეყნად წესრიგი მაინც ვერ დაამყარა, ის ყოველ ცდას თავს დაანებებს.

ორანელი. მას ერთი რამ ჯერ კიდევ არ უცდია.

ეგმონტი. რა?

ორანელი. ხალხი დაზოგოს და თავადები ამოჟლიტოს.

ეგმონტი. დიდი ხანია ძლიერ ბევრს ეშინია მაგისა. ფიქრი არ არის.

ორანელი. პირველად მართლაც მართო ფიქრი მქონდა, თანდათანობით ის მსასლოდნელ უბედურებად გადამექცა, ახლა კი მის აუცილებლობა ი ნამდვილად ვარ დარწმუნებული.

ეგმონტი. განა მეფეს ჩვენზე უფრო ერთგული მსახურები ჰყავს?

ორანელი. ჩვენ მას ჩვენებურად ვემსახურებით და, ერთმანეთს გულახდილად რომ გამოვუტყდეთ, კარგად ვიცით მეფისა და ჩვენი უფლებების გაწონასწორება.

ეგმონტი. მაგას ვინ არ აკეთებს? ჩვენ მისი ერთგულნი ვართ და ვემორჩილებით კიდევ, როგორც შეჰფერის.

ორანელი. მაგრამ ჩემი რომ მოინდომოს და ორგულობა შეარქვას იმას, რასაც ჩვენ საკუთარი უფლებების შენარჩუნებას ვუწოდებთ?

ეგმონტი. ჩვენ შეგვიძლია თავი დავიცვათ. დაე უხმოს ოქროს საწმისის რაინდებს და ისინი გაგვასამართლებენ.

ორანელი. განაჩენი რომ გამოძიებამდე გამოიტანონ და დასჯა კი მის გამოტანამდე მოხდეს?

ეგმონტი. ამითანა უსამართლობას ფილიპე არ ჩაიდენს. ამ სიგიჟეს მე ვერ შევწამებ ვერც ხელმწიფეს და ვერც მის მრჩევლებს.

ორანელი. ვთქვათ და ისინი ბრძიყვები და უსამართლონი აღმოჩნდნენ?

ეგმონტი. არა, ორანელო, ეგ შეუძლებელია. ვინ გაბედავს, ხელი დაგვაქაროს? ჩვენი შეპყრობა უიქედო და უსარგებლო ნაბიჯი იქნება. არა, ისინი ვერ გაბედავენ ასე მაღლა ასწიონ მტარვალობის დროშა. ქარის ქროლა, რომელიც მთელ ქვეყანაზე მოჰფენს ამ ამბავს, საშინელ უზარმაზარ ხანძარს გააჩალებს. მერედა, რას მიაღწევენ? მართო მეფე ხომ არ გაგვასამართლებს და დაგვსჯის? ნუთუ ისინი მოინდომებენ ჩვენს ფარულად მოკვლას? ამისი გაფიქრებაც კი არ შეუძლიათ; იმ წუთშივე ხალხი საშიშარ კავ-

შირში გაერთიანდება. უცხად ისეთი სიძულვილი იფეთქებს ესპანეთის მიმართ, რომ მისი სახელის ხსენებაც კი მუდამ უძლიერეს ზიზღს გამოიწვევს.

ორანელი. მაგრამ ცეცხლის ალი ჩვენს სამარზე ავარდება და ჩვენი მტრის სისხლი დაიდვრება, როგორც უსარგებლო მოსანანიებელი მსხვერპლი. ეს არ უნდა დაგვაფიქვდეს, ეგმონტ!

ეგმონტი. როგორ გააკეთებენ ამას?

ორანელი. ალბა მოდის.

ეგმონტი. ეგ არა მჯერა.

ორანელი. ნამდვილად ვიცი.

ეგმონტი. მმართველმა კი არაფერი არ იცის.

ორანელი. მით უფრო დარწმუნებული ვარ, მმართველი მას ადგილს დაუთმობს. კარგად ვიცი, რა სისხლის მსმელიცაა; თან ჯარი მოჰყავს.

ეგმონტი. რომ ხელახლა დათრგუნონ პროვინციები? ხალხი აღდგება.

ორანელი. ნოთავეებს თავიდან მოიცილებენ.

ეგმონტი. არა, არა მჯერა!

ორანელი. მოდი წავიდეთ ყველა ჩვენ ჩვენს პროვინციაში! იქ გავმავრდეთ. აშკარა ძალადობას ხომ არ მიმართავს.

ეგმონტი. არ უნდა მივეგებოთ, როცა მოვა?

ორანელი. დავიგვიანოთ.

ეგმონტი. მოსვლისთანავე მეფის სახელით რომ მოგვიხმოს?

ორანელი. რაიმე მოვიმიზეზოთ.

ეგმონტი. რომ დაგვაჩქაროს?

ორანელი. ბოდიში მოვიხადოთ.

ეგმონტი. მაინც რომ თავისაზე დადგეს?

ორანელი. სულაც არ მოვიდეთ.

ეგმონტი. მაშინ ომი დაიწყება და ჩვენ შეამბოხებებად გამოგვაცხადებენ. ვიცი, შიშის გამო უკან არ დაიხევ, მაგრამ მეტი-მეტი პეიტრობა ნუ გავიტაცებს, ორანელო. კარგად დაუფიქრდი შენს ნაბიჯს?

ორანელი. ეს უკვე მოფიქრებული მაქვს.

ეგმონტი. ასწონ-დასწონე. იცოდე, რომ შეცდვ, შენ იქნები გამომწვევი საშინელი ომისა, რომელიც უდაბნოდ გადააქცევს ქვეყანას. შენი უარი ნიშანს მისცემს ყველა პროვინციას, იარაღს მოჰკიდონ ხელი, ეს კი ესპანელებს გაამართლებს იმ საშინელ სი-

სასტიკეში, რისკენაც ისინი თავიდანვე მიისწრაფიან, ოლონდაც კი რაიმე საბაზი ნახონ. ერთი ნიშნის მიცემით შენ საზარლად არეც და აღაშფოთებ ყოველივეს, რასაც ჩვენ ასე დიდხანს და ასეთი მძიმე შრომით ვაწყნარებდით, ვაშოშმინებდით. აბა ერთი დაუფიქრდი, რა დამართება ქალაქებს, აზნაურობას, ხალხს, ვაჭრობას, მიწათმოქმედებას, ხელოსნობას და რა სისხლისღვრა, რა განადგურება მოჰყვება ამას. ჯარისკაცს შეუძლია გულგრილად შეხედოს ბრძოლის ველზე მის გვერდით დაცემულ ამხანაგებს, მაგრამ როცა მდინარე თვალწინ გაგიტარებს მშვიდობიანი სოკოლაქეების, ბიჭებსა და გოგონების გვამებს, საშინლად შეძრწუნდები და აღარ გეცოდინება, ვისი გულისათვის იბრძვი, თუკი ილუპებთან ისინი, რომელთა თავისუფლებისათვის იარაღი აიღე ხელში; ნახავ, რა გუნებაზე დადგები, როცა ჩუმად გამოუტყდები შენივე თავს: „ჩემი უშიშროების გულისათვის ამიღია ხელში იარაღი!“

ორანელი. ჩვენ ხომ უბრალო ადამიანები არა ვართ, ეგმონტ. თუკი მოვალენი ვართ თავი გავწიროთ ათასეული ადამიანებისათვის, იმის უფლებაც გვაქვს, იმავე ადამიანთა გულისათვის თავს გავუფრთხილდეთ.

ეგმონტი. ვინც თავის თავს უფრთხილდება, მას თავის თავში ექვიც უნდა ებარებოდეს.

ორანელი. ვინც თავის თავს კარგად იცნობს, მას თამამად შეუძლია წინ წასვლაც და უკან დახევაც.

ეგმონტი. შენ თვითონვე გახდი გარდაუვალს იმ უბედურებას, რომელსაც ასე უფრთხიხარ.

ორანელი. მამაცი და გონიერი ადამიანი პირდაპირ შეხედება გარდაუვალ უბედურებას.

ეგმონტი. ასეთი დიდი საფრთხის დროს მცირე იმედსაც კი არ უნდა განერიდოს ადამიანი.

ორანელი. წინ პატარა ნაბიჯის გადადგმაც კი აღარ შეიძლება, ღრმა უფსკრულის პირას ვიმყოფებით.

ეგმონტი. ნუთუ ხელმწიფის მოწყალება ეგეთი ვიწრო ნაპირია?

ორანელი. არც ისეთი ვიწრო, მაგრამ მეტად მოლიპული.

ეგმონტი. ღმერთმანი, მეფეს უსამართლოდ სწამებენ ცილსა. მე ვერ მოვითმენ, რომ მას ასე უღირსად იხსენიებდეს ვინმე. ის კარლის შვილია და ეგრე უღირსი საქმის ჩადენა არ შეუძლია.

ორანელი. მეფეები უღირს საქმეს არა სჩადიან ხოლმე.  
ეგმონტი. კაცი მას კარგად უნდა იცნობდეს.  
ორანელი. კარგად რომ ვიცნობთ, სწორედ ეს გვიჩვენებს,  
ახალ საშიშარ ცდას აღარ დაველოდოთ.  
ეგმონტი. არც ერთი ცდა საშიში არაა, თუ კაცი გაბედულად მოიქცევა.

ორანელი. შენ გული მოგდის, ეგმონტი!  
ეგმონტი. მე ჩემი თვალით უნდა ვუყურო ქვეყანას.  
ორანელი. ეჰ, ნეტავ ახლა ჩემი თვალით შეხედავდე! რაკი თვალხილული ხარ, გგონია, რომ ხედავ კიდეც. მე მივდივარ, შენ კი დაელოდე ალბას მოსვლას, ღმერთი იყოს შენი შემწე. ჩემმა წასვლამ შეიძლება შენც გადაგარჩინოს. იქნებ ურჩხულმა არაფერი გავნოს, ვიდრე ორივეს ხელში არ ჩაგვიგდებს და ერთად არ გადაგველაპავს. ეგების მან დააყოვნოს კიდეც, რომ უფრო სწორად ამოვიღოს მიზანში და ამასობაში შენც გაარკვიო საქმის ნამდვილი ვითარება. მაშინ კი ჩქარა! ჩქარა! თავს უშველე!... მშვიდობით!.. არაფერი გამოგეპაროს მხედველობიდან: რამდენ ჯარისკაცს მოიყვანს, როგორ დაიჭერს ქალაქს, რამდენი უფლება დარჩება მმართველს, რას იზამენ შენი მეგობრები... მაცნობე შენი ამბავი... ეგმონტი!

ეგმონტი. რა გინდა?  
ორანელი (ხელში ხელს ჩასკიდებს). დამიჯერე! წავიდეთ ერთად!  
ეგმონტი. როგორ?.. შენ სტირი, ორანელო?  
ორანელი. დალუბულ მეგობარზე ტირილი ვაქცავსაც შეშენის.  
ეგმონტი. დალუბული გგონივარ?  
ორანელი. დიახ, მოიფიქრე, ძალზე ცოტა დროლა დარჩა მშვიდობით!

(გადის.)

ეგმონტი (მარტო). საკვირველია, სხვის აზრებს რომ ასეთი გავლენა აქვს ჩვენზე! ეს მე ჩემს დღეში აზრადაც კი არ მომსვლია; ამ კაცმა კი თავისი შიში მეც გადამდო... შორს!.. ეს უცხო წვეთია ჩემს სისხლში. კეთილ ბუნებაზე, განაგდე ის, მოიშორე თავიდან ისევე. ჩემი შუბლიდან მწუხარე ფიქრთა ნაოქების გადასაყრელად კიდეც დამრჩა სასიამოვნო საშუალება.

### მეორე მოქმედება

#### მმართველის სასახლე

მარგარიტა პარმელი.

მმართველი. ამას წინასწარვე უნდა მივმხვდარიყავი. დიახ, ვინც თავის სიცოცხლეს მუდამ შრომასა და ზრუნვაში ატარებს, ასე ჰგონია, რაღაც შეუძლებელს ვაკეთებო, მაგრამ ის კი, რომელიც შორიდან ადევნებს თვალყურს და ბრძანებებს იძლევა, ყოველთვის ფიქრობს, მხოლოდ იმას მოვითხოვ. რაც შესაძლებელიაო. ჰოი, ხელმწიფენო! არ მეგონა, თუ ეს ასე მეწყინებოდა. რა სასიამოვნოა მბრძანებლობა!.. მაგრამ ტახტზე ხელის აღება? არ ვიცი, როგორ შესძლო ეს მამაჩემმა; თუმცა მეც ეგვევ მსურს.

სტენის სიღრმეში გამოჩნდება მაკიაველი.

მომიახლოვდით, მაკიაველ. მე აქ ჩემი ძრის წერილზე ვფიქრობ.  
მაკიაველი. შემძლია გავიგო, რას იწყებთ?  
მმართველი. რაოდენ ფაქიზ ყურადღებას იჩენს ჩემს მიმართ, რა დიდი მზრუნველობით ეპყრობა თავის სამფლობელოებს. ის აქებს ჩემს სიბეჯითესა და ერთგულებას, რითაც მე დღემდე დავიცავი მისი უდიდებულესობის უფლებები ამ ქვეყნებში. მეფეს ვეცოდები, რომ თავაშვებული ხალხი ამდენ მწუხარებას მაყენებს. იგი ისე ღრმადაა დარწმუნებული ჩემს გონიერულ მოსაზრებებში, იმდენად კმაყოფილია ჩემი ჰკვიანური მოქმედებით, რომ შემძლია დარწმუნებით ვთქვა: ასეთი მშვენიერი წერილის დაწერა მეფეს და მით უმეტეს ძმას არ შეუფერება-მეთქი.

მაკიაველი. პირველად ხომ არ გიცხადებთ მეფე თავის სამართლიან კმაყოფილებას.

მმართველი. მაგრამ პირველია, რომ მისი წერილი ასე მკვერმეტყველურია.



მაკიაველი. არ მესმის თქვენი ნათქვამი.

მმართველი. ახლავე გაიგებთ... ამ შესავლის შემდეგ, იგი გამოსთქვამს მოსაზრებას, რომ უჯაროდ, თუ პატარა არმია მაინც არ გეყოლება, ყოველთვის საცოდავ მდგომარეობაში იქნებით. ჩვენ შეცდომა დაეუშვიეთ, ამბობს იგი, ადგილობრივ მცხოვრებთა ჩივილს რომ ანგარიში გაუუწიეთ და პროვინციებიდან ჯარი გამოვიყვანეთ. საოკუპაციო ჯარი, რომელიც მოქალაქეებს კისერზე დააწვებათ, ისეთი მძიმე ტვირთია, რომ ისინი დიდ ნახტომს ვეღარ გაბედავენო.

მაკიაველი. ეგ ყველას მოთმინებიდან გამოიყვანს.

მმართველი. მაგრამ მეფე ასე ფიქრობს, გესმის?.. ის ფიქრობს, რომ ერთი მარჯვე გენერალი, ისეთი, რომელიც არაავითარ მიზეზებს უურს არ ათხოვებდა, სწრაფად გაუსწორდებოდა ხალხს და აზნაურობას, მოქალაქეებსა და გლეხაკობას... ამიტომ იგი ჩვენთან გზავნის ჰერცოგ ალბას ძლიერი ჯარით.

მაკიაველი. ალბას?

მმართველი. გიკვირს?

მაკიაველი. თქვენ ბრძანეთ, გზავნისო. იქნება მეფე გეკითხებათ, გამოგვზავნო თუ არაო.

მმართველი. ხელმწიფე არ მეკითხება; იგი გზავნის.

მაკიაველი. მაშ გამოცდილი მხედარი იქნება თქვენს განკარგულებაში.

მმართველი. ჩემს განკარგულებაში? პირდაპირ თქვი, მაკიაველი!

მაკიაველი. არ მინდოდა თქვენთვის დამესწრო.

მმართველი. მე არც კი მინდოდა მეთქვა. ეგ ჩემთვის საწყენია, ძლიერ საწყენი. ისევ ის მერჩინა, რომ ჩემს ძმას პირდაპირ ეთქვა, რასაც ფიქრობს, ვიდრე მდივნის მიერ შედგენილ ამ ოფიციალურ უსტარზე მოეწერა ხელი.

მაკიაველი. მაგაში კაცი კარგად უნდა გაერკვეს.

მმართველი. მე იმათ მთელი სიგრძე-სიგანით ვიცნობ. მათ სურთ ყველაფერი დაგვიღ-დაწმენდილი ჰქონდეთ და, რადგანაც ამ საქმით თავს თვითონ არ იწუხებენ, მას მიანდობენ ყოველ ადამიანს, რომელიც მათთან პირველი გამოცხადდება ხელში ცოცხით. ო, რარიგ ნათლად ვხედავ, მეფე და მისი საბჭო თითქოს ამ ხალხე არიან ამოქსოვილი.

მაკიაველი. ასე ცოცხლად?

მმართველი. პატარა ხაზიც კი არ აკლია, მათ შორის რიგიათ ადამიანებიც არიან. პატროსანი როდრიგო, ასე გამოცდილი და თავდაჭერილი კაცი რომაა და თავს არც მეტისმეტად მაღლა სწევს და არც იმცირებს, გულწრფელი ალონსო, ბეჯითი ფრენდა, მდგარი ლასკარგასი და კიდევ რამდენი კაცი, რომელნიც მათ მიჰყვებიან, როცა კეთილმოაზრეთა პარტია მტკიცე არის ხოლმე. მაგრამ იქ ზის აგრეთვე თვალმზაცვივნილი ტოლედოელი, ბრინჯაოს შუბლით და ანთებული მხერით და კბილებში სტრის სიტყვებს ქალთა გულჩვილობაზე, მათ უადგილო დამთმობლობაზე და ამბობს, რომ ქალებს მხოლოდ კარგად გახედნილი ცხენების ტარება ეხერხებათ, მაგრამ თვითონ არ შეუძლიათ მათი გახედნაო, და სხვა ამის მსგავს დაცინვას, რომელიც მე ოდესღაც პოლიტიკურ მეუფეთაგან მომისმენია.

მაკიაველი. თქვენ ამ სურათისთვის კარგი საღებავები შეგიჩვენებთ.

მმართველი. მაგრამ გამოტყდით, მაკიაველი რომ მთელ ჩემს ფერთა სიმუქეში, რასაც მე ამ სურათის ხატვის დროს ვიყენებდი, არ მოიძენება ისეთი მუქყვითელი, როგორც ალბას სახის ფერია, და არც ისეთი თერები, რომელთაც თვითონ იგი იყენებს ხოლმე. ყოველი ადამიანი მის თვალში ღვთის მგმობელი, მისი უდიდებულესობის შეურაცხყოფელი გახლავთ. ამ მუხლით კი შეიძლება ყოველი ადამიანი დაბორბლონ, სარზე ჩამოაცვან, ასო-ასო დაგლიჯონ და დასწვან... რაც კი კეთილი რამ მოვიმოქმედებ, იქ ნამდვილად არაფრად არ გამოჩნდება, რადგანაც ის კეთილია. ალბა გამოეკიდება ყოველ წუთიერ გაცხარებასაც კი, უწინ რომ მომხდარა, გაიხსენებს ყოველ შფოთს, რომელიც ახლა უკვე დაწყნარებულია, და ხელმწიფის წინაშე დახატავს იმდენ ამბოხებებსა და ქუუადამთხვეულობას, რომ მეფეს ეგონება, ისინი ერთმანეთსა სჭამენო, თუმცა ჩვენ დიდი ხანია დაგვაგვიწყდა კიდევაც ტლანქი ბრბოს უწესო მოქმედება. ასე შეიპყრობს მას ქეზმარტი სიძულვილი საბრალო ხალხისადმი. ისინი მას წარმოუდგებიან საზიზღარ მხეცებად. ურჩხულებად და ხელმწიფე გაიფიქრებს, მხოლოდ ცეცხლითა და მახვილით შეიძლება ამ ხალხის ალაგმვაო.

მაკიაველი. ძლიერ აღელვებული მეჩვენებით. მეტისმეტად აზვიადებთ მომხდარ ამბავს. განა თქვენ მმართველად აღარ რჩებით?

მმართველი. ვიცი, როგორც მოხდება ყველაფერი. იგი ინსტრუქციებს მოიტანს. მე საქმაო გამოცდილება მაქვს სახელმწიფო საქმეებში და ვიცი, როგორ გადააჩოჩებენ ხოლმე კაცს ადგილიდან გადაუყენებლად... უპირველეს ყოვლისა, იგი წარმოადგენს ისეთ ინსტრუქციას, რომელშიც ყველაფერი ბუნდოვნად და ორკოფულად იქნება განმარტებული; ალბა დაიწყებს ყველაფერში ჩარევას, რადგანაც ძალა მის ხელში იქნება. თუ მე ამის გამო სამდურაფი გამოვთქვი, იგი თავის გასამართლებლად ინსტრუქციას მიხსენებს. თუ იმ ინსტრუქციის ნახვა მოვისურვე, დამპარდება, მაგრამ ყოველნაირად ეცდება, არ მაჩვენოს; თუ ძალა დაუატანე, წარმომიდგენს ისეთ ქალაქს, რომელშიც სულ სხვა რამ ეწერება; და თუ ამით არ დავკმაყოფილდი, ის მაინც არაფერს გააკეთებს, რაც არ უნდა ვილაპარაკო. ამასობაში სისრულეში მოიყვანს ყოველივე იმას, რისაც მეშინია, და, რაც მე მსურს, მას კი კარგა ხნით გადამიდებს.

მაკიაველი. შემეძლოს მაინც, მაგაზე რომ არ დაგეთანხმო.

მმართველი. რაც მე ენით გამოუთქმელი მოთმინებით დამიმშვიდებია, ალბა მას სიფიცხითა და სისასტიკით ისევ ვააგულისებ. თვალწინ დამელუპება საკუთარი ხელით გაკეთებული საქმე და მის შეცდომაზეც პასუხი უნდა ვაგო.

მაკიაველი. ამბებს წინ უსწრებთ, თქვენო უმაღლესობაე!

მმართველი. იმდენი კიდევ შემეძლია, რომ გაეჩუმდე. დაე მოვიდეს. ვიდრე იგი გადამაგდებს, მე თვითონ ზრდილობიანად დავუთმობ ადგილს.

მაკიაველი. ეგრე სწრაფად გადასწყვიტეთ ასეთი. მძიმე ნაბიჯის გადადგმა?

მმართველი. ეგ უფრო მძიმეა, ვიდრე შენ გგონია. ვინც მბრძანებლობას დაჩვეულია, ვინც მიეჩვია, რომ ყოველდღე განაგოს ათასეულ ადამიანთა ბედ-იღბალი, მისთვის ტახტიდან გადმოსვლა სამარეში ჩასვლასა ნიშნავს. მაგრამ ისევ ესა სჯობია იმის მდგომარეობას, ვინც ცოცხლებს შორის ლანდივით დარჩენილა და ფუჭი პატივმოყვარეობით ნებავეს ტახტის შენარჩუნება, ტახტი კი მიუსაკუთრებია სხვა ადამიანს, რომელიც ახლა მასზე ზის და განცხრომას ეძლევა.

## კლერხენის ბინა

კლერხენი. დედა.

დედა. ამისთანა სიყვარულის მნახველი არა ვარ, ბრაკენბურგს რომ შესძლება. მე მგონია, მხოლოდ რაინდულ ისტორიებშია მოთხრობილი ამგვარი სიყვარული.

კლერხენი (ბოლთასა სცემს და წელი ხმით ღიღინებს).

ბედი მაქვსო, მხოლოდ მან სთქვას,  
ვისაც უყვარს მთელი გულით.

დედა. იგი უკვე ხვდება ეგმონტისადმი შენს დამოკიდებულებას; მაგრამ დარწმუნებული ვარ, შენ რომ ბრაკენბურგის მიმართ ცოტაოდენი მეგობრობა გამოგეჩინა, ცოლად შეგიერთავდა, თუ შენც მოისურვებდი.

კლერხენი (მღერის).

ლხენით სავსე,  
ტანჯვით სავსე  
ქცეულია მეოცნებედ;  
წრფელი გულით,  
წრფელი სულით  
მისცემია მტანჯველ ვნებებს.  
ხან ცაში ჰქრის, ხან კი ისევ  
ძირს ეცემა განწირული;  
ბედი მაქვსო, მხოლოდ მან სთქვას,  
ვისაც უყვარს მთელი გულით.

დედა. თავი დაანებე მაგ იავნანას.

კლერხენი. ნუ მიძაგებთ თქვენ ამ სიმღერას. იგი ძლიერი სიმღერაა. არაერთხელ დამიძინებია ამ სიმღერით ერთი ღიღი ბაეში.

დედა. სულ შენი სიყვარული გიტრიალებს თავში. ყველაფერს ნუკი დაივიწყებ ერთის გულისათვის. გეუბნები, ბრაკენბურგს პატივისცემით მოეპყარი-მეთქი. მას კიდევ შეუძლია შენი გაბედნიერება.

კლერხენი. მას?

დედა. დიახ! დადგება დრო!.. თქვენ, ბავშვები, წინ სულ არ იცქირებით და არც ჩვენს გამოცდილებას უგდებთ ყურსა. ახალგაზრდობას და მშვენიერ სიყვარულს, სუყველაფერს თავისი ბოლო

აქვს. დადგება დრო, როცა კაცი ღმერთს მადლობას შესწირავს, თუკი სადმე თავშესაფარი ჰპოვა.

კლერხენი (შეკრთება, რამდენიმე ხანს არ იღებს ხმას და თრთის). დაე მოვიდეს ის დრო, დედაჩემო, როგორც სიკვდილი. საშინელია ამაზე წინასწარ ფიქრი. ჰოდა, როცა მოვა იგი, როცა ჩვენ იძულებულნი შევექნებით... მაშინ მოვიფიქრებთ, თუ როგორ მოვიქცეთ. შენ ჩემი აღარ იქნები, ეგმონტი!.. (ტირის.) არა, ეს შეუძლებელია, შეუძლებელი!..

შემოდის ეგმონტი მხედრის მოსახანით, შუბლზე ქუდიამოწეული.

ეგმონტი. კლერხენ!

კლერხენი (შეკვივლებს და უკან მიდგება). ეგმონტი! (აჩქარებით მივარდება.) ეგმონტი! (მოეხვევა და გულზე მიეკვინება.) ოჰ, ჩემო კარგო, ჩემო ლხენავ, ჩემო ძვირფასო! მოხვედი? შენ აქა ხარ?

ეგმონტი. საღამო მშვიდობისა, დედავ!

დედა. ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, დიდებულო ბატონო! ჩემს პატარას კინაღამ სული დაეღია, ასე რომ დაიგვიანეთ. მთელ დღეს სულ თქვენზე ლაპარაკში იყო და თქვენზე მღეროდა.

ეგმონტი. ვახშამს ხომ მაქმევთ?

დედა. დიდ პატივს დამდებთ, თუკი რამე გვექნა!..

კლერხენი. ცხადია, გვექნე!.. შენ ოღონდ დამშვიდდი, დედაჩემო. მე უკვე ყველაფერი მოვიმარაგე, ცოტა რამ მოვამზადე კიდევ. ნუ გამამხელ, დედი!

დედა. საკმაოდ ღარიბული ვახშამია.

კლერხენი. მოიცადე! მაშინ ასე ვფიქრობდი: როდესაც ეგმონტი ჩემთან არის, შიმშილს სულ აღარა ვგრძნობ, არც იმას უნდა ჰქონდეს დიდი მადა, როცა მასთან ვიმყოფები-მეთქი.

ეგმონტი. შენ ვერე გგონია? (კლერხენი ფეხს დაჰკრავს და მწყობრად გატრიალდება.) რა დაგემართა?

კლერხენი. დღეს რანაირი გულგრილი ხარო. ჯერ ერთხელაც არ გიკოცნიათ ჩემთვის. რად გაქვთ ერთი კვირის უმწვილსავით ხელები მოსახანაში შემალული? როგორ ეკადრება ჯარისკაცსა და მერე ისიც შეყვარებულს, ხელები ასე ჩაკრული ჰქონდეს?

ეგმონტი. ზოგჯერ ასეც ხდება, ჩემო ძვირფასო. როცა ჯარისკაცი საგუშაგოზე დგას და მტერს უთვალთვალავს, რომ ეშმა-

კობით ხელთ იგდოს იგი, მთელ ძალას სძაბავს მაშინ, გულზე ხელებს დაიკრავს და ფიქრობს თავის განზრახვაზე... ასევე შეყვარებულიც...

დედა. რატომ არ დაბრძანდებით? არ სჯობია, თავისუფლად მოისვენოთ? მე სამზარეულოში უნდა გავიდე. კლერხენი აღარაფერზე არა ფიქრობს, როცა აქა ბრძანდებით ხოლმე. ვახშამზე კი არ დამემდურათ.

ეგმონტი. თქვენი კეთილი გული ჩემთვის უფრო სასიამოვნოა. (დედა გადის.)

კლერხენი. მაშ ჩემი სიყვარული რაღა იქნება?

ეგმონტი. რაც შენი ნებაა.

კლერხენი. შეუთანაბრე რამეს, თუ გული გაგაჩნია.

ეგმონტი. მაშ ამით დავიწყით... (მოსახანს გადაისვრის და ბრწყინვალე ტანსაცმლით წარმოადგება.)

კლერხენი. ღმერთო ჩემო!

ეგმონტი. ახლა კი ხელები თავისუფალი მაქვს. (კლერხენს გულზე მიიკრავს.)

კლერხენი. გამიშვით. ტანსაცმელი გაგიფუჭდებათ. (უკან დაიხვეს.) რა ბრწყინვალეა! მოკარებასაც კი ვერ გიბედავ!

ეგმონტი. კმაყოფილი ხარ? აკი შეგპირდი, ოდესმე ესპანურად ჩაცმული მოვალ-მეთქი.

კლერხენი. კაი ხანია, მე ეგ თქვენთვის აღარ მითხოვნია. მეგონა, თქვენ არ გსურდათ აგესრულებინათ ჩენი თხოვნა... აჰ! აი, ოქროს საწმისიც.

ეგმონტი. ახლა ხომ ხედავ ამ ტანსაცმელს.

კლერხენი. ეს თვითონ იმპერატორმა ჩამოგკიდათ ყელზე?

ეგმონტი. დიახ, ჩემო ძვირფასო! ამ ძეწყესა და ნიშანს ვინც ატარებს, იმას უმაღლესი უფლებაც ენიჭება. ჩემი მოქმედების განმსჯელი ქვეყანაზე არავინაა, გარდა ამ ორდენის რაინდების მოთავეთა შეკრებილებისა, რომელსაც ამავე ორდენის დიდოსტატი მეთაურობს.

კლერხენი. ო. შენ თამამად შეგიძლია წარსდგე მთელი ქვეყნის სამსჯავროს წინაშე!.. რა მშვენიერია ეს ხავერდი და ეს ბუზმენტიც! როგორი ნაკერია! პირდაპირ აღარ იცის კაცმა, საიდან დაიწყოს სინჯვა.

ეგმონტი. დადექი და სინჯე, ვიდრე გულს იჯერებდე!

კლერხენი. აი, ეს ოქროს საწმისიც!.. თქვენ რომ მასი ისტორია მომიყვით, მაშინ ამბობდით: ეს ყველაზე ძვირფასი და ღირსეული ნიშანია, რომელსაც კაცი მხოლოდ დიდი გარჯითა და თავგამოდებით დაიმსახურებს და მოიპოვებსო. ეს ნიშანი, მართლაც, მეტიმეტად ძვირფასია. მე იგი შენს სიყვარულს შემიძლია შევიდარო... მაგრამ...

ეგმონტი. მაგრამ რა?

კლერხენი. მაგრამ ისა, რომ ისინი არც თუ ისე ძლიერა ჰგვანან ერთმანეთს.

ეგმონტი. რატომ არა?

კლერხენი. მე ხომ ის დიდი გარჯითა და თავდადებით არ მომიპოვებია, არაფრით არ დამიმსახურებია.

ეგმონტი. სიყვარული სულ სხვა საქმეა. იგი შენ დაიმსახურე, რადგან შენ ის არ გიძებნია. სიყვარული მხოლოდ იმ ხალხის წილზედრია, ვინც მას არ ეძებს.

კლერხენი. ეს შენს თავზე ხომ არ მიიღე? შენი ზვიადი შენიშვნა ხომ მთლიანად შენვე გეკუთვნის, შენ, რომელიც მთელ ხალხს ასე უყვარხარ?

ეგმონტი. ნეტავი რამე მაინც გამეკეთებინა მისთვის! შემიძლებოდა მაინც, რაიმე მერგო ხალხისათვის. ეს მხოლოდ მისი კეთილი ნებაა, ასე რომ ვუყვარვარ.

კლერხენი. შენ დღეს, ალბათ, მმართველთან იყავი!

ეგმონტი. ვიყავი.

კლერხენი. მასთან კარგ დამოკიდებულებაში იმყოფები?

ეგმონტი. თითქოს ეგრე უნდა იყოს. ერთმანეთს ზრდილობიანად და თავაზიანად ვექცევით.

კლერხენი. ხოლო გულით?

ეგმონტი. მე მისთვის კარგი მინდა. ყოველ ჩვენგანს ჩვენ ჩვენი მიზანი გვამოძრავებს, მაგრამ ეს არაა მთავარი. იგი საუცხოო ქალია, იცნობს თავის ხალხს და საკმაოდ შორსმჭვრეტელი იქნებოდა, ეჭვიანი რომ არ იყოს. მე ბევრ საზრუნავს ვუჩენ, რადგანაც ის ჩემს მოქმედებაში ყოველთვის რაღაც საიდუმლო განზრახვას ეძიებს, მე კი საიდუმლო არაფერი მაქვს.

კლერხენი. სულ არაფერი?

ეგმონტი. აბა როგორ გითხრა, კაცს ხანდახან პატარა ფარული განზრახვაც გააჩნია. რაც არ უნდა ღვინო იყოს, თუ ქვევრ-

ში დიდხანსა დგას, თხლეს მოიდებს ხოლმე. მაგრამ ორანელი უფრო მეტად იპყრობს მის ყურადღებას, მუდამ ახალი გამოცანა იმისათვის. მმართველი წინასწარგა დაარწმუნებული, რომ ორანელი ყოველთვის რაღაცას მაღავს მის წინაშე და მუდამ მის შუბლს მისჩერებია, ნეტავ რას ფიქრობსო, და სულ მის ნაბიჯებს უთვალთვალვებს, საით მიდის ორანელიო.

კლერხენი. თვითონ კი გულჩახვეულია?

ეგმონტი. აბა მაგას რაღა კითხვა უნდა, ის ხომ მმართველია.

კლერხენი. უკაცრავად, მე შინდოდა მეკითხა, მუხთალი ხომ არ არის-მეთქი.

ეგმონტი. არც მეტია და არც ნაკლები ყველა იმ ადამიანზე, რომელსაც სურს თავის მიზანს მოაღწიოს.

კლერხენი. მე კი მის ადგილას მთლად თავგზას დავკარგავდი. მაგრამ ის ვაჟკაცური გულის მქონეა. სულ სხვა ქალია იგი, ვიდრე ჩვენ, მზარეულები და მკერავები. იგი დიდებული, გულადი, გაბედული ადამიანია.

ეგმონტი. დიახ, თუ საქმე მთლად არ ჩაეფუშა. ახლა კი ცოტა დაბნეულია.

კლერხენი. ნუთუ?

ეგმონტი. მას პაწია უღვაშები აქვს და დროდადრო ნეკრისის შეტევებიც ეწყება ხოლმე. ნამდვილი ამორძალია.

კლერხენი. დიდებული დედაკაცია. მე შემეშინდებოდა კიდევაც, მის წინაშე გამოცხადება რომ დამჭირებოდა.

ეგმონტი. შენ ხომ მშიშარა არა ხარ... ეს შიში კი არა, ქალწულებრივი სიმორცხვე იქნებოდა მხოლოდ. (კლერხენი თვალებს ძირს დახრის, აიღებს მის ხელს და ზედ მიეყრდნობა.) მესმის. რასაც ფიქრობ, ჩემო ძვირფასო, შეგიძლია თავი ამაყად ასწიო. (თვლებში ჯკოცნის).

კლერხენი. დამაცა, გავჩუმდე. მკერდზე მოგეყრდნო, თვალეში გიციქირო და ყველაფერი იქ ეპოვო: ნუგეშიცა და სასოებაც, სიხარულიცა და მწუხარებაც. (მოეხვევა და თვალეში უტეხრის.) მითხარ! მიპასუხე! მე ვერ მივხვდარვარ! შენ ეგმონტი ხარ? გრაფი ეგმონტი? ის დიდი ეგმონტი, რომელზეც ამდენი მითქმა-მოთქმაა ატეხილი, რომელზედაც გაზეთის ფურცლებზე ამდენსა სწერენ და რომელიც ხალხს ასე უყვარს?

ეგმონტი. არა, კლერხენ, მე ის არა ვარ.

კლერხენი. რაო?

ეგმონტი. ხედავ, კლერხენ!.. დამაცა, დავჯდე. (ჯდება. კლერხენი მის წინ დაიხრქვებს პატარა სკამზე, ხელებს ეგმონტის მუხლებზე დააწყობს და სახეში დაუწყებს ყურებას.) ის ეგმონტი პირქუში, გულდახურული და ცივი ეგმონტია. იგი იძულებულია, სულ თავდაჭერილი იყოს და ხან ასეთ სახეს იღებდეს, ხან კი ისეთს. ის ეგმონტი გატანჯული, მიუხვედრელი და ფრთხილია, ხალხს კი ჰგონია, იგი მხიარული და უდარდელიაო. შეყვარებულია ისეთი ხალხის მიერ, რომელმაც თვითონაც არ იცის, რა სურს. პატივცემული და განდიდებულია იმ ბრბოსაგან, რომელთანაც ვერაფერს წამოიწყებ. გარშემორტყმულია ისეთი მეგობრებით, რომლებსაც ვერც კი მიენდობი. მას თვალყურს ადევნებენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ყოველნიაირად ცდილობენ, ხელთ იგდონ იგი; ის ეგმონტი დალილ-დამაშვრალია, ხშირად უმიზნოდ და უმეტეს წილად კი უჯილდოოდ... ო, ნუ მათქმევინებ იმას, თუ რას იტანს იგი და ან ასე რა დასწოლია გულზე დარდად. მაგრამ ეს ეგმონტი კი, კლერხენ, არის მშვიდი, გულახდილი და ბედნიერი, შეყვარებული და გაგებული საუკეთესო გულის მიერ, რომელსაც ეგმონტიც კარგად იცნობს და უდიდესი სიყვარულითა და ნდობით აღსავსე იხუტებს თავის გულში. (მოეხვევა.) ეს შენა ეგმონტია.

კლერხენი. ნეტა კი ახლავე მოვუდებოდე. ქვეყნად ჩემთვის ამაზე დიდი სიხარული აღარ არსებობს.

## მეორე მოქმედება

აქცია

იეტერი. დურგალი.

იეტერი. ჰეი, სს... ეი, მეზობელო, ერთი სიტყვა!

დურგალი. გასწი შენს გზაზე, ნუ ყვირიხარ.

იეტერი. მხოლოდ ერთი სიტყვა! ახალი ამბავი არაფერია?

დურგალი. არაფერი, ერთი ეს არის, რომ ლაპარაკი ისევე იგვიკრძალებს.

იეტერი. რაო?

დურგალი. მოიწით აქეთ, სახლისაკენ! ფრთხილად იყავით! ჰერცოგმა აღბამ ჩამოსვლისთანავე ბრძანება გამოსცა, რომლის ძალითაც ქუჩაში ორი-სამი კაცი თუ სალაპარაკოდ ერთად შეიყარა, ყოველგვარი კვლევა-ძიების გარეშე, სახელმწიფოს მოღალატეებად გამოაცხადებენ.

იეტერი. ოი-ოი-ოი!

დურგალი. სამუდამო პატიმრობაში მისცემენ, ვინც სახელმწიფო გამგებლობაზე ხმას ამოიღებს.

იეტერი. ვაი, ჩვენო თავისუფლებავ!

დურგალი. სიკვდილით დაისჯება, ვინც სახელმწიფო გამგებლობას გაჰკიცხავს!

იეტერი. ვაი, ჩვენო თავო!

დურგალი. საჩუქარს ჰპირდებიან მამებს, დედებს, ბავშვებს, ნათესავეებს, მეგობრებს და მოსამსახურეებს, თუ, რასაც შინ გაიგონებენ, ყველაფერს საგანგებოდ დაარსებულ სამსჯავროს შეატყობინებენ.

იეტერი. შინ წავიდეთ.

დურგალი. იმათ კი, რომელნიც ასე მორჩილად მოიქცევიან,

პირდებიან, რომ არავითარ ვნებას არ მიაყენებენ, არც მათ სხეულს და არც მათ პატიოსნებას.

იეტერი. რარიგ დიდი მოწყალება! თავს რალაც ცუდად ვგრძნობ მას შემდეგ, რაც ჰერცოგმა აღბამ ქალაქში ფეხი შემოაღდა. მას აქეთ ისე მეჩვენება, თითქოს ცას შავი ფარდა გადაეფარა და ისე ძირს ჩამოწვა, რომ კაცი თუ არ დაიღუპა, თავსა ჰკრავსო.

დურგალი. როგორ მოგეწონა მისი ჯარისკაცები? პა? ესენი სულ სხვა ჯურისანი არიან, ვიდრე ისინი, თვალი რომ შევაჩვიეთ.

იეტერი. ფუი! კაცს პირდაპირ გული შეუღონდება, როცა მათ რაზმს ქუჩაში მიმავალს დაინახავს. სარგადაყლაპულებივით გაქიმულნი და თვალდაპყეტილნი ისე მიაბიჯებენ, რამდენიც არ უნდა იყვნენ, გეგონება, ერთი კაცი მიდისო. ანდა, როცა საგუშაგოზე დგანან და ახლოს გაუვლი, ისე შემოგობლიერენ, თითქოს თვალებით უნდათ გაგხვრიტონო; მზერა კი ისეთი პირქუში და მკაცრი აქვთ, რომ ყოველ კუთხეში ჯალათი გელანდება. არ მომწონს მე ისინი. აი, ჩვენი მილიცია კი მხიარული ხალხი იყო. სულ სხვანაირად იქცეოდნენ: ფეხებს განზე გასდგამდნენ, ქუდს გვერდზე მოიქცევდნენ. თვითონაც ცხოვრობდნენ და სხვებსაც არ უშლიდნენ ცხოვრებას; ეს ბიჭები კი მანქანებივით არიან, ასე გგონია, ყოველ მათგანში ეშმაკი დაბუდებულიაო.

დურგალი. ერთმა მათგანმა რომ კაცს დაუყვიროს: „შესდექ!“ და თოფი დაუმიზნოს, როგორა გგონია, დადგება თუ არა?

იეტერი. მე კი იქვე გაეთავდებოდი.

დურგალი. შინ წავიდეთ.

იეტერი. კარგს არაფერს უნდა მოველოდეთ. მშვიდობით.

(განმოდის სოესტი.)

სოესტი. მეგობრებო! ამხანაგებო!

დურგალი. ჩუმაღ! ნუ გვაყოვნებ!

სოესტი. იციო?

იეტერი. ძალიან ბევრი!

სოესტი. მმართველი გაემგზავრა.

იეტერი. ახლა კი დაგვიფარე, ღმერთო!

დურგალი. ის გვიცავდა კიდევ.

სოესტი. უეცრად, ჩუმაღ მოხდა მისი გამგზავრება. ვერ შესძლო ჰერცოგთან შეთანხმება. წასვლისას ბრძანა: აზნაურობას აცნობეთ, ისევ დავბრუნდებითო. მაგრამ ეს არავისა სჯერა.

დურგალი. ღმერთმა შეუნდოს აზნაურობას, რომ ნება მისცა, ჩვენთვის ეს ახალი ყულფი გადაეცვათ კისერზე, მას შეეძლო ამისგან დავესხენით. ახლა კი მშვიდობით, ჩვენო უფლებებო!

იეტერი. თუ ღმერთი გწამთ, მაგ უფლებებზე ნულარაფერს ამბობთ! ვგრძნობ, ამ დილით ვილაცას დასჯიან: მზეს გამოჩენა აღარა სურს და ნისლებიც აქოთებულა.

სოესტი. ორანელიც გაემგზავრა.

დურგალი. მაშ ყველას მივუტოვებოვართ.

სოესტი. გრაფი ეგმონტი ჯერ კიდევ აქ არის.

იეტერი. მადლობა ღმერთს! ყველა წმინდანმა დიდი შეძლება მისცეს, რომ კარგად მოიქცეს. ისლა თუ გვიშველის რამეს.

შემოდის ფანსენი.

ფანსენი. როგორც იქნა, ეს ორიოდე კაცი მაინც ვნახე, თავიანთ სახლებში რომ არ შემძვრალან და არ დამალულან.

იეტერი. თუ ღმერთი გწამთ, თქვენს გზაზე გასწით!

ფანსენი. როგორცა ჩანს, ზრდილობა დიდად არ გაწუხებთ.

დურგალი. რა ღროს ქათინაურებია. ისევ აგქავდათ ზურგი? მოგიჩაბთ?

ფანსენი. ჯარისკაცს როდის ეკითხებიან, კრილობები გირჩება თუ არაო. ცემისა რომ შემშინებოდა, ჩემგან თავის დღეში კაცი არ გამოვიდოდა.

იეტერი. შეიძლება უფრო გართულდეს საქმე.

ფანსენი. როგორცა ჩანს, მოახლოვებული ჰეჰა-ქუხილის შიშით უკვე ხელ-ფეხის კანკალი აგტეხიათ.

დურგალი. ხელ-ფეხს სხვანაირად ავიკანკალებენ, თუ ჰქუაზე არ მოხვალ.

ფანსენი. ეს საცოდავი თავგები ახლავე სასოწარკვეთილებას მისცემიან, რაკი პატრონმა ახალი კატა მოიყვანა! სულ ცოტა რამ შეიკვლება; მაგრამ ჩვენ მაინც უწინდებურად წავიყვანთ ჩვენს საქმეს; დამშვიდდით!

დურგალი. შენ თავხედი და უქნარა ხარ!

ფანსენი. შენ კი ჩერჩეტი! დაე ჰერცოგმა, რაც უნდა, ის გააკეთოს. ამ ბებერ ღაღუნს ისეთი სიფათი აქვს, გეგონება თავგების ნაცვლად ეშმაკები შეუქამია და ველარ ინელებსო. ჯერ დავიკალოთ, მაგანაც ხომ უნდა ჰამოს, სეას, დაიძინოს, როგორც სხვა ხალხმა. ეს სრულებითაც არ მაშინებს, თუ ღროს მარჯვედ გამო-

ვიყენებთ. ჯერ გაცხარებით შეუდგება საქმიანობას, მერე კი ისიც მიხვდება, რომ საკუჭნაოში ძეხვების გვერდით ყოფნა და ღამით მშვიდად მოსვენება უმჯობესია, ვიდრე ბელელში რამდენიმე თავის მოტყუებით შეპყრობა. მერწმუნეთ, გამგებლებს კარგად ვიცნობ.

დურგალი. რა არ მოუვა თავში ამისთანა კაცსა. ჩემს სიცოცხლეში რომ ასეთი რამე მეოქვა, შიშით ერთ წუთსაც ვერ მოვისვენებდი.

ფანსენი. დამშვიდდით. თვით მაღალი ღმერთიც ვერ შეიტყობს თქვენისთანა ჭია-ლუების ამბავს და მით უფრო მმართველი როგორ შესძლებს.

იეტერი. რა ცოდვილი ენის პატრონი ხარ.

ფანსენი. მე კი ვიცნობ ვილაც-ვილაცეებს, რომელთაც უჯობდათ გამირული სულის ნაცვლად ძარღვებში თერძის სისხლი სდგომოდათ.

დურგალი. მაგით რისი თქმა გინდათ?

ფანსენი. ჰმ! გრაფ ეგმონტზე მოგახსენებთ.

იეტერი. ეგმონტზე! მას რისი უნდა ეშინოდეს?

ფანსენი. მე ერთი ღარიბი კაცი ვარ და მთელ წელიწადს ვიცხოვრებდი იმ ქონებით, რასაც ეგმონტი ერთ საღამოს გაფლანგავს ხოლმე. მაგრამ უჯობდა ჩემთვის მთელი წლის შემოსავალი დაეთმო, რომ თუნდაც მეოთხედ საათს ჩემი თავი მხრებზე გამოპოდა.

იეტერი. ძალზე დიდ რამედ მიგაჩნია შენი თავი! ეგმონტის თმის ყოველ ღერში უფრო მეტი ჭკუაა, ვიდრე მაგ გოგრაში.

ფანსენი. შეიძლება, მაგრამ მის ჭკუას მიხვედრა და სიმახვილე აკლია. ბატონები ადვილად ტყუვდებიან ხოლმე. ეგმონტი იმათ არ უნდა ენდობოდეს.

იეტერი. რასა ყბედობს! ასეთი დიდებული ბატონი!

ფანსენი. მეც იმას ვამბობ, რომ ის დიდებული ბატონია და არა თერძი.

იეტერი. რა ბილწი ენის პატრონი ხარ!

ფანსენი. ნეტავი თქვენი შიში და ფხიკიანობა ერთი საათით მაინც გადასულიყო ეგმონტის ძარღვებში, რომ მოსვენება აღარ მიეცათ მისთვის და იქამდე ელიტინათ და აექავათ კანი, ვიდრე ამ ქალაქს არ გაეცლებოდა.

იეტერი. ძალზე დაუფიქრებლად ლაპარაკობთ; ისე მტკიცედ დგას, ვითარცა ცაზე ვარსკვლავი.

ფანსენი. განა ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავი არ გინახავს? ერთს გაისრიალებს და მაშინვე გაჰქრება ხოლმე.

დურგალი. მერედა, მისი მტრობა ვის განუზრახავს?

ფანსენი. ვის განუზრახავს! ვითომ გინდა, ხელი შეუშალო? ხალხს ააჯანყებ, ეგმონტი რომ დაიჭირონ?

იეტერი. აჰ!

ფანსენი. გვერდებს გამოიმეტებთ მისი გულისათვის?

სოესტი. ეჰ!

ფანსენი (აჯავრებს მათ). აჰ! ეჰ! უჰ! თუნდაც მთელი ანბანი ჩამოთვლეთ გაკვირვებულებმა. ასეა და ასე იქნება! ღმერთი იყოს მფარველი მისი.

იეტერი. შეძრწუნებული ვარ თქვენი უსიკრებელობით. რისი უნდა ეშინოდეს ასეთ კეთილშობილ, პატიოსან კაცს?

ფანსენი. არამზადა ყველგან მოგებულა. იგი, დამნაშაფის სკამზე როცა ზის, მოსამართლეს ასულელებს, მოსამართლის სავარძელზე მჯდარი კი უდანაშაულოს დამნაშავედ გადააქცევს ხოლმე. ერთხელ სასამართლოს ოქმის გადაწერა მომიხდა, რომლის დაწერისთვის ერთმა კომისარმა სასახლიდან ბლომად ოქროები ჩაიჩხრიალა და დიდი ქება-დიდებაც დაიმსახურა, რადგან ერთი პატიოსანი ადამიანი, რომელსაც ძალზე ემტერებოდნენ, დამნაშავე არამზადად გადააქცია.

დურგალი. კიდევ ერთი ტყუილი დაახეთქა. როგორ შეუძლიათ, მართალი კაცი გაახვიონ დანაშაულში?

ფანსენი. ოი, თქვე ბატებო, თქვენა! როცა დაკითხვიდან არა გამოდის რა, მაშინ დანაშაულს თვითონ გამოიგონებენ. პატიოსანი კაცი წინდაუხედაკი და ჯიჟტია. მას ჯერ ფრთხილად დაჰკითხავენ; ტუსალი კი, თავისი სიმართლით გაამაყებული, როცა გაცხარდება, ყველაფერს გულახდილად გადმოალაგებს, რასაც გონიერი კაცი არ გაამხელდა. ინკვიზიტორი მისი პასუხებიდან ახალ კითხვებს შეადგენს ხოლმე და ფხიზლად უსმენს, როცა მის ახალ პასუხებში ერთმანიეთის საწინააღმდეგო რამე შეინიშნება. მაშინ იგი დაუწყებს მახის დაგებას და, თუ საწყალ ადამიანს შეეშინდა, რომ აქ მეტი უთქვამს, იქ კი ნაკლები, და ღმერთმა უწყის, მთლად რიტომ გამოტოვა მნიშვნელოვანი გარემოება და ჩვენება რად აურ-დაურია, გაკეთდა გამომჩიებლის საქმე! გარწმუნებთ, რომ მეძველმანე ისეთი გულმოდგინებით არ იქექება გადაყრილ ნაგავში, როგორც ეს დამნაშავეთა შემთითხველი ამ წვრილმან, ორაზროვან, გადასხვაფე-

რებულ, გადათქმულ, შეცვლილ, მიგნებულ, უარნათქვამ, გამოტეხილს ჩვენებებსა და გარემოებებში, რომ მათგან ჩიტების საფრთხობელა გააკეთოს, რათა ჩამოჰკიდოს იგი თუნდაც in-effigie. ამ საცოდავმა კი ღმერთს მადლობა უნდა შესწიროს, თუ ეს ყოველივე თავისი თვალთ ნახა.

იეტერი. რა გაქნილი ენა ჰქონია!

დუოგალი. შეიძლება ბუჩებს იქერენ ასე. კრაზანებს კი ასეთ აბლაბუდაზე მხოლოდ ეცინებათ.

ფანსენი. ეგ ობობებზე არის დამოკიდებული. შეხედეთ, ეს აყლაყუდა ჰერცოგი როგორ ჰგავს შხამიან ობობას და არა იმ ღიბიანებს, რომლებიც არც თუ ისე ოინბაზეები არიან; ეგ უფრო იმ გრძელფეხება, წვრილტანიან ობობებს წააგავს, რომელნიც, რაც არ უნდა ჰამონ, მაინც არ სუქდებიან და ძალზე ნახ, მაგრამ მეტად მაგარ ქსელს აბამენ ხოლმე.

იეტერი. ეგმონტი ოქროს საწმისის ორდენის რაინდია. ვინ გაბედავს მასზე აღმართოს ხელი? იგი მხოლოდ მის თანასწორთ შეუძლიათ გაასამართლონ, მარტოოდენ ორდენის კრებას. შენ კი ენაზე ძვალი არ გედება, სინდისი სუფთა არა გაქვს და ამიტომ რომაევ ასეთ სისულელეს.

ფანსენი. განა ცუდი მინდა ეგმონტისათვის? არა, მე არაფერ შუაში ვარ. იგი ჩინებული კაცია. ჩემი ორი კარგი მეგობარი მან მხოლოდ გააწკეპლინა და გაანთავისუფლა. სხვა კი მათ უსათუოდ ჩამოახრჩობდა. ახლა წადით, დაიშალენით! მე თვითონ გირჩევთ ამას. ავერ, გუშაგები მოდიან. ისინი ისეთები არა ჩანან, რომ ჩვენთან ძმურად გადაჰკრან ღვინო. დავიცადოთ და ფრთხილად ვადვენოთ თვალყური. მე აქ ორი ძმისწული გოგონა მყავს და ერთი ნათლიმამა მიკიტანი. თუ ისინი ამ ახალგაზრდებს გაუმასპინძლდებიან და მაინც ვერ მოაშინაურებენ, მართლა გაუმაძლარი მგლები იქნებიან.

### ოილენბურგის სასახლე. ჰერცოგ ალბას ბინა

სილვა და გომესი ზედებიან ერთმანეთს.

სილვა. შეასრულე ჰერცოგის ბრძანება?

გომესი. სიტყვასიტყვით. დღის გუშაგებს ნაბრძანები აქვთ, დანიშნული დროისათვის გამოცხადდნენ სხვადასხვა ადგილას, რომელზეც მე მივუთითე. მანამდე კი, ჩვეულებისამებრ, ისინი მთელ

ქალაქს შემოვივლიან წესრიგის დასამყარებლად. არც ერთმა არ იცის, თუ მეორესაც რამე აქვს ნაბრძანები; ყოველ მათგანს სჯერა, რომ ბრძანება მხოლოდ მან მიიღო, და ამიტომაც მათ შეუძლიათ ერთ წამში ქალაქს შემოერთყან და დაიკავონ სასახლის ყოველი კარი. გესმის, რა აზრი აქვს ამ ბრძანებას?

სილვა. მე უკვე ბრმა მორჩილებას მივეჩვიე. ვის უნდა დაემორჩილო ყველაზე ადვილად, თუ არა ჰერცოგს? განა შედეგი მალე არ დაგვარწმუნებს, რომ მისი ბრძანება სწორი იყო?

გომესი. კეთილი! კეთილი! აღარ მიკვირს. რომ შენც ჰერცოგით გულჩათხრობილი და სიტყვაძუნწი ხარ, რადგანაც სულ მასთან გიხდება ტრიალი. მე კი ეგ ძალზე მეუტხოვება, რადგან მეტად ადვილ სამსახურს მივეჩვიე იტალიაში. უწინდებურად ისევე ერთგული და მორჩილი ვარ, მაგრამ ყბედობა და სჯა ბაასი მიყვარს. თქვენ კი სულ გაჩუმებული ხართ — კრინტსაც არა სძრავთ ხოლმე. ჰერცოგი იმ უკარო რკინის კოშკსა ჰგავს, რომელსაც გუშაგებად ფრთიანი ციხოვანი ჯარი უყენია. ამას წინათ სადილობისას ყური მოვკარი მის ლაპარაკს ერთს მხიარულ, გულლია კაცზე: იგი იმ საძაგელ სამიკიტნის ჰგავს, რომელიც მოხატული აბრით თავისაკენ იზიდავს ყველა ჯურის მაწანწალებს, გლახაკებს და ქურდებსო.

სილვა. განა მან ჩუმაღ. ყოველგვარი მითქმა-მოთქმის გარეშე არ მოგვიყვანა ჩვენ აქ?

გომესი. რაც მართალია, მართალია, მაგის წინააღმდეგს ეერთაფერს იტყვის კაცი. ვინც თავის თვალთ ნახა; თუ რა ჰქვიანურად ჩამოიყვანა იტალიიდან ჩვენი ჯარი, მას შეუძლია დაიქადოს, მინახავს რამეო. როგორი მოხერხებით მოგვაძვრენდა მოღვარესა და მტერს შუა, მეფის მომხრე და ერეტიკოს ფრანგებს შორის, შვეიცარიელებსა და მათ მოკავშირეთა შუა. მტკიცე დისციპლინის დაცვით რარიგ ადვილად და უფათერაკოდ შეასრულა ეს საქმე, რომელიც ყველას ასე საშიშად ეჩვენებოდა. დიახ, ჭკუის სასწავლი ჩვენი ბევრი რამ ვნახეთ.

სილვა. და აქაც! განა ყველაფერი ისე წყნარად და მშვიდად არ არის, თითქოს არავითარი აჯანყება არ ყოფილიყოს?

გომესი. აბა! ყველაფერი უკვე დამშვიდებული იყო, როცა აქ ჩამოვედიო.

სილვა. პროვინციებშიც უფრო მეტი სიმშვიდე დამყარდა; და თუ ვინმე ჯერ კიდევ არ ისვენებს, ისიც გასაქცევადა გამზადებული. მაგრამ, ვფიქრობ, ჰერცოგი მალე ამ გზებსაც შეჰკრავს.



გომესი. აი, მაშინ კი ნამდვილად მოიპოვებს მეფის მოწყალებას.

სილვა. ჩვენთვის კი ყველაზე მნიშვნელოვანია, ჰერცოგის მოწყალება შევინარჩუნოთ. როცა მეფე აქ მობრძანდება, არც ჰერცოგს და არც იმათ, რომელთაც ჰერცოგი წარუდგენს, უჯილდოოდ არ დასტოვებს.

გომესი. შენ გგონია, მეფე მობრძანდება?

სილვა. აქ იმდენი სამზადისი ჩაატარეს, რომ ეს ძალზე ადვილი მოსალოდნელია.

გომესი. ეგ მზადება მე ვერ მარწმუნებს.

სილვა. მაგას მაინც აშკარად ნუ იტყვი. თუ მეფეს აქ მოსვლა არა აქვს განზრახული, ის მაინცა სურს, მისი მოსვლა ყველას სჯეროდეს.

შემოდის ფერდინანდი, ალბას უკანონო შვილი.

ფერდინანდი. მამაჩემი ჯერ კიდევ არ გამოსულა?

სილვა. ჩვენც მას ველოდებით.

ფერდინანდი. თავადები მალე მოვლენ.

გომესი. დღესვე მოვლენ? ვინ?

ფერდინანდი. ორანელი და ეგმონტი.

გომესი (ჩუმად სილვას). ჩემთვის უკვე გასაგებია.

სილვა. საიდუმლო შენთვისვე შეინახე.

შემოდის ჰერცოგი ალბა.

ალბა. გომეს!

გომესი (წინ წადგება). რას მიბრძანებთ, თქვენო ბრწყინვალე?

ალბა. გუშაგები ხომ დააყენე თავ-თავის ადგილას და აცნობე ჩემი ბრძანება?

გომესი. ყველაფერი ისე შევასრულე, როგორც მიბრძანეთ. დღის გუშაგები...

ალბა. კარგი. დერეფანში მომიცადე. სილვა განიზნებს, როდის უნდა გამოიყვანო ისინი ერთად და სასახლის კარებში დაიყენო. დანარჩენი შენ იცი.

გომესი. დიახ, თქვენო ბრწყინვალეებო! (გადის.)

ალბა. სილვა!

სილვა. აქ გახლავართ.

ალბა. ყოველივეს, რასაც დღემდე შენში ვაფასებ, სიმამაცეს, გამბედაობას და ბრძანების დაუყოვნებლივ ასრულებას, დღეს გამოიჩენ!

სილვა. გმადლობთ, თქვენო ბრწყინვალეებო, რომ მაძლევთ შემთხვევას, დაგიმტკიცოთ ჩემი ერთგულება.

ალბა. როგორც კი თავადები ჩემთან შემოვლენ, მაშინვე გაეშურე ეგმონტის პირადი მდივნის შესაპყრობად. შენ ხომ ყველაფერი მოამზადე იმისათვის, რომ დანარჩენები, რომელთა შეპყრობა საქიროა, დატუსაღებულ იქნან!

სილვა. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ. მათ თავს დაატყდებათ სასტიკი ბედი ისევე გარდუვალად და თავის დროზე, როგორც ზუსტად გამოანგარიშებული მხის დაბნელება.

ალბა. ხომ ყოველთვის თვალი უქირაეთ მათზე?

სილვა. ყველაზე. ეგმონტზე კი სხვებზე მეტად. იგი ერთადერთი ადამიანია, რომელსაც მას აქვთ, რაც აქ ჩამობრძანდი, თავისი ყოფაქცევა არ გამოუცვლია. მთელი დღე ცხენებს იცვლის, სტუმრებს ეპატიჟება, მუდამ მხიარულია და სუფრაზე მომლხენი, თამაშობს კამათელით, ესვრის მიზანში და ღამით საყვარელთან შიიპარება. სხვები კი, პირიქით, შესამჩნევად დაწყნარდნენ და სახლებში სხედან. მათი კარების მახლობლად თუ გაივლის ვინმე, ეგონება, შინ ავადმყოფები ჰყავთო.

ალბა. მაშ ვიჩქაროთ, ვიდრე ჩვენს ჯიბრზე არ მორჩებიან.

სილვა. მე ვიქნები მათი თავდები. შენი ბრძანებისამებრ, ჩვენ მათ მეტისმეტი თავაზიანი პატივისცემით ვეპყრობით. ეს იმათ აშინებს, მაგრამ დიპლომატიურად მაინც ძალდატანებულ მადლობას გვიხდებიან, თანაც გრძნობენ, რომ უფრო გონივრული იქნებოდა, გაქცეულიყვნენ; ველარავინ ბედავს ნაბიჯის გადადგმას, ყველანი ყოყმანობენ, ერთმანეთს ვერ დაჰკავშირებიან და ცალ-ცალკეულად კი გაბედული ვერაფერი ნიუხერხებიათ, რადგან ამის ნებას არ აძლევს ლაშქრული სული. მათ სურთ თავიდან აიცილონ ყოველგვარი ეჭვი, მაგრამ უფრო და უფრო საექვოდ იქცევიან. წინასწარ ვხედავ, სიხარულით შეპყრობილი, რომ შენი განზრახვა მთლიანად აღსრულდება.

ალბა. მე კი მხოლოდ აღსრულებული საქმე მახარებს და არც თუ ისე ძალიან, რადგანაც მუდამ რჩება კიდევ რაღაცა, რაც ფიქრსა და საზრუნავს გვიჩენს ხოლმე. ბედი მიზეზიანია, იგი ხშირად კეთილშობილსა ხდის უღირს საქციელს და კარგად მოფიქრებულ საქმეს კი ღირსების ახდის უხეირო დასასრულის გამო. მოიცადე, ვიდრე თავადები მოვიდოდნენ; მაშინ გომესს უბრძანებ, ქუჩები დაიკავოს, შენ კი იჩქარე ეგმონტის მდივნისა და დანარჩენთა

შეპყრობა, რომლებიც მოხსენებულა სიაში. როცა ამ დავალებას შეასრულებ, აქ გამოცხადდები და ყოველივეს მოახსენებ ჩემს შვილს, რომ საბჭოს სხდომაზე ეს ამბავი შემატყობინოს.

სილვა. იმედი მაქვს, ამ საღამოთივე წარმოვდგები შენს წინაშე. (ალბა გაემართება თავისი შვილისაკენ, რომელიც აქამდე დერფანში იდგა.) (ჩუმად.) ჩემს თავს ველარ ვუძახებ, თორემ ეს იმედი მეტად საეჭვოა. მეშინია, ვაითუ ისე არ მოხდეს. როგორც ალბა ფიქრობს. ნე ვხედავ ჩემს წინ სულებს, რომელნიც მშვიდად და ჩაფიქრებით სწონიან შავ სასწორზე თავადებისა და მრავალი ათეული სხვა ხალხის ბედს. ნელ-ნელა გადად-გადმოდის სასწორის ისარი. მსაჯულნი კი ღრმად ჩაფიქრებულნი მეჩვენებიან. ბოლოს კი, აი, ახირებული ბედის წყალობით სასწორის ერთი თევზი ძირს დაექანა, მეორე კი მალა ავარდა და გადაწყდა ყოველივე. (გადის.)

ალბა (წინ გამოდის ფერდინანდთან ერთად). რა ამბავია ქალაქში?

ფერდინანდი. ყველაფერი დაწყნარდა. მე თითქოს დროის მოსაკლავად დიდხანს დავსეირნობდი ქუჩიდან ქუჩაზე. თქვენს განაწილებულ გუშაგებს ისეთ შიშში ჩაუგდია ხალხი, რომ ჩურჩულითაც კი ველარ ბედავენ ერთი სიტყვის თქმას. ქალაქი იმ ველსა ჰგავს, სადაც შორიდან ჭექა-ქუხილი მოისმის ხოლმე; კაცი თვალს ველარ მოპკრავს ვერც ფრინველსა და ვერც ცხოველს, ზოგიერთის გარდა, და ისიც ფაცი-ფუციით მიიჩქარის თავშესაფრისკენ.

ალბა. სხვა არა შეგხვედრია რა გზაზე?

ფერდინანდი. ეგმონტი მოდიოდა ცხენით ბაზრის მოედანზე რამდენიმე მსღებღთან ერთად. ერთმანეთს მივესალმეთ. იგი იჯდა ერთ გაუხედნავ ბედაურზე, რომელიც მე შევაქე. „ვისწრაფოთ ცხენების გახედნა, ისინი მალე დაგვჭირდება!“ — მითხრა შეხვედრისას. „დღეს ჩვენ კიდევ ვნახავთ ერთმანეთს!“ — დაუმატა მან; იგი დღეს საბჭოს სხდომაზე გამოცხადდება, თანახმად თქვენი სურვილისა.

ალბა. დიახ, იგი დღეს კიდევ ვნახავს.

ფერდინანდი. იმ რაინდთა შორის. რომელნიც მე აქ ვიციანი, ყველაზე მეტად ეგმონტი მომეწონა. მგონია, ჩვენ დავმეგობრდებით.

ალბა. შენ ისევ წინდაუხედავი და თავშეუკავებელი ხარ. ყოველთვის ვამჩნევ შენში დედაშენის თავქარიანობას, რამაც მე იგი უპირობოდ ჩამიგდო ხელში. მრავალ საშინარ კავშირში ჩაუთრევიხარ ეგეთი აჩქარებით მოჩვენებითს შეხედულებას.

ფერდინანდი. თქვენს ნება-სურვილს ყველაფერში ვემორჩილები.

ალბა. შევუნდობ შენს ახალგაზრდობას მაგ თავქარიან გულის-თქმას, მაგ უღარდელ მზიარულებას. მაგრამ ნუ დაივიწყებ, რა საქმისთვისაც ვარ აქ გამოგზავნილი და რა ხვედრი მსურს გიზიარო შენ ამ საქმიდან.

ფერდინანდი. მომიგონეთ და ნუ დამზოგავთ, სადაც ეს საჭიროდ დაინახოთ.

ალბა (აუხის შემდეგ). ჩემო შვილო!

ფერდინანდი. მამაჩემო!

ალბა. მალე აქ მთავრები მოვლენ: ორანელი და ეგმონტი. ეს უნდობლობა როდია, რომ ახლავა გიმხელ იმას, რაც აქ უნდა მოხდეს. ისინი აქედან ველარ გავლენ.

ფერდინანდი. რა განიზრახე?

ალბა. გადაწყვეტილია მათი დაპატიმრება. შენ ეს გაოცებ? მომისმინე, თუ რა უნდა გააკეთო! ამის მიზეზს მერე შეიტყობ, როცა ეს ყოველივე ასრულდება. ახლა მაგის ახსნის დრო არ არის. მინდა მხოლოდ შენ მოგელაპარაკო ხოლმე ყველაზე მთავარ, ყველაზე საიდუმლო საქმეებზე. მტკიცე კავშირი გვაერთებს ჩვენ ერთიმეორესთან. შენ ჩემი ძვირფასი და საყვარელი შვილი ხარ და ამიტომ მინდა ამ საქმის მთელი სიმძიმე შენზე დავამყარო. მე ის კი არა მსურდა, რომ შენს თავში მართო მორჩილების ჩვევა ჩამეჭედა, არამედ სწრაფი მოფიქრების, ბრძანებისა და განზრახულის დაუყოვნებლივ აღსრულების უნარიც. მიიღე ეს უდიდესი მემკვიდრეობა, გახდი მეფის უსაჭიროესი მსახური, აღიჭურვე ყოველივე იმით, რაც კი ჩემში ყველაზე საუკეთესოა, რომ სირცხვილით არ გაწითლდე ძმებთან შეხვედრისას.

ფერდინანდი. რარიგ დავალებული ვრჩები ამ სიყვარული-სათვის, რომელსაც მხოლოდ მე ერთს მანიჭებ, და ესეც იმ დროს, როცა შენს წინაშე ცახცახებს მთელი სახელმწიფო.

ალბა. ახლა მომისმინე, რა უნდა გაკეთდეს. როგორც კი შემოვლენ მთავრები სასახლეში, ყოველი კარი გუშაგებმა უნდა დაიკაონ. ეს უკვე გომესსა აქვს ნაბრძანები. სილვა გაეშურება ეგმონტის მდივნისა და სხვა საეჭვო პირების შესაპყრობად. შენ სასახლის ეზოში და კიშკართან განალაგებ გუშაგებს. ყველაზე უწინ კი ამ ოთახების მახლობლად დააყენე ყველაზე საიმედო ჯარისკაცები; ამას რომ აღასრულებ, დერეფანში დაიცადე, ვიდრე სილვა

დაბრუნდებოდეს და მერე შემომიტანე რაიმე უმნიშვნელო ფურცელი იმის ნიშნად, რომ დავალება უკვე შესრულებულია. მერე დარჩი მისაღებ ოთახში ორანელის წასვლამდე. გაპყევი მას, მე კი ეგმონტს ჩემთან დავტოვებ, თითქოს მასთან კიდევ რაიმე სათქმელი მქონდეს. დერეფნის ბოლოს ორანელს მოსთხოვე ხმალი, უხბე გუშაგებს და სწრაფად განაიარაღე ეს საშიშარი კაცი. მე კი აქ ეგმონტს შევიპყრობ.

ფერდინანდი. გემორჩილები, მამაჩემო, ჩემს სიცოცხლეში პირველად ასე მამე გულითა და შეშფოთებით.

ალბა. მომიტყევი. ეს პირველი დიდი დღეა შენს სიცოცხლეში.

შემოდის სილვა.

სილვა. შიკრიკია ანტივერპენიდან. ორანელის წერილი მოიტანა! იგი არ მოვა.

ალბა. ეგ შიკრიკმა თქვა?

სილვა. არა, ჩემმა გულმა.

ალბა. ჩემი ბოროტი ანგელოზი გალაპარაკებს. (წერილის წაკითხვის შემდეგ ორივეს ანიშნებს და ისინი დერეფანში გავლენ. ავანსცენაზე მარტო ალბა რჩება.) იგი არ მოდის! უკანასკნელ წამამდე არ სურს თავის თავის გამოძლეა. იმასაც ბედავს, რომ აქ არ მოვიდეს! მაშასადამე, ამჯერადაც ბრძენი საკმაოდ ბრძენი აღმოჩნდა, რომ დაემალა თავისი სიბრძნე. დრო კი არ იცდის, მცირეოდენი გზალა დარჩა საათის ისარს და ცხადი საქმე აღსრულდება ან დაიღუპება, სამუდამოდ დაიღუპება, რადგანაც მას ველარც დაჰფარავ, ველარც უკან დაიბრუნებ. დიდი ხანია ყველაფერი აცწონ-დაცწონე და მოვიფიქრე. წინასწარ ვხედავდი ამ მარცხს და გადავწყვიტე კიდევაც, თუ რა უნდა გამეკეთებინა ასეთ შემთხვევაში, მაგრამ ახლა, როცა საჭიროა მოქმედება, ისევ ვყოყმანობ, „შევასრულო“ თუ „არ შევასრულო“ ის, რაც უკვე დიდი ხნის გადაწყვეტილია. სჯობია კი, დანარჩენები შევიპყრო, როცა ორანელი ხელიდან წამივიდა? მაგრამ დაყოვნება ხომ იმას ნიშნავს, ეგმონტსა და მის მომხრეებს — მერე ისიც აღდგენ ხალხს — საშუალება მიეცე ხელიდან დამისხლტნენ; ისინი ხომ ახლა, და შეიძლება მხოლოდ ახლა, იმყოფებიან ჩემს ხელში? მაშ ბედმა შენც დაგამარცხა, დაუმარცხებელი? როგორ დიდხანს სწონიდი ყველავერს! როგორი გულმოდგინებით ამხადებდი! რა დიდი, მშვენიერი განზრახვა გქონდა! რა ახლოს იყავი მისული მიზანთან! და ახლა, ამ გადამწყვეტ წამს, ორ ცეცხლს

შუა დგებარ, თითქოს ბედის ლარნაკიდან იღებ გამოუცნობი მომავლის ფურცელს, რომელიც შეხვეული გიპყრია ხელში და ჯერ არ იცი, მოიგე თუ წააგე! (შეჩერდება, თითქოს რაღაც ხმა მოესმაო, და გაეშურება ფანჯრისკენ) ის არის!.. ეგმონტი! რა ლალად მოჰყავხარ შენს ცხენს აქეთკენ, იგი არ კრთება არც სისხლის სუნზე და არც ელვარე ხალით აღჭურვილი სულის წინაშე, ჭიშკართან რაიმე შემოგეგება. გადმოხტი ცხენიდან! აი, შენ ცალი ფეხი უკვე სამარეში ჩასდგი! ახლა კი ორივე ფეხი. მოუფერე, გადაუსვი ქეჩოზე ხელი უკანასკნელად ერთგული სამსახურისათვის. არჩევანი აღარ დამრჩენია. ასე ბრძნად, როგორც ახლა მოდის ეგმონტი აქეთკენ, სხვა დროს აღარ ჩავივარდება ხელში!.. ჰეი! (აჩქარებით შემოდინ ფერდინანდი და სილვა) გააკეთეთ, რაც გიბრძანეთ; ჩემი გადაწყვეტილება უცვლელია. რაც არ უნდა მოხდეს, მე აქ დავაყოვნებ ეგმონტს, ვიდრე სილვასაგან ამბავს არ მაცნობებ. შემდეგ კი ახლოს გაჩერდები. ბედი შენ უდიდეს პატივს გტაცებს, ხელმწიფის უდიდესი მტრის საკუთარი ხელით შეპყრობისას. (სილვას) იჩქარე! (ფერდინანდს) წადი, შეეგებე! (ალბა რამდენიმე წამს მარტო რჩება და მღუმარედ დაიარება წინ და უკან).

შემოდის ეგმონტი.

ეგმონტი. მე მოვიდი მივიღო შეფის ბრძანებები, შევიტყო, რა სამსახურს მოითხოვს იგი ჩვენი მტკიცე, ურყევი ერთგულებისაგან.

ალბა. უწინარეს ყოვლისა, მას ნებავს, თქვენი რჩევა მოისმინოს.

ეგმონტი. რა საქმეზე? ორანელიც მოვიდა? მე ვფიქრობდი, ის აქ იქნებოდა.

ალბა. დიდად ვწუხვარ. რომ ასეთ მნიშვნელოვან დროს იგი აქ არ არის. მეფეს სურს შეიტყოს თქვენი აზრი. თუ ხელახლა რა გზით დავაწყნაროთ პროვინციები. დიახ, მეფეს იმედი აქვს, რომ თქვენ მთელი ძალით დაეხმარებით მას ამ მღელვარების დამშვიდებასა და პროვინციებში სრული, ხანგრძლივი წესიერების დამყარებაში!

ეგმონტი. თქვენ ჩემზე უკეთესად მოგეხსენებათ, რომ ყველაფერი უკვე დაწყნარდა და კიდევ უფრო დამშვიდებულად იყო ყოველივე, ახალი ჯარისკაცები რომ არ გამოჩენილიყვნენ. მათ ხალხში ისევ შიში და შეშფოთება შეიტანეს.

ალბა. როგორცა ჩანს, თქვენ მაგ სიტყვებით იმის თქმა გნე-

ბავთ, რომ უფრო გონივრული იქნებოდა, მეფეს აქ არ გამოეგზავნე და შესაძლებლობა არ მოეცა ჩემთვის თქვენთან შეხვედრისა და საუბრისა.

ეგმონტი. მომიტევეთ! მე იმის განსჯაში არ შევალ, თუ რა უნდა ექნა ხელმწიფეს: ჯარი გამოეგზავნა თუ მარტო მისი უდიდებულესობის მობრძანებით ამ ამბებზე უფრო მეტი გავლენა მოეხდინა... ჯარი აქ არის, მეფე კი არ ჩანს. მაგრამ ჩვენ დიდად უმადურნი და ძალუმი გულმავიწყნი აღმოვჩნდებოდით, რომ აღარ გაგვეხსენებინა, რაოდენ დავალებულნი ვართ მმართველისაგან. როგორ არ უნდა ვაღიაროთ, რომ თავისი გონივრული და გაბედული მოქმედების მეოხებით, ძალისა და ავტორიტეტის გავლენით, ხერხითა და შეგონებით დაამშვიდა აჯანყებულნი და ახლამთელ ქვეყანას უკვირს, რომ სულ რამდენიმე თვეში ამბოხებული ხალხი თავის მოვალეობას დაუბრუნა.

ალბა. მაგას ვერ უარვყოფ. მღელვარება დამშვიდებულია და ყოველი მოქალაქე თითქოს დაუბრუნდა მორჩილების საზღვრებს. მაგრამ განა ყოველი მათგანის თვითნებობაზე არ არის დამოკიდებული ამ საზღვრების დარღვევა? ხალხს ვინ დაუშლის, რომ კიდევ აჯანყდეს? სად არის ძალა მის შესაჩერებლად? ვინ დაგვიდგება იმის თავდებად, რომ იგი მომავალშიც ერთგულად და მორჩილად მოიქცევა? მხოლოდ მათი კეთილი სურვილია ერთადერთი საწინდარი. რაც ამჟამად ჩვენ გაგვაჩნია.

ეგმონტი. ნუთუ ხალხის კეთილი სურვილი ყველაზე მტკიცე და კეთილშობილ საწინდარს არ წარმოადგენს? ღმერთო ჩემო, როდის შეუძლია ხელმწიფემ ყველაზე მტკიცედ იგრძნოს თავი, თუ არა მაშინ, როცა ყველა ერთისათვის და ერთი ყველასთვის მაგრად იღებება? ამაზე მეტი სიმტკიცე რაღა იქნება შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ?

ალბა. მაგრამ ჩვენ ჩვენს თავს ხომ ვერ დავარწმუნებთ, რომ ახლა აქ სწორედ მაგგვარი მდგომარეობაა?

ეგმონტი. გამოსცეს ხელმწიფემ საყოველთაო ამნისტია და ხალხის გულს ამით დაამშვიდებს; მალე ვნახავთ, რომ ნდობასთან ერთად იგი ხალხის სიყვარულს და ერთგულებასაც მოაპოვებს.

ალბა. და ყოველმა კაცმა, ვინც მეფის უდიდებულესობა და სარწმუნოების სიწმინდე შეურაცხყო, ისევ თავისუფლად უნდა იაროს? დანარჩენებს ცოცხალი მაგალითი მივცეთ, რომ საშინელი დანაშაული დაუსჯელი რჩება?

ეგმონტი. ნუთუ სიმთვრალითა და უგუნურებით ჩადენილი დანაშაული არ უნდა მიეტეოს ადამიანს და სასტიკად უნდა დაისაჯოს? განსაკუთრებით მაშინ, როცა ასე დიდი იმედი გვაქვს და მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ ბოროტება აღარ განმეორდება? განა მეფეთა ძალა-უფლება ამით უფრო არ განმტკიცდება? ნუთუ თანამედროვეთა და შთამომავალთაგან უფრო მეტად არ განდიდებულან ის მეფენი, რომელთაც შესძლეს შეენდოთ მათი ღირსების შეურაცხყოფა და დამნაშავეს სიბრალულთა და ზიზლით უყურებდნენ? განა ისინი სწორედ ამის გამო არ შეედრებოდნენ ღმერთს, რომელიც ისე დიდია, რომ მას ვერავითარი კიცხვა და გმობა ახლოსაც ვერ გაეკარება?

ალბა. სწორედ ამის გამო მეფემ ღირსებისა და სარწმუნოების გულისათვის, ჩვენ კი ხელმწიფის პატივისცემისათვის უნდა ვიბრძოლოთ. რასაც ხელმწიფე ზიზლით გვერდს აუვლია, მასზე ჩვენ უნდა ვიძიოთ შური. თუ მე მკითხავთ, არც ერთი დამნაშავე არ უნდა დარჩეს დაუსჯელი.

ეგმონტი. ნუთუ ფიქრობთ, რომ ყველა დამნაშავეს აღმოაჩენთ? განა ყოველდღე არ გესმით, რომ შიში სდევნის მათ ერთი ადგილიდან მეორეზე და ბოლოს კი ამ ქვეყნიდან მიეჩეკება? მდიდრები სხვაგან გაიქცევიან თავისი ქონებით, ცოლ-შვილითა და მეგობრებით, ღარიბები კი თავიანთ ხელებს მეზობელ ქვეყნებს შესთავაზებენ.

ალბა. ეგრე იზამენ, თუკი ჩვენ მათ არ დავუშალოთ. სწორედ ამიტომ ითხოვს ჩვენი ხელმწიფე რჩევასა და საქმიან დახმარებას ყოველი თავადისა და გამგებლისაგან და არა უსაქმო ყბედობასა და იმის განსჯას, ახლა როგორაა საქმე ან რა მოხდება, თუ ყოველივე ისე დარჩა, როგორც ამჟამად არის. უდიდეს ბოროტებას როცა ხედავს ადამიანი და მაინც თავს იტყუებს დროის იწილით, ზოგჯერ კი ხელჩართულ ჩხუბში ჩაერთვება, რომ ხმა გავარდეს, თითქოს რაღაცა გაკეთდაო, და ეს ყოველივე ხდება იმ დროს, როდესაც სინამდვილეში მას ხელის განძრევაც არა სურს, განა ასეთი მოქმედება ეჭვს არ ბადებს, რომ იგი სიამოვნებით უყურებს აჯანყებას და, თუმცა ამ არეულობას არ აქეზებს, ყოველთვის მხად არის მას ფარულად მხარი დაუჭიროს?

ეგმონტი. (ლამის რისხვით აინთოს, შემდეგ თავს შეიკავებს და მცირე პაუზის შემდეგ ლაპარაკს დაიწყებს). როდი ამქალაქებს ყველა კაცი თავის განზრახვას და მრავალნი არიან ისეთნიც, რომელთა აზრი

სხვებს სწორად არ ესმით. აი, ყველგან ლაპარაკობენ, თითქოს ხელმწიფეს განზრახული იმდენად ის კი არ აქვს, რომ პროვინციები განაგოს ნათელი, ყველასათვის საერთო კანონებით, განამტკიცოს სარწმუნოების სიდიადე და თავის ხალხს მიანიჭოს საყოველთაო სიმშვიდე და კეთილდღეობა, რამდენადაც ის, რომ იგი სამუდამოდ დაიმონოს, წაართვას ძველისძველი უფლებები, ხელთ იგდოს მთელი მისი ავლადიდება და შეავიწროოს თავად აზნაურობის დიდებული თავისუფლება, რომლის გულისათვის თავადობა მხოლოდ მას ემსახურება და თავის სულითა და ხორციით, თავისი სიცოცხლით მსხვერპლად ეწირება. სარწმუნოება, როგორც ყველგან ლაპარაკობენ, ის საუცხოო ფარდაა, რომლის უკან უფრო იოლად ამადებენ ყოველგვარ საშინელ განზრახვას. ხალხი ზუტის იყრის, იგი ლოცულობს ამ ფარდაზე გამოსახულ წმინდანებზე, ფარდის უკან კი დამალული არის მახის დამგები, რომელიც მსხვერპლს ფრთხილად უთვალთვალავს.

აღბა. ამას შენგან უნდა ვისმენდე?

ეგ მონტი. ეს ჩემი აზრი არ არის! ეს მხოლოდ ის არის, რასაც ხან აქ და ხან იქ ამა ქვეყნის დიდნიც და მცირენიც, ქვეანნიც და სულელნიც ხმამალა ლაპარაკობენ და რასაც ყველგან იმეორებენ. ნიდერლანდელებს ეშინიათ ორმაგი ულლისა და ანკივინ დაუდგება იმის თავდებად, რომ თავისუფლება არ წაერთმევათ?

აღბა. თავისუფლება? მშვენიერი სიტყვაა, ვინც ამ სიტყვას სწორად გაიგებს. მაგრამ ისინი როგორ თავისუფლებას მოითხოვენ? ან რას წარმოადგენს ყველაზე ქეშმარიტი თავისუფლება?.. თუ იგი ნიშნავს კანონიერ მოქმედებას, მაშინ მეფე არ წავა ანის წინააღმდეგ. არა! არა! მათ თავისუფალ ადამიანებად არ მიაჩნიათ თავი, თუ არ შეეძლება თავიანთი თავისა და სხვისი ვნება. განა უმჯობესი არაა, კაცმა ხელი აიღოს ყოველგვარ ძალა-უფლებებზე, ვიდრე მართოს ასეთი ხალხი? გარეშე მტრები რომ შემოიჭრენ, რატევ არც ერთი მოქალაქე არა ფიქრობს, რადგან იგი გართულია თავისი ყოველდღიური გაწამაწიით, და ხელმწიფემ მოითხოვოს დახმარება, ნიდერლანდელები მაშინვე უთანხმოებას ასტიენ ერთმანეთში და ადვილად გადავლენ მტრის მხარეზე გაცილებით უკეთესია ხალხი ძალით მართო, ბავშვივით ხელში აიკვანო და იქით წარუძღვე, სადაც მისთვის უკეთესია. დარწმუნებული იყავი,

რომ ხალხი არასოდეს მომწიფებული ასაკისა არ გახდება და არც გონიერი, ის ყოველთვის ბავშვად დარჩება.

ეგ მონტი. გონიერებამდე მეფეც ძალზე იშვიათად მიაღწევს ხოლმე განა უფრო უცუქარი არ იქნება, ბევრს ერწმუნოს, ვიდრე ერთ რომელიმეს? და არცთუ ერთ რომელიმეს, არამედ მის უმნიშვნელო ხროვას, ხალხს, რომელიც თავისი მბრძანებლის წინ მოხუცებულობაში შედის. აი, მხოლოდ მას აქვს უფლება გახდეს გონიერი.

აღბა. იქნება ეს ასე სწორედ იმიტომ იყოს, რომ ის ხალხი თავის თავს არ ენდობა.

ეგ მონტი. ამიტომაც არავინ მოისურვებს ასეთ ხალხს მიენდოს. ვისაც რა უნდა, ისა ჰქნას, მე შენს კიბხვას უკვე ვუბასუხე და კვლავ ვიმეორებ: ასე საქმე კარგად არ წავა და არც შეიძლება წავიდეს! კარგად ვიცნობ ჩემს თანამემამულეებს. ისინი ვაჟკაცები, ღვთის გაჩენილ მინაზე სიარულის ღირსნი არიან. ყოველი მათგანი უფალია თავის თავისა, პატაოა მეფეა, მტკიცე, გულდინჯი, უნარიანი, ერთგული და დამცველი ძველი ადამ-წესებისა. ძნელია მოიპოვო მისი ნდობა, მისი შენარჩუნება კი ძალზე ადვილია. ეს ადამიანები მტკიცე და შეუდრეკელი არიან. მათი დათრგუნვა შეიძლება, დამონება კი არასოდეს.

აღბა (რამდენჯერმე მიიხედ-მოიხედავს ირგვლივ). ეს ყველაფერი შეგიძლია ხელმწიფის წინ გაიმეორო?

ეგ მონტი. ძალზე ცუდი იქნებოდა, თუ ასე შემაშინებდა მეფის ნახვა. ხელმწიფისა და მისი ხალხისათვის კი უმჯობესი იქნება, თუ იგი უფრო გამამხნევეს და მე უნდობას გამომიცხადებს, რომ კიდევ მეტი ვუთხრა.

აღბა. რაც სასარგებლოა, მეც ისევე მოვისმენ, როგორც იგი.

ეგ მონტი. მე მას ვეტყობდი: მეცხვარეს ადვილად შეუძლია გაირეკოს წინ თავისი ფარა. წინააღმდეგობის გაუწევლად მიაქვს ხარს გუთანი, მაგრამ თუ გნებავს კეთილშობილ ცხენზე შეჯდე და გააქენო, ჯერ უნდა შეიტყო ამ ცხენის ხასიათი და მისგან ისეთი რამ არ მოითხოვო, რაც არაგონიერული იქნება. იმი-თვის სურს ნიდერლანდელ მოქალაქეს დაიცვას თავის ქვეყანაში ძველი წესები და თავისი თანამემამულენი გამგებლებად ჰყავდეს, რომ კარგად იცის მათი გამგებლობის უნარი, მხოლოდ იმათგან მოეღის უანგარობასა და თანაგრძობას თავისი ბედისადმი.

აღბა. მაშ მმართველს იმდენი ძალა არ უნდა ჰქონდეს, რომ შესცვალოს ეს ძველისძველი ადათ-წესები? განა ეს მისი ყველაზე საუკეთესო ხედვით არ არის? რა არის მუდმივი ამ ქვეყანაზე? ნუთუ მართო სახელმწიფო წყობილება უნდა დარჩეს უცვლელი? ნუთუ გარკვეული დროის განმავლობაში არ უნდა შეიცვალოს ადამიანის ყოველგვარი დამოკიდებულება და სწორედ ამიტომ მოქველებული წყობილება ხომ გახდება ათასი უბედურების მიზეზი, რადგან იგი ვეღარ დააკმაყოფილებს ხალხის ახალ მოთხოვნილებას? მე მეშინია, ეს ძველისძველი უფლებები მხოლოდ იმიტომ არ იყოს ასე საყვარელი, რომ ქვიანი და ძლიერი ადამიანი მასში ყოველთვის ჰპოებს გასაძრომსა და თავშესაფარს ხალხისა და მთელი ქვეყნის საზიანოდ.

ეგ მონტი. მაგრამ ეს თვითნებური ცვლილებანი და ეს შეუზღუდავი ჩარევა უმალღესი ხელისუფლებისა განა იმას არ ამტკიცებს, რომ ერთ კაცსა სურს ის გააკეთოს, რის გაკეთებასაც ათასებიც ვერა ბედავენ? მას მხოლოდ თავის თავისათვის სურს თავისუფლება, რომ დაიკმაყოფილოს ყოველგვარი სურვილი და ყოველი განზრახვა აისრულოს. და თუ ჩვენ მას, კეთილსა და გონიერ ხელმწიფეს, მთლიანად მივუდობით. დაგვიდგება ის თავისი შთამომავლობის თავდებად? ალგვიტქვამს, რომ არც ერთი მათგანი არ გასთელავს ჩვენს უფლებებს და ძველებური პატივისცემით დაგვიწყებს მართვას? ვინ გვიხსნის მაშინ სრული თვითნებობისაგან, მეფემ რომ ჩვენთან თავისი ხელქვეითი, თავისი მახლობელი ადამიანები გამოგზავნოს, და იმათ კი, ქვეყნისა და მისი საჭიროების გაუცნობლად, როგორც თვითონ მოისურვებენ, ისე დაუწყონ ხალხს მართვა და, რაკი არავითარ წინააღმდეგობას არ შეხვდებიან, თავისუფლად ჩათვალონ თავი ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან?

აღბა (ხელახლა მიმოიხედავს ირგვლივ). განა სრულიად ბუნებრივი არ არის, რომ მეფემ ხალხს თავისი შეხედულებებით დაუწყოს გამგებლობა და, სწორედ ამიტომ, ყველაზე სასურველი თავისი ბრძანებების აღსრულება იმათ მიანდოს, რომელთაც მისი ყველაზე კარგად ესმით, ყველაზე მეტად სურთ გაიგონ მისი სურვილი და რომელნიც ერთგულად, განუხრელად ასრულებენ ხელმწიფის ნებას?

ეგ მონტი. ასევე ბუნებრივია, როცა მოქალაქეს სურს მართავდეს ის ადამიანი, ვინც მასთან ერთად დაიბადა და გაიზარდა, ვინც სამართლიანობასა და უსამართლობას ისეთივე თვალთ უყურებს, როგორც თვითონ, და რომელიც საკუთარ ძმად მიიჩნია.

აღბა. მაგრამ მაგ თავად-აზნაურობას რომ თავის ძმებთან თანაბრად არ გაუყვია ქვეყნის სიმდიდრე?

ეგ მონტი. ეს ასეული წლების წინათ მოხდა და ახლა შური ალარ უყურებენ ამ საქმეს. მაგრამ ყოველგვარი საჭიროების გარეშე რომ გამოგზავნონ ახალი კაცები, რომელნიც მეორედ მოისურვებენ გამდიდრებას ხალხის ხარჯზე და ყველამ რომ თავი იგრიოს სასტიკი, გაბედული და აულაგმავი სიხარბის მსხვერპლად, ეს ხომ ისეთ მღელვარებას გამოიწვევს, რომელიც შეიძლება ასე ადვილად და ასე თავისით ვეღარ დაწყნარდეს.

აღბა. შენ ისეთ რამეს მეუბნები, რომ მე მისი მოსმენა არ შემეფერის; მეც უცხო კაცი ვარ.

ეგ მონტი. რაკი ამას შენ გეუბნები, ეს იმას ნიშნავს, რომ არ იყავხარ მხედველობაში.

აღბა. მაინც არ მსურს ამგვარი რამ შენკან მოვისმინო. ხელმწიფემ აქ იმ იმედით გამოგზავნა, რომ ვპოვო თავად-აზნაურობის მხარდაჭერა და შენწეობა. იგი მოითხოვს აღვასრულოთ სურვილი მისი. დიდი დაკვირვების შემდეგ ხელმწიფე მიხვდა, ხალხს რაც ესაჭიროება. საქმე იმ მდგომარეობაში ვეღარ დარჩება, როგორც აქამდისა ყოფილა. ხელმწიფეს განზრახული აქვს, თქვენივე სიკეთისათვის შეგზულდოთ და, თუ სხვაგვარად არ მოხერხდება, ძალა დაგატანოთ თქვენივე კეთილდღეობის გულისათვის და მანებელი მოქალაქენი მსხვერპლად გამოიმეტოს, რომ ამით დანარჩენებმა მშვიდად იცხოვრონ და დასტკბენ გონიერი მმართველობის მიერ შექმნილი ბედნიერებით. ეს არის მისი გადაწყვეტილება. მე კი ნაბრძანები მაქვს, იგი აქაურ თავად აზნაურობას შეკატყობინო და ხელწიფის სახელით მოვითხოვო რჩევას, რა გზით შევასრულოთ ეს ბრძანება, და არა იმას, რა უნდა ვქნათ, რადგან ეს მისგან უკვე გადაწყვეტილია.

ეგ მონტი. სამწუხაროდ, შენი სიტყვები მთლიანად ამართლებენ ხალხის შიშს! საყოველთაო შიშს! მაშ ძან გადაწყვიტა ის, რაც არც ერთ მეფეს არ უნდა გადაეწყვიტა? მე ვეს სურს დაასუსტოს, მოსტეხოს და გასრისოს თავისი ხალხის ძალა და ჰხნეობა, მბრძანებლისადმი პატივისცემა ამ ხალხისა მხოლოდ იმისათვის, რომ მოხერხებულად განაგოს იგი. მას სურს ძირფესვიანად ამოაგდოს ამ ხალხის ერთგული სული, მისივე ბედნიერების გულსათვის რაღა თქმა უნდა. ხელმწიფეს სურს მოსპოს ეს ხალხი, რომ მის ნაცვლად აღმო-

ცენდეს სულ სხვა, ახალი რაღაც. თუ მეფე ფიქრობს, რომ მას კეთილი განზოახვა აქვს, დიდადა სცდება. არავინ არ გამოდის მეფის წინააღმდეგ. ხალხი მხოლოდ იმის წინააღმდეგია, რომ ხელიწიფე ამ მოლიპულ გზაზე თავის პირველ საბედისწერო ნაბიჯებს ადგამს.

ა ლ ბ ა. თუ წინ მაგას ფიქრობ, ამაოდ დავაშვრალეაოთ ჩვენი შეხედულებების შესათანხმებლად. ჩანს, ძალზე ცუდი აზრისა ხარ ხელმწიკეზე და გეზიზდება მისი რჩევა, რაკი გეეჭვება, რომ ყველაფერი კარგად მოფიქრებული, შემოწმებული და უკვე დიდი ხნის აწონილ-დაწონილი არ არის. მე დავალებული აო მაქვს, რომ ამის საწინააღმდეგო და სასარგებლო საბუთები ხელახლა გავსინჯო და შევამოწმო. მორჩილებას მოვითხოვ ხალხისაგან და თქვენგან კი, მისი კეთილშობილი მოთავეებისაგან, — რჩევასა და საქმეს, როგორც საწინდარს თქვენი უსიტყვო, უყოყმანო მორჩილებისა.

ე გ მ ო ნ ტ ი. მოითხოვე ჩვენი თავები და საქმე ერთხელ და სამუდამოდ გაათავეთ. თუნდა კისერი წახარო ულის დასადგმელად, თუგინდ თავი დასდო ჯალათის კუნძზე, განა ეს ორივე ერთი არ არის კეთილშობილი გულისათვის? ამაოდ ჩამიარა ამდენმა ლაპარაკმა: მხოლოდ პაერი შევარხიე, სხვა კი ვერა გავარიგე რა.

შემოდის ფერდინანდი.

ფერდინანდი. მომიტეიეთ, რომ ლაპარაკი შეგაწყუციტინეთ. წერილი მოვიდა. მისი მომტანი დაუყოვნებლივ პასუხს ელის.

ა ლ ბ ა. ნება მიბოძეთ, წერილის შინაარსს გავეცნო. (განუ გავა.)

ფერდინანდი (ფვმონტს). რა მშენიერი ცხენი მოიყვანეს მსახურებმა თქვენს წასაყვანად.

ე გ მ ო ნ ტ ი. სხვებზე ცუდი არ არის. დიდი ხანია, რაც ის ცხენი მყავს, და ვფიქრობ, გავყიდო. თუ თქვენ მოგწონთ, ადვილად მოვრიგდებით.

ფერდინანდი. კეთილი! ვნახოთ! (ალბანინშნებს თავის შვილს, რომელიც აჩქარებით კუთხისაკენ წავა.)

ე გ მ ო ნ ტ ი. მძვილობით! გამანთავისუფლეთ! არ ვიცი, ღმერთმანი, მეტი რაღა უნდა გიოხრაო.

ა ლ ბ ა. ბედნიერმა შემთხვევამ ხელი შეგიშალა, უფრო ნათლად გადმოგეშალა შენი განზრახვა. წინდაუხედავად ახადე ფარდა მაგ გულის იღუმალ კუნჭულებს და საკუთარი თავი ისე შეუბრალებლად ამხილე, რომ ასე შენი დაუნდობელი მტერიც კი ვერ იზამდა.

ე გ მ ო ნ ტ ი. ეს საყვედური მე ვერ ამაღლევის. საკმაოდ ვიცნობ საკუთარ თავს და ვიცი, რაოდენ ერთგული ვარ ხელმწიფისა; ბევრად ერთგული, ვიდრე ის მრავალნი, რომელნიც თითქოს მეფეს მსახურებენ, სინამდვილეში კი საკუთარ თავსა. ვწუხვარ, რომ მე ეს დავა ვერ დავასრულე და მხოლოდ ერთი მსურს, მეფისადმი სამსახურში და სამომბლოს კეთილდღეობამ მალე შეგვაერთოს. ამ საუბრის განახლება სხვა თავადთა თანდასწრებით, რომელნიც დღეს აქ არ არიან, და უფრო ბედნიერ წამს, შეიძლება მიგვალწევინოს იმისათვის, რაც ახლა შეუძლებელი გგონია. ამ იმედით მე გტოვებთ ახლა.

ა ლ ბ ა (აშინვე ანიშნებს თავის შვილს ფერდინანდს.) შეჩერდი, ეგ-მონტ! შენი ხმალი! (შუა კარი იღება: მოჩანს გუშაგებით სავე ღერეფანი. გუშაგები გაუნძრევლად დგანან.)

ე გ მ ო ნ ტ ი (გაოცებული რამდენიმე ხანს ხმას ვერ იღებს.) აი, თურმე რა გაგიზრახავს! ამისათვის მიხმე? (ხმალს იშიშვლებს, თითქოს თავი უნდა დაცვასო.) მაგრამ განა უიარალო ვარ?

ა ლ ბ ა. ეს მეფის ბრძანებაა, შენ ჩემი ტყვე ხარ! (მაშინვე შემოვლენ ორივე მხრიდან გუშაგები.)

ე გ მ ო ნ ტ ი (პაუზის შემდეგ). მეფის?.. ორანელო! ორანელო! (პასუხის შემდეგ გაუწვიდის ალბას ხმალს.) მაშ მიიღე იგი! ჩემი ხმალი უფრო ხშირად მეფის საქმეს იცავდა, ვიდრე ამ მტერს. (გადის შუა კარიდან. ოთახში მყოფი გუშაგები თან გაჰყვებიან, მას მისდევს ალბას შვილიც. ალბა რჩება. ფარდა ეშვება.)

## მეხუთე მოქმედება

ქუჩა. ბინდი

კლერხენი. ბრაკენბურგი. მოქალაქენი.

ბრაკენბურგი. მითხარ, ძვირფასო, ღვთის გულისთვის, რა გაგიხრახავს?

კლერხენი. წამოდი ჩვენთან, ბრაკენბურგ! შენ ხალხს კარგად არ იცნობ; ჩვენ მას ნაძღვილად გავათავისუფლებთ. აბა რა შეედრება მათ სიყვარულს ეგმონტისადმი? გეფიცები, ყოველი მათგანი დაუცხროპელ სურვილსა გრძნობს, დაიხსნას იგი, გადაარჩინოს ძვირფასი სიცოცხლე საფრთხისაგან და თავისუფლება დაუბრუნოს ყველაზე თავისუფალ ადამიანს. წამოდი! მხოლოდ ერთი ხმის ამოდებაა საჭირო, რომ ხალხი შემოიკრძეს. მათ ხომ ჯერ კიდევ ცოცხლად ახსოვთ, რამდენად დავალებულნი არიან ეგმონტისაგან. ყველამ იცის, რომ მხოლოდ მის ძლიერ ხელს შეუძლია მათი დახსნა დაღუპვისაგან. ეგმონტისა და თავიანთ გულისათვის მათ ყველაფრის რისკი უნდა გასწიონ. და რით უნდა გავწიოთ რისკი? სიცოცხლით, რომელიც ყველაფერზე ძვირფასია ჩვენთვის, მაგრამ მის შენარჩუნებაზე ფიქრიც არა ღირს, თუ ეგმონტი დაიღუპება.

ბრაკენბურგი. უბედურო! ნუთუ ვერა ხედავ იმ ძალას, რომელმაც რკინის ბორკილები დაგვადო?

კლერხენი. ეგ ბორკილები მე დაუძლეველი არ მეჩვენება. ტყუილად ნუ ეხარჯავთ სიტყვებს! აქ მოდიან მოხუცი, პატიოსანი, გულადი მამაკაცები. მომისმინეთ, მეგობრებო! მესობლებო! გამიგონეთ! მითხარით, რა დაემართა ეგმონტს?

დურგალი. რა უნდა ამ გოგონას? გააჩუმეთ!

კლერხენი. ახლოს მოიწით, რომ შევიძლოთ ჩუმად ლაპარაკი, სახამ არ შევევრთდებით და გავძლიერდებით. ერთი წამიც არ დავაყოვნოთ! თავხედმა ტირანმა, რომელმაც მისი დატყვევება გაბედა, უკვე ხანჯალი იშიშვლა მის მოსაკლავად. ო, მეგობრებო! ამ იწუხარე ბინდის ყოველი ნაბიჯით მოახლოვებაზე მე შიში მიპყრობს. მეშინია ამ ღამისა. წავიდეთ! ცალ-ცალკე გავიყოთ, სწრაფად შემოვიბრძინოთ ყოველი უბანი და მოვუხმოთ ყველა მოქალაქეს. დაე ყველამ ხელში აიღოს თავისი ძველებური იარაღი. ბაზრის მოედანზე შევიკრიბოთ ისევ. ჩვენი მღელვარე ნაკადი ყოველ ადამიანს თან გაიტაცებს. მტერი თავის თავს ალყაშემორტყმულს რომ იხილავს, ვეღარ გაგვიმაგრდება და გაისრისება. რა წინააღმდეგობის გაწევა შეუძლია ერთ მუჭა მონებს? ის კი ისევ ჩვენს შორის დაბრუნდება, განთავისუფლებულს ნახავს თავის თავს და ერთხელ მაინც გვეტყვის ჩვენ მადლობას, ჩვენ, რომელნიც ასე დიდად დავალეზულნი ვართ მისგან. მან კი შეიძლება კიდევ იხილოს... ო, არა, რა თქმა უნდა, იგი კიდევ იხილავს დილის ცისკარს უღრუბლო ცაზე.

დურგალი. რა მოგდის, გოგონავ?

კლერხენი. ნუთუ ვერ მიმიხვდით? გრატე გელაპარაკებით! ეგმონტზე გელაპარაკებით.

იეტერი. სახელს ნუ ახსენებ! იგი სიკვდილის მომასწავებელია.

კლერხენი. სახელს ნუ ახსენებო! როგორ? ეს სახელი აღარ ვახსენო? ვინ არ წარმოსთქვამს ამ სახელს ყოველი მარჯვე შემთხვევის დროს? სადღა არა სწერია იგი? ვარსკვლავებით მოქედნილ ცაზე ხშირად ამომიკითხავს ამ სახელის ყოველი ასო. აღარ ახსენოო! ეს რაღა ამბავია? მეგობრებო! ძვირფასო, კეთილო მეზობლებო, თქვენ ბოდავთ; გონს მოდით! ნუ შემომცქერით ასე გაშტერებით, ასე შეშინებულნი! ეგრე დამფრთხალნი ნუ იყურებთ აქეთიქით! მე მხოლოდ იმისაკენ მოგიწოდებთ, რაც ყოველ თქვენგანსა სურს! განა ჩემი ხმა თქვენი საკუთარი გულის ხმა არ არის? რომელი თქვენგანი არ დაემხობა მუხლებზე ამ ღამით, სანამ თავის მშფოთვარე სარეცელს მიაშურებდეს, რომ ზეცას არ შესთხოვოს მისი განთავისუფლება? ჰკითხეთ ერთმანეთს! შეეკითხოს ყველა თავის თავს! რომელი არ წამოიძახებს ჩემთან ერთად: „თავისუფლება ეგმონტს, ანდა ჩვენც დავიხოცნეთ!“



იეტერი. ღმერთო, დაგვიფარე! მაშინ ხომ დიდი უბედურება დატრიალდება!

კლერხენი. გაჩერდიო! გაჩერდიო! ნუ გარბიხართ იმ ადამიანის სახელის ხსენებაზე, ვისაც წინათ მხიარულად ეგებებოდით. იყო დრო, როცა ხმა გავარდებოდა: „ეგმონტი მოდის! ის გენტიდან ბრუნდება!“ და თავს ბედნიერად სთვლიდნენ იმ ქუჩის მცხოვრებნი, რომელზეც მას უნდა გაეგლო. როდესაც მისი ცხენის ფეხის ხმა შემოგესმებოდათ, ყოველი თქვენგანი სტოვებდა თავის სამუშაოს, მოიბრუნდით ფანჯრებთან და თქვენს დაღლილ სახეებს მისი მზერა მზის შუქივით მოეფრებოდა, როგორც ნათელი სიხარულის და იმედისა. კარის ზღურაღთან დაყუდებულნი ხელში იყვანდით ბავშვებს და ეუბნებოდით: „აი, ის ეგმონტია, დიდი ეგმონტი! ეგ არის იგი, სწორედ იგი, ვისგანაც უკეთეს დროს უნდა მოელოდეთ, ვიდრე თქვენს უბედურ მამებს ჰქონდა!“ ისე ნუ იზამთ, რომ ოდესმე საკუთარმა შვილებმა გკითხონ: „სად არის იგი? სად არის ის დრო, რომელსაც თქვენ დაგვპირდით?“ ჩვენ კი აქ დრო ფუჭად გვეპარება უსარგებლო ლაყბობაში, ჩვენ მას ვლალატობთ.

სოესტი. გრცხვენოდეთ, ბრაკენბურგ! თავი არ დააღუბინოთ ამ ქალიშვილს! ააცილეთ უბედურებას.

ბრაკენბურგი. წავიდეთ, ძვირფასო კლერხენ! რას იტყვის დედათქვენი? შეიძლება...

კლერხენი. ბავშვი ხომ არა გგონივარ, ან გაგიკებულნი? რად დაგჭირდა ეგ „შეიძლება“? ამ საშინელ რწმენას ვერავითარი იმედით ვერ მომისპობ... თქვენ უნდა მომისმინოთ და მომისმინთ კიდევაც. როგორც ვხედავ, განცვიფრებისაგან თავგზა დაჰკარგეთ და გონს ვეღარ მოსულხართ, საკუთარი გული ვეღარ გიპოვიათ. აბა ერთი სცადეთ და ამ საფრთხიზ აღსავსე აწმყოდან ძვალი მიაპყარით წარსულს, ახლოებულ წარსულს. შემდეგ კი მომავლისაკენ მიმართეთ ფიქრები. შეგიძლიათ სიცოცხლე ამის შემდეგ? ნუთუ იცოცხლებთ, თუ ეგმონტი დაიდუბება? მის უკანასკნელ ამოსუნთქვასთან ერთად მეწყდება თავისუფლების სუნთქვაც. რაღა არ იყო ის თქვენთვის? ვისი გულისათვის ჩაიგდო თავი ამ უდიდეს საფრთხეში? ჭოილობებიდან სისხლი მოსჩქეფდა და ისინი იკურნებოდა მხოლოდ თქვენი გულისათვის... და აი, ეს უდიდესი სული, ვინც ყველას თავის თავში გითავსებდათ, საპყრობილეთში გამომწყვდეული და მუხთალი მკვლევობის საფრთხე დასტ-

რიალებს თავს. შეიძლება ის ახლაც თქვენზე ფაქრობს, ის თქვენზე ამყარებს იმედს, ის, ვისაც სჩვევია მხოლოდ მოქმედება და თავის განწირვა.

დურგალი. წავიდეთ, ნათლიმამ!

კლერხენი. თქვენსავით არც მკლავი მიჭრის და არც გონება, მაგრამ ზე ის გამაჩნია, რაც თქვენ ყველას გაკლიათ: სიმამაცე და საფრთხის არად ჩაგდება. შემეძლოს მაინც თქვენთვის შთამებერა ჩემი მგზნებარე სული. შემეძლოს მაინც მკერდზე მიგიკრათ, გაგათბოთ და გამოგაცოცხლოთ! წამოდით! თქვენს შუა ჩავდგები! ისევე როგორც უმწიერ დროშას მიჰყავს ხოლმე მამაცი ჯარი დიდებისა და გამარჯვებისაკენ, დაე ჩემმა სულმა თქვენს თავებს ზემოთ იფრიალოს, ხოლო სიყვარულმა და მამაცობამ მერყევი, დაქსაქსული ხალხი შეაერთოს და მრისხანე, უძლეველ ლაშქრად გადააქციოს.

იეტერი. წაიყვანე! როგორ მეცოდება ეგ უბედური! (მოქალაქენი გადიან.)

ბრაკენბურგი. ნუთუ ვერა ხედავ, კლერხენ, სად ვიმყოფებით?

კლერხენი. სად? იმ ცის ქვეშ, რომლის თალი მე ასე ხშირად უფრო დიდებულა და მაღალი მეჩვენებოდა, როცა მის ქვეშ მიდიოდა ყველაზე კეთილშობილი ადამიანი. მაგ ფანჯრებიდან ოთხი-ხუთი ადამიანის თავი ერთად გამოჩნდებოდა ხოლმე, რომ ეგმონტი როგორმე დაენახათ. მაგ კარების წინ წრიალებდნენ ისინი და თავს უკრავდნენ, როცა იგი ცხენზე მჯდარი გადმოხედავდა ხოლმე ამ ლაჩრებს. როგორ მიყვარდა მე ისინი ასეთი პატივისცემისათვის. ეგმონტი რომ ტირანი ყოფილიყო, მათ სრული უფლება ჰქონდათ ზურგი შეექციათ, როცა უბედურებაში მყოფს იხილავდნენ. მაგრამ მათ უყვარდათ ეგმონტი. ო, ხელებო, ეგმონტის დანახვაზე წამსვე ქუდებს რომ ეცემოდით ხოლმე. ნუთუ ახლა მისი გულისათვის მახვილს არ წაეტანებით? ჩვენ კი რაღას ვაკეთებთ, ბრაკენბურგ? შეგვიძლია გავკიცხოთ ისინი? აი, ეს ხელები, რომლებიც მას ხშირად ეხვეოდნენ, რას აკეთებენ მისი გულისათვის?.. მომისმინე ცბიერებას რაღა არ გაუკეთებია ამქვეყნად... შენ იცი ძველ სასახლეში ყველა შესასვლელ-გამოსასვლელი. ქვეყნად შეუძლებელი არა არის რა, მოიფიქრე რამე.

ბრაკენბურგი. თუ შინ წავალთ!..

კლერხენი. კარგი.

ბ რ ა კ ე ნ ბ უ რ გ ი. იქ, იმ კუთხეში, ალბას გუშაგებს მოკვარი ძვალი; გონების ხმას დაუმორჩილე გული! ნუთუ მართლა მხდალი გგონივარ? განა არა გჯერა, რომ შენი გულისათვის შემძლია სიცოცხლეც კი გაეწირო? ჩვენ აქ ორივენი სულელებივითა ვდგევართ: მეც და შენც. ნუთუ ვერა გრძნობ, რომ ეს შეუძლებელია? ჭკუას მოეგე, გონება მთლად ნუ დაჰკარგე!

კ ლ ე რ ხ ე ნ ი. გონება მთლად დაეკარგე? რა სულმდაბლობაა! გონება თვითონ დაჰკარგეთ, ბრაკენბურგ! თქვენ ხომ მას გმირს ეძახდით, თქვენს მეგობარს, მფარველს და იმედს უწოდებდით და მასთან შეხვედრის დროს ჰყვიროდით: „გაშა!“ მაშინ მე ჩემი ოთახის კუთხეში მიმდკარი, ნახევრად გამოვალბდი ფანჯარას, მალულად ვისმენდი ყოველივე ამას და გული უფრო გამალებით მიცემდა, ვიდრე რომელიმე თქვენგანს. ახლაც იგი თქვენზე უფრო ძლიერ მიცემს. თქვენ იმალებით, როცა უბედურება თავს დაგვატყდა და მოქმედება არის საჭირო, ლალატობთ მას და ვერ გრძნობთ, რომ თქვენც ყველანი დაიღუპებით, როცა მისი აღსასრულის საათი დაჰკრავს.

ბ რ ა კ ე ნ ბ უ რ გ ი. წამოდი შინ!

კ ლ ე რ ხ ე ნ ი. შინ?

ბ რ ა კ ე ნ ბ უ რ გ ი. გონს მოდი ოღონდ! ირგვლივ მიმოიხედე. ეს ხომ ის ქუჩებია, სადაც შენ მხოლოდ კვირადღეობით გამოჩნდებოდი ხოლმე, როცა მოწიწებით მიემართებოდი ეკლესიისაკენ, სადაც იმაზეც კი გული მოგდიოდა, რომ მოგიახლოვდებოდი მეგობრული საღმისით. ახლა კი შენ დგებარ და ლაპარაკობ, ყველას მოქმედებისაკენ მოგვიწოდებ. გონს მოდი, ძვირფასო! ეს რას გვიშველის?

კ ლ ე რ ხ ე ნ ი. შინ! დიახ, მე უკვე გონს მოვედი. წამოდი შინ, ბრაკენბურგ! მაგრამ იცი, სად არის ჩემი სახლი, ჩემი სამშობლო? (გადიან.)

### საპყრობილე, სცენის ხილარეში დგას საწოლი ერთი ლაგვით განათებული

ე გ მ ო ნ ტ ი, მარტო.

ძველო მეგობარო! მარად ერთგულო ძილო, შენც გამირბინხარ, როგორც დანარჩენი მეგობრები? რა ნებივრად ეშვებოდი წინათ ჩემს თავისუფალ თავზე და მიგრძობდით საფეთქლებს, ვით წარმტაცი დაფნის გვირგვინი სიყვარულისა! ლაშქრობათა შორის, ჩემი

ცხოვრების მშფოთვარე გზაზე, მე ვისვენებდი შენს მკლავებში და მშვიდად ვსუნთქავდი, როგორც უმანკო ბავშვი. როცა ქარიშხალი რტოებსა და ფოთლებში ზუზუნებდა გულის წამლებად, როცა აპრი-ალებდა ხის ტანსა და ძლიერ ხრიდა მის კენწეროებს, გული მაინც რჩებოდა მშვიდად. ახლა რაღა გაკანკალებს? რა აძრწუნებს შენს მტკიცე და ერთგულ გონებას? ვიცი, ეს ჯალათის ცულის ხმა არის, რომელიც სჭრის ჩემი სიცოცხლის ფესვებს. თუმცა ჯერ კიდევ მაგრად ვდგევარ, მაგრამ ჟრუანტელი მივლის. დიახ, ის იმარჯვებს, ბოროტი ძალმომრეობა; ის ძირს უთხრის ჯანმაცარს, მაღალ ტანს და ვიდრე ქერქი გაუხმებოდეს, ხე დაიგრიალებს და ლაწანი-ნით ძირს დაეცემა.

მაგრამ შენ, ვისაც ასე ხშირად გაგიდევინა და საბნის ბურთულებივით გაგიქრია შენი თავიდან ყველაზე შემაშფოთებელი ფიქრები, რატომ არ შეგიძლია ახლაც მთლად გაჰფანტო საშინელი წინაგრძობანი, რომელნიც. ათასჯერ შენგან განდევნილნი, კვლავ შენსკენ ისწრაფიან და მოსვენებას არ გაძლევენ? დიდი ხანია, რაც სიკვდილი ასე გაშინებს? განა წინათ მყუდროდ არ ცხოვრობდი მის სწრაფცვალებად სურათებთან ერთად, როგორც დედამიწის სხვა შეჩვეულ საგნებთან შორის? არა, არ გაშინებს მე სიკვდილი, ეს სწრაფი მტერი, მასთან მამაც გულს ყოველთვის შეუძლია შეტბმა; ეს საპყრობილეა, სამარის პირველსახე, რომელიც ერთგვარად საზიზღარია როგორც გმირისათვის, ისე მხდალი ადამიანისათვის. რა აუტანელი იყო ჩემთვის რბილ სავარძელში ჯდომა, როდესაც სახელმწიფო საბჭოს სხდომას ვესწრებოდი ხოლმე და როცა თავადები გაუთავებლად მსჯელობდნენ იოლად გადასაჭრელ საკითხებზე. დარბაზის ბნელი კედლები და თაღები სულს მიხუთავდნენ. პირველი შესაძლებლობისთანავე გავეცლებოდი იქაურობას, სწრაფად მოვახტებოდი ცხენს, ღრმად ამოვისუნთქავდი და მივუშვებდი იქით, სადაც ჩვენ საკუთარ თავს ვეკუთვნი, — ველად, სადაც მესალმება მიწიდან სურნელოვანი სუნთქვით აღმოხეთქილი ყოველგვარი ქველმოქმედება ბუნებისა, ზეციდან კი ვარსკვლავთა კურთხეული ნათელი გეფარავს. სადაც, მიწისაგან შობილ ბუმბერაზის მსგავსად, ფეხებით ვეხებით ჩვენს დედას და ახალის ძალით გამაგრებულნი ზეცისაკენ ავიჭრებით ხოლმე. სადაც აშკარად ვგრძნობთ ჩვენს ძარღვებში მთელს კაცობრიობას და კაცობრიული წადილის ფითქვას, ახალგაზრდა მონადირის ანთებული სურვილით შეპყრო-

ბილნი მივისწრაფით გამარჯვების მოსაპოვებლად, ნადავლის ხელში ჩასაგდებად. დასაპყრობად, დასამორჩილებლად, მთელი ჩვენი ძალის გამოსაყენებლად. სადაც ჯარისკაცი აჩქარებული სიარულით ამქლავნებს თავის თანდაყოლილ უფლებას მთელს ქვეყანაზე და, აღსავე შემზარავი თავისუფლებით, გამანადგურებელი ქარიშხალივით გადაუვლის მდებარეებს, მინდვრებს, ტყეებს და სრულებით არა სცნობს იმ საზღვარს, რომელიც ადამიანის ხელს გაუვლია.

შენ მხოლოდ მოჩვენება ხარ, მხოლოდ სიზმარი, მოგონება იმ ბედნიერებისა, რომელსაც მე ასე დიდხანს ვფლობდი. სად მიგიყვანა ვერაგმა ბედმა? ნუთუ უარს გეუბნება იგი, სწრაფი სიკვდილი მოგანიჭოს მზის სინათლეზე, სიკვდილი, რომლისაც შენ არასდროს არ გშინებია და საზიზღარი სიდამპლის სუნთქვით წინასწარ გაგრძნობინებს მოახლოებული სამარის გემოს? რა საშინელი სუნი მოდის ამ ქვეებიდან. ძარღვებში სისხლი უკვე გამეყინა, მეშინია საწოლზე მოსვენება, მისცენ მიმავალს ფეხები უკან მრჩება, თითქოს კუბოს ვუახლოვდებოდე.

ო, ზრუნვავე, ზრუნვავე, ადამიანს ვადაჩე აღრე სიცოცხლეს რომ უსწრაფებ ხოლმე. მომწყდი თავიდან. რა დროიდან დარჩა ეგმონტი ასე მარტო, სრულიად მოძულეებული ამქვეყნად? შენ ბედნიერებამ კი არა, ეჭვიანობამ გაგხადა აგრე უგრძნობელი. ნუთუ მეფის სამართლიანობა, რომელიც წენ გწამდა მთელი სიცოცხლის მანძილზე, ნუთუ მმართველის მეგობრობა, რაც თითქმის(ახლა თამამად შეგიძლია ამაში შენს თავს გამოუტყდე), თითქმის სიყვარულში იყო გადაზრდილი, ასე ერთბაშად გაპქრენ, როგორც ღამის მოელვარე შუშუნები და მარტოდმარტო მიგატოვებს ამ ბნელ ბილიკზე? ნუთუ პრინცი ორანელი შენს მეგობრებს სათავეში არ ჩაუდგება და შენს შეველას არ განიზრახავს? ნუთუ არ აღდგება ხალხი და შეერთებული მრისხანე ძალით არ შეეცდება იხსნას თავისი ძველი მეგობარი?

ცივო კედლებო, ახლა რომ შეპყრობილი გყვეართ, წინ ნუ აღუდგებით ამდენ გულებს, ჩემს გამოსახსნელად რომ მოისწრაფიან! დაე იმათი გულებიდან უკანვე დაუბრუნდეს ჩემს გულს ის სიმამაცე, რომელსაც მათ ჩემი შეხვევა ანიჭებდა ხოლმე. ო, დიახ, ისინი აღდგებიან ათასობით! ისინი მოდიან! ისინი მე მომემბრობიან. მათი მხურვალე ლოცვა ააღწევს ზეცამდე, ეს ლოცვა სასწაულს მოითხოვს. და თუ არც ერთი ანგელოზი ჩემს დასახსნელად ძირს არ ჩამოემეება, ვიცი, ისინი მაშინვე ფარხმალს აიღებენ ხელში. აი, მათ ჭიშკარი ძირს დასცეს, ჯაჭვები დაამხვრიეს, კედ-

ლები გადმოანგრის და ეგმონტი წამოდგა უკვე, რომ მხიარულად შეეგებოს მზის პირველ სხივებთან ერთად შემოჭრილ თავისუფლებას. რამდენი ნაცნობი სახე მესალმება ალტაცებით! ეჰ, კლერხენ, მამაკაცი რომ ყოფილიყავი, აქ პირველად შენ გიხილავდი და მადლობას გადაგიხდიდი ამ თავისუფლებებისათვის, რომლის მიღება მეფეთაგან ასე ძნელია.

### კლერხენის სახლი

კლერხენი (გამოდის გვერდის ოთახიდან ღამითა და ჭიჭა წყლით ხელში. ჭიჭას მაგიდაზე დღამს და გაუმართება ფანჯრისაკენ). თქვენ ხართ, ბრაკენბურგ? მაშ რა მომესმა? კიდევ არავინ არის? არავინ! ღამას ფანჯარაში დავდგამ, დაე დაინახოს, რომ კვლავ მღეიძავს და მას ველოდები. იგი შემპირდა, ახალ ამბავს შეგატყობინებო. ამბავი? საშინელი დასტური, რომ ეგნონტი ნსჯაგრდადენჯლია! რონღმა სამსჯავრომ გაბედა მისი გასამართლება? მაგრამ მათ მიუხაჯეს. ვინ მიუხაჯა? მეფემ თუ ჰერცოგმა? მმართველი კი გაგვეცალა, ორანელი იგვიანებს, მისი მეგობრებიც არა ჩანან! მაშ ეს არის ის ხალხი, რომლის ღალატსა და გაუტანლობაზე ბევრი რამ მესმოდა და მაინც არ მჯეროდა? ეს არის ის ხალხი? ვინაა ისე ბოროტი, რომ შეიძლოს ყველაზე ძვირფასი ადამიანი? ნუთუ ბოროტება ეგრე მძლავრია, რომ ასე მალე დასცეს ადამიანი, ვისაც ყველა პატივსა სცემს? მაგრამ ეს ასეა, დიახ, ასეა. ო, ეგმონტ, მე კი მეგონა, რომ ღვთისა და ხალხის წინაშეც ისევე უშიშრად გრძნობდი თავს, როგორც ჩემს მკლავებში! რა ვიყავი შენთვის? მაგრამ შენი მიწოდე და მეც მსხვერპლად შენოვწირე ჩემი სიცოცხლე... რაღა ვარ ახლა? ამოდ ვიწვდი ხელს შენი ბოროტებისკენ. შენ უმწეო ხარ, მე კი თავისუფალი!.. აი, გასაღები ჩემი კარებისა, მინდა შემოვალ და მინდა გავალ, მაგრამ შენთვის არაფრის ვაკეთება არ შემიძლია. ო, შემბოჭეთ, თორემ ჭკუაზე შევირყევი, ბნელ საპყრობილეში ჩამამწყვდიეთ, რომ ნესტიან კედლებს ვახალო თავი, კრემლი ვაფრქვიო თავისუფლებაზე და ვიოცნებო, თუ როგორ ვიხსნიდი ეგმონტს, როგორ გავათავისუფლებდი მას, რომ მე თვითონაც შებოროტი არ ვიყო. ახლა კი თავისუფალი ვარ და სწორედ ამ თავისუფლებაში იმალება შიში ჩემი უძლურებისა, მე თვითონვე ვგრძნობ, რომ მის დასახსნელად თითის განძრევაც კი არ შემიძლია. ეჰ, სამწუხაროდ, შენი არსების პატარა ნაწილიც, შენი

კლერხენი შენსავით ტყვეა და შენგან განშორებული სიკვდილთან ბრძოლაში ამოდ ხარჯავს თავის უკანასკნელ ძალას... მესმის, ვილაც ჩემად მოიპარება, ახველებს... ბრაკენბურგი იქნება ალბათ. დიახ, ის არის!.. უბედურო, კეთილო ადამიანო, შენი ბედიც ჩემის მსგავსია; შეყვარებული შენ გაგიღებს კარს და მერე რარივ უბედური შეხვედრისათვის.

შემოდის ბრაკენბურგი.

რა ფერმკრთალი ხარ, რა უგუნებოდ გამოიყურები, ბრაკენბურგ! რა მოხდა?

ბრაკენბურგი. შორი გზა და განსაცდელი გამოვიარე, ვიდრე შენთან მოვალწევდი. მთავარ ქუჩებზე გუშაგები დგანან და პატარა შესახვევებითა და კუთხეებით მალვით შევქელი შენთან მოსვლა.

კლერხენი. მიახმე, როგორაა საქმე?

ბრაკენბურგი (ჯდება). ეჰ, კლერხენ, დამაცადე, ცრემლი ვაფრქვიო! მე არ მიყვარს იგი. ის მდიდარი იყო და საწყალი კაცის ერთადერთი ცხვარი თავის უკეთეს იალალზე გადაიტყუა. მაგრამ მე ის არასოდეს არ დამიწყევლია. ღმერთმა დამბადა ასეთი ერთგული და გულჩვილი. მწუხარებაში გადიოდა ჩემი სიცოცხლე და ყოველდღე ველოდი, თუ როდის შეწყდებოდა იგი.

კლერხენი. დაივიწყე ეგ, ბრაკენბურგ! დაივიწყე შენი თავი! მისი ამბავი მითხარ! მართლა სიკვდილი მიუსაჯეს?

ბრაკენბურგი. მიუსაჯეს! ნამდვილად ვიცი.

კლერხენი. და ის კიდევ ცოცხალია?

ბრაკენბურგი. დიახ, ის კიდევ ცოცხალია.

კლერხენი. მაგას რით დამიმტკიცებ? ტირანი ღამით ჰკლავს დიდებულ გმირს, ფარულად ღერის მის სისხლს, რომ ეს სისხლიანი ამბავი არავინ დაინახოს. გამოყრუებულ, დაშინებულ ხალხს სძინავს და ესინძრება მისი შველა, ეზმანება, რომ აღისრულებს უღონო სურვილს, ამ დროს კი ჩვენზე გულმოსული ეგმონტის სული ქვეყანას სტოვებს... ის აღარ არის!.. ნურც მე მატყუებ და ნურც შენს თავსა.

ბრაკენბურგი. არა, ნამდვილად ცოცხალია!... მაგრამ ვაი ჩვენს მოსწრებას... იმ ხალხს, ვისი გასრესაც ასე ძალიანა სურს, ესპანელი ისეთ საშინელ სანახაობას უმზადებს, რომ სამუდამოდ გაანადგუროს ყოველი გული, რომელიც კვლავ შესტრფის თავისუფლებას.

კლერხენი. განაგრძე და ჩემი სასიკვდილო განაჩენიც წარმოთქვი ბარემ! თანდათან უუახლოვდები ნეტარ მხარეს და უკვე ვგრძნობ საუკუნო განსასვენებლიდან მოქროლილ მანუგეშებელ სიოს. ილაპარაკე!

ბრაკენბურგი. ქალაქში განლაგებული გუშაგების ნახვითა და აქა-იქ ყურმოკრული საუბრიდან შევიტყვე, რომ ზაზრის მოედანზე საიდუმლოდ რაღაც საშინელებას ამზადებდნენ. ნაცნობი გასასვლელებითა და მოსახვევებით გავეფერი ჩემი ბიძაშვილის სახლისაკენ და მისი უკანა ფანჯრიდან გადავიხედე მოედანზე... ესპანელ ჯარისკაცებს დიდი წრე გაეკეთებინათ და აქა-იქ ჩირაღდნებიც კიაფობდნენ. პირველად ვერა გავარჩიე რა, მაგრამ როცა თვალი კარგად შევაჩვიე, ღამის სიბნელიდან ჩემს წინ აღმმართა შავი, უზარმაზარი, მალალი ეშაფოტი. ტანში შიშის ქრუანტელმა დამიარა. ირგვლივ საქმიანად ფუსფუსებდა მრავალი ადამიანი; ისინი ჩქარობდნენ, შავი მაუდი გადაეფარებინათ ჯერ კიდევ თერთრად მოელვარე ფიცარნაგისათვის. ეს რომ მოათავეს, კარგად დავინახე. კიბესაც შავი მაუდი გადააკრეს. ჩანდა, საშინელი მსხვერპლშეწირვისათვის ემზადებოდნენ. ცალ მხარეს ღამის სიბნელეში ვერცხლივით მოლაპლაპე თეთრი ჯვარცმა აღმართეს. ვუყურებდი, ვუყურებდი და თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ ეს საშინელი ამბავი სინამდვილე იყო. ჯერ კიდევ კიაფობდნენ აქა-იქ ჩირაღდნები, მაგრამ ბოლოს მთლიანად ჩაქრნენ და ამასთან ერთად ეს ღამის საშინელი ჩვენებაც ისევ მშობელი დედის წიაღს დაუბრუნდა.

კლერხენი. კმარა, ბრაკენბურგ! ახლა გაჩუმდი! ჩემს სულს რუ ჩამოაცლი ამ ღამის საბურველს. მოჩვენებანი გაჭქრნენ და შენ, კურთხეულო ღამევ, გადააფარე შენი მოსასხამი მშფოთვარე მიწას, რომელსაც აღარ ძალუძს ატაროს საზიზლარი ტვირთი. ის დააღებს თავის ღრმა ნაპრალებს და თვალის დახამხამებაზე შთანთქავს ამ სასიკვდილო ფიცარნაგს. ღმერთი კი გამოგზავნის თავის ერთ-ერთ ანგელოზს საზიზლარი მკვლევებისათვის თავლაფის დასასხმელად. წმინდა მოციქულის ფრთების შეხებაზე დაინსხვრევიან ციხის რკინის ურდულები, დაილეწებიან ბორკილები და იგი მშვენიერ ნათელში გაახვევს თავს მეგობარს, ნაზად, ჩუმად გაიქვანს ამ ბნელი ღამიდან თავისუფლებისაკენ. მეც ხომ ამ სიბნელეში საიდუმლოდ მივიღვივარ მის შესაგებებლად.

ბ რ ა კ ე ნ ბ უ რ გ ი (აჩრებს). ჩემო ძვირფასო, სად მიდიხარ? რა განიზრახე?

კ ლ ე რ ხ ე ნ ი. ჩუმად, ძვირფასო, არავინ გაიღვიძოს! ჩვენ თვითონ არ გავაღვიძოთ ჩვენივე თავი! გეცნობა ეს ბუშტულა, ბრაკენბურგი? მე ხუმრობი? წაგართვი იგი, როცა ერთხელ, ჩვეულე-ბისამებრ, შემუქრებოდი, თავს მოვიკლავო... ახლა კი, ჩემო მეგობარო...

ბ რ ა კ ე ნ ბ უ რ გ ი. ყიელა წმინდანის გულისათვის!

კ ლ ე რ ხ ე ნ ი. შენ ხელს ვერ შემოშლი. ჩემი ხვედრი სიკვდილია. მაშ ნება დამართე. შევსვა ეს ტკბილი, უეცარი სიკვდილი, რომელსაც შენთვის იმზადებდი. მომეცი შენი ხელი!... უკანასკნელ წაშს, როცა მე ვალე ბნელეთის ჭიშკარს, საიდანაც უკან არავინ მობრუნებულა, მინდა გითხრა ამ ხელის ჩამორთმევით, თუ რარიგ ძლიერ მიყვარდი და მეცოდებოდი. ძმა აღრე მომიკვდა და ჩემს გულში მისი ადგილი შენ დაიკავე. შენი გული კი ამის წინააღმდეგ წავიდა, ამით კი ის შენც გტანჯავდა. მეც მაწამებდა და უფრო მაურვალედ მოითხოვდა იმას, რაც შენთვის არ იყო განკუთვნილი. მომიტევე... მშვიდობით! ნება მიბოძე, ძმა გიწოდო! ეს ისეთი სახელია, რომელშიაც ბევრი რამ იგულისხმება. მიიღე წრფელი გულით მოძღვნილი მშვენიერი ყვავილი უკანასკნელი გამოთხოვებისა... მიიღე ჩემი კოცნა! სიკვდილი ყველაფერს აერთებს, ბრაკენბურგი, ის ჩვენც შეგვაერთებს.

ბ რ ა კ ე ნ ბ უ რ გ ი. მაშ მეც ნება მიბოძე მოვკვდე შენთან ერთად! გაიყავი, გაიყავი ეგ საწამლავი. იგი კმარა ორი სიცოცხლის ჩასაქრობად.

კ ლ ე რ ხ ე ნ ი. არა, შენ დარჩი! შენ უნდა იცოცხო; შენ სიცოცხლე კიდევ შეგიძლია. დარჩი დედაჩემთან. უშენოდ მას სიღარიბით სული ამოსძვრება. გაუწიე ჩემი მაგივრობა, იცოცხლეთ ერთად და ორივემ დამიტირეთ. დაიტირეთ სამშობლო და ის ადამიანი, ვისაც შეეძლო მისი დაცვა! დღევანდელი თაობა თავს ვერ დაიხსნის ამ უბედურებისაკან. თვით რისხვით ანთებული შურისძიებაც კი ვერ განკურნავს მას. იცოცხლეთ, თქვე საწყლებო, გალეთ როგორმე ეს დრო, რომელსაც არც კი შეიძლება ვუწოდოთ ეს სახელი. დღეს უეცრად შეჩერდა ქვეყნიერება, შედგა მისი წრიული სხვლელობა და ჩემი მაჯისცემაც რამდენიმე წამის შემდეგ შეწყდება. მშვიდობით!

ბ რ ა კ ე ნ ბ უ რ გ ი. ო, იცოცხლე შენც ჩვენთან ერთად, ჩვენ

ხომ მხოლოდ შენთვის ვცოცხლობთ. შენი სიკვდილი ჩვენც ბოლოს მოგვიღებს. იცოცხლე და იტანჯე! ჩვენ, ორივე. განუყრელად გედგებით გვერდში და ჩვენი მზრუნველი სიყვარული დაგამშვიდებს თავის მზურვალე მოხვევებით. იყავი ჩვენი! ჩვენი! იმის თქმასაც კი ვერ ვბედავ, ჩემი-მეთქი.

კ ლ ე რ ხ ე ნ ი. ჩუმად, ბრაკენბურგი. შენ ვერა გრძნობ, როგორ მიკლავ გულს მაგ სიტყვებით. სადაც შენ იმედი გეჩვენება, იქ ჩემთვის მხოლოდ სასოწარკვეთილებაა.

ბ რ ა კ ე ნ ბ უ რ გ ი. მაშ შენც იმედი გაიყავი ცოცხლებთან ერთად. შესდექ უფსკრულს პირას, შიგ ჩაიხედე, შემდეგ ისევ ჩვენ შემოგვედე.

კ ლ ე რ ხ ე ნ ი. მე უკვე გავიმარჯვე, ხელახალი ბრძოლისაკენ ნულარ მომიწოდებ.

ბ რ ა კ ე ნ ბ უ რ გ ი. რარიგ დაბრმავებული ხარ; სიბნელით მოცული ხსნას ეძიებ ღამის წყვდიადში. ჯერ ყოველი სხივი არ გამქრალა. კიდევ დადგება ნათელი დღე!..

კ ლ ე რ ხ ე ნ ი. ვაი, შე უბედურო, რარიგ ძლიერ შატკინე გული! რა შეუბრალებლად ჩამომგლიჯე თვალთაგან საფარველი. დიახ, კიდევ დადგება ნათელი დღე! ამაოდ შეეცდება იგი დაიმალოს ღრუბლებში, მაინც გათენდება. შიშით იცქირება თანჯრიდან მოქალაქე, ღამე მხოლოდ შავ ლაქას დასტოვებს: ის იცქირება და დილის რიჟრაჟში ხედავს, რა საშინლად იზრდება სასიკვდილო ფიცარნავი. მის გვერდით კი მეორედ ჯვარცმული და შეგინებული ხატი მაცხოვრისა მავედრებელი თვალებით შეჰყურებს მამალმერთს. მზე ამოსვლას ვეღარ ბედავს, არ სურს აღნიშნოს ის წამი, როცა ეგმონტი უნდა მოკვდეს. ისრები ზანტად მოარაობენ თავიანთ დისკოზე და საათი რეკავს გამუდმებით. შეჩერდი! შეჩერდი! ახლა კი დროა! დილის მოახლოება მიმაჩქარებს სამართისაკენ. (მივა ფანჯარასთან და ჩუმად დაღვეს საწამლავს.)

ბ რ ა კ ე ნ ბ უ რ გ ი. კლარა! კლარა!

კ ლ ე რ ხ ე ნ ი (მიდის მაგიდასთან და წყალს სვამს). აქ კიდევ დარჩა! არ გიწვევ, რომ უკან გამოიყვე. მოიქეცი ისე, როგორც საჭიროდ ჩასთვალო მშვიდობით! წყნარად ჩააქრე ეს ღამა. ნუ გეშინია. მე მცვლივარ მოსასვენებლად. ჩუმად გაიპარე და კარი მაგრად მიიკეტე! დედაჩემი არ გააღვიძო. წადი, თავს უშველე, თუ არ გინდა, ჩემს მკვლელად ჩავთვალონ. (გაღის.)

ბ რ ა კ ე ნ ბ უ რ გ ი. იგი ახლაც თავიდან მიცილებს, როგორც

ყოველთვის. ოჰ, ვინმე იგრძნოს მაინც, როგორ შესძლო მან შეყვარებული გულის დაფლეთა. მიმატოვა, მარტოდმარტო ვლდევარ მე ახლა. სიკვდილი და სიცოცხლე ახლა ჩემთვის ერთნაირად საძულველია. რარიგ ძნელია მარტოდ სიკვდილი!.. ო, სტიროდეთ, შეყვარებულნი! ამქვეყნად ჩემზე უბედური აღარავინ არის! იგი მიზიარებს სიკვდილის წვეთებს და თან ხელსა მკრავს, მიცილებს სამუდამოდ! ის ხელს მიქნის თავისკენ და თან უკუმადებს სიცოცხლისაკენ. ო, ეგმონტი, რა მშვენიერი ხვედრი გერგო! იგი წინ მიგიძღვება. მისი ხელიდან მიიღებ შენ გამარჯვების გვირგვინს, ის წინ შეგეგებება და გადმოგცემს მთელ თავის ზეცას! ნუთუ უნდა მას უკან გავყვე? ისევ განზე გამდგარი დავრჩე და იმ ქვეყნადაც ვიგრძნო ეს დაუცხრომელი შური? ამქვეყნად მე აღარაფერი დამრჩენია; ჯოჯოხეთი და ზეცა ერთნაირ ტანჯვას მთავაზობენ. ო, რა სასურველი სტუმარი იქნებოდა ჩემებრ უბედურისათვის განადგურების საშინელი ხელის შეხება! ბრაკენბუღი გადის. რამდენიმე ხანს სცენა ცარიელი რჩება. მოისმის კლერხენის სიკვდილის მაუწყებელი მუსიკა. ლამაზა, რომლის ჩაქრობა ბრაკენბურგს დაავიწყდა, რამდენჯერმე აციმციმდება და ქრება. სცენა იცვლება.

### საკჰრობილე

ეგმონტი. სძინავს საწოლზე. მოისმის გასაღების ჩხატინი. კარი გაიღება. შემოდის მსახურები ხელში ჩირაღდნებით; მათ მოსდევნენ ფერდინანდი, ალბას შვილი, და სილვა, რომელთაც შეიარაღებული კაცები შემოაქვებიან. ეგმოტი უცბად გამოიღვიძებს.

ეგმონტი. ვინ ხართ, ასე მოურიდებლად რომ დამიფრთხეთ ძილი? რას მაუწყებენ თქვენი მოუსვენარი და მკაცრი თვალები? რას ნიშნავს თქვენი საშინელი გამოცხადება? რა საზარელ სიზმრად მოევლინეთ ჩემს ნახევრად მთვლემარე სულს?

სილვა. ჩვენ გამოგვზავნა ჰერცოგმა, რომ გაუწყობ შენი განაჩენი.

ეგმონტი. ჯალათიც ხომ წაშოიყოლე, რომ განაჩენი სისრულეში მოიყვანოს?

სილვა. მოისმინე და გაიგებ, რაც მოგელის.

ეგმონტი. თქვენ და თქვენს სამარცხვინო განზრახვას ასე შეჭყერის. ღამით ნაფიქრალ ღამითვე ასრულებენ ხოლმე. უსამართლობის უსირცხვილო მოქმედება თავს ასე უფრო იოლად

დაიმაღავს. მაშ თამამად წარმოდგეს, ვისაც მოსახამქვეშ ხმალი აქვს დამალული; აი. აქ არის ჩემი თავი, ყველაზე თავისუფალი იმ თავთა შორის, რომლებიც კი ტირანიას ოდესმე მოუცილებია ტანისაგან.

სილვა. შენ სცდები. იმას, რაც მოუსყიდველმა მოსამართლეებმა გადაწყვიტეს, დღის სინათლეს არ დაუმაღავენ!

ეგმონტი. მაშ უსირცხვილობამ ყოველგვარ ფიქრს და მოსაზრებას გადააჭარბა.

სილვა (გამოართმევს ერთ-ერთ მის გვერდით მდგარ კაცს განაჩენს და კითხულობს). „მეფის სახელითა და მისი უდიდებულესობის მიერ ჩვენზე გადმოცემული უფლების ძალით, განესაჯოთ ყველა მისი ქვეშევრდომი, რა წოდებასაც არ უნდა ეკუთვნოდეს, თუნდაც ოქროს საწმისის ორდენის რაინდი იყოს“...

ეგმონტი. განა მეფეს შეუძლია თავისი უფლება სხვას გადასცეს?

სილვა. „დაწერილებით, საფუძვლიანი გამოძიების შემდეგ ჩვენ გცანით შენ, ჰაინრიხ გრაფ ეგმონტი, პრინცო გავრისა, სახელმწიფოს მოღალატედ და გამოგიტანეთ განაჩენი, რომ ხეალ განთიადის დადგომისას საპყრობილიდან გამოგიყვანონ ბაზრის მოედანზე და იქ, ხალხის წინაშე, ყველა მოღალატის დასაშინებლად, მახვილით თავი მოგკვეთონ. განაჩენი ესე გამოტანილია ბრიუსელს. (თვისა და წლის თარიღს კითხულობს ისე გაურკვევლად, რომ მსმენელს მისაგება არ შეუძლია.) ფერდინანდ, ჰერცოგ ალბა, თავმჯდომარე თორმეტის მოსამართლისა“. ახლა უკვე იცი შენი ბედი, ცოტა დროა დარჩა, შენი საქმეები რომ მოგვარო და შენიანებს გამოეთხოვო. (კადის ახალის თანხლებით, რჩება ხოლოდ ფერდინანდი; ორი დატოვებული ჩირაღდანი ძლივს ანათებს სცენას.)

ეგმონტი (რაღენიმე ხანს დგას უძრავად, დრმა ფიქრში ჩაფლული, ისე, რომ სილვს წასვლას ვერც კი ამჩვენს. მას ჰგონია მარტოა და, როცა აიხედავს, შეამჩნევს ალბას შვილს). შენ კიდევ აქ დგეხარ? გსურს, შენი აქ ყოფნით ჩემი გაოცება, ჩემი შემწვითება უფრო მეტად გააძლიერო? გსურს, კიდევ უფრო სასიამოვნო ამბავი მიუტანო მამაშენს, რომ მე ქალივით სასოწარკვეთილებას მივეცი თავი? წადი! უთხარი! უთხარი ალბას, რომ იგი ვერც მე მომატყუებს და ვერც ქვეყანას. მას, დიდების მაძიებელს, ჯერ ზურგს უკან მოესმება ჩემი ლაპარაკი, შემდეგ ხმას უფრო და უფრო აუწყვენ და ბოლოს,

როცა იგი ოდესმე ამ მწვერვალთან ძირს გადმოვა, ათასეული ხმა შესძახება, რომ ის აქ მოსულა არა სახელმწიფოს კეთილდღეობის გულისათვის, არც მეფის ღირსების დასაცავად და არცთუ პროვინციების დასამშვიდებლად. მხოლოდ თავისი სარგებლობის გულისათვის ირჩია მან ეს ბრძოლა, რომ მეომარმა ომში სახელი მოიხვეჭოს. მან ეს საშინელი აურზაური მხოლოდ თავისი საჭიროების გულისათვის ასტეხა. მე კი მის სულმდებალ სიძულვილსა და წერილმან შურისძიებას ვეწირები მსხვერპლად. დიახ; მე ეს ჩინებულად ვიცი და სასიკვდილოდ განწირულს ამ ს თქმა თამამად შემძლია: ალბა შურით აღიძრა ჩემზე, ჩემი დაღუპვა მას დიდი ხანია განზრახული, გადაწყვეტილი ჰქონდა. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჩვენ, პატარები, კამათელს ვთამაშობდით და მისი ოქროები გროვა-გროვად ჩემსკენ მოსრიალბდნენ, ეს გამძვინვარებული იდგა ხოლმე, თუმცა გარეგნულად სინშვიდეს ინარჩუნებდა; მას ჩემა ბედნიერება უფრო მეტად აგულისებდა, ვიდრე თავისი წაგება. ახლაც მახსოვს მისი ნალვერდალივით მობრიალე თვალები და ლალატში მხილებული კაცივით ფერის დაკარგვა, როცა ერთ სახალხო დღესასწაულზე უამრავი ხალხის თანდასწრებით სროლაში ერთმანეთს შეეჯიბრეთ. ალბამ მე შეჯიბრში გამომიწვია. ორივე ხალხი—ესპანელები და ნიდერლანდელები ერთმანეთს ენიძლავებოდნენ და ნატრობდნენ თავისი წარმომადგენლის გამარჯვებას. მე მას ვაჯობე. ალბას გასროლილი ტყვია მიზანში ვერ მოხვდა, მე კი მოვარტყი. ჩემიანების მეგობრულმა შეძახილებმა და სიცოცხარხარმა ჰაერი შეაზანხარა. ახლა მე მომხვდა მის მიერ გამოსროლილი ტყვია. გადაეცი ალბას, რომ ამას კარგად მივხვდი, რომ ვიცნობ მას და რომ ქვეყანას ეზიზღება გამარჯვების ყოველგვარი ჯილდოები, რომელთაც სულმოკლე ადამიანები მოტყუებით შოულობენ. შენ კი, თუ შელისათვის შესაძლებელია მამის კვალს გადაუხვიოს, შეეჩიე სირცხვილს, გრცხვენოდეს იმისა, ვის პატივისცემასაც სულითა და გულით ისურვებდი.

ფერდინანდი. მე შენთვის არ შენიწყვეტინებია, ყოველივე ისე მოგისპინე; შენი საყვედურები ისეთი სიმძიმით დამაწვა, თითქოს მუხარადან თავზე ხელკეტი დამარტყესო. კანკალმა ამიტანა, მაგრამ იარაღი არ დამიყრია. შენ მომარტყა. მაგრამ ვერ დამქერი. მე მხოლოდ ტკივილს ვგრძნობ, ასე რომ მიფლეთს გულს! ვაიმე! ვაგლახ! ამის სანახავად გავიზარდე, ასეთი სამარცხვინო საქმისათვის გამომგზავნეს აქ!

ეგმონტი. ჩივილსა და გოდებას მოჰყევი? რა გაწუხებს, რამ შეგაშფოთა? იქნება ეს დაგვიანებული მონანიებაა, იმ სამარცხვინო შეთქმულებას რომ ხელი შეუწყვე? შენ ასე ახალგაზრდა, ასეთი მშვენიერი გარეგნობისა, რარიგ გულახდილი იყავი ჩემთან, რარიგ მეგობრულად განწყობილი. როცა შენ დაგინახავდი, მამაშენს ვურიგდებოდი ხოლმე. შენ კი ასე მუხანათურად, მამაშენზე უფრო მეტად მუხანათურად, შემიტყუე ხაფანგში. ჰოი, რარიგ საზიზღარი ხარ! ვინც ალბას ენდობა, ის თავს აშკარა საფრთხეში იგდებს. მაგრამ ვის შეეძლო საფრთხისა შეშინებოდა, რომ შენ მოგნდობოდა? გასწი! გასწი! ამ მცირეოდენ წამებს მაინც ნულარ წარმტაცებ. წადი, რომ ჩემს თავს ისევე დავუფლო და დავივიწყო მთელი ქვეყანა, უპირველეს ყოვლისა, კი შენ დაგვივიწყო.

ფერდინანდი. რა უნდა გითხრა? ვდგევარ და გიმზერ, გიმზერ და ვერა გხედავ, საკუთარ თავსაც კი ველარა ვგრძნობ თავი უნდა გავიმართლო? უნდა დაგარწმუნო, რომ ასე გვიან, ბოლოსლა შევიტყუე მამაჩემის განზრახვა, რომ მე ვმოქმედებდი ჩემივე ნების წინააღმდეგ, როგორც მისი მორჩილი იარაღი? რაღა სარგებლობას მომიტანს ის, თუ რა შეხედულებისა დაჩემა ჩემზე? შენ ხომ უკვე დაღუპული ხარ. მე კი, უბედური, აქ ვდგევარ მხოლოდ იმისათვის, რომ ამაში დაგარწმუნო, რომ შენ დაგვიტირო.

ეგმონტი. რა არაჩვეულებრივი სიტყვები მესმის, ეს რა მოულოდნელი ნუგეში მხედება სამარისკენ მიმავალ გზაზე? შენ, შვილს ჩემი უპირველესი, ჩემი ერთადერთი მტრისას, ასე გებრალეები და არ იმყოფეაი ჩემს მკვლელებს შორის? სთქვი, მითხარი, რად დაკსახო?

ფერდინანდი. სასტიკო მახავ! დიახ, ახლა მივხვდი მე შენს ბრძანებას. შენ იცნობდი ჩემს გულს, ჩემს აზრებს, რომელთაც ხშირად ჰკიცხავდი, როგორც შემკვიდრეობით გადმოცემულს ნაზი დედისგან; შენ ხომ ასე ხშირად მისაყვედურებდი გულჩვილობისათვის. აქაც იმისათვის გამომგზავნე, რომ ისეთივე გახდე, როგორიც თვითონა ხარ. შენ მაიძულე მეხილა პირდაღებულ სამარის პირას მდგარი ადამიანი, რომ ძლიერი ტკივილი მეგრძნო და უგრძნობელი გავმხდარიყავი ყოველგვარი ბედის მიმართ და, რაც არ უნდა მომხდარიყო, გულგრილად შემეხედა ყოველივესთვის.

ეგმონტი. პირდაპირ გახციფრებული ვარ! თავი შეიკავე! დადექ, ილაპარაკე. როგორც მამაკაცს შეჰფერის.

ფერდინანდი. ოჰ, ნეტავი დედაკაცი ვყოფილიყავი, რომ

ჩემთვის ეკითხათ: „რა გაღელვებს, რა დაგემართა?“ დამისახელე ამაზე უფრო დიდი, საშინელი, გაუგონარი უბედურება, გამხადე შოწმე ამაზე უფრო შემაზარავი დანაშაულის, მაშინ დაგამიდლებდა ასე გეტყვი, ეს არაფერია-მეთქი!

ეგმონტი. შენს გონებაზე აღარა ხარ? რა მოგივიდა?

ფერდინანდი. დაე თავი აიშვან ჩემმა გრძნობებმა. ნება-შომეცი, თავისუფლად წარმოვთქვა, რაც მაწუხებს. არ მინდა, ვინმეს უგრძნობელი ვეგონო, როცა ჩემს სულში მწუხარების ქარი-შხალია. შენ აქ უნდა გხედავდე?.. შენ?.. ეს ხომ საშინელებაა! შენ ჩემი არ გესმის... თუმცა ან როგორ გამიგებ? ეგმონტი! ეგმონტი! (ყვლზე ჩამოკიდება.)

ეგმონტი. აჩხსენი ეგ საიდუმლო!

ფერდინანდი. საიდუმლო არაფერია.

ეგმონტი. ასე ძლიერ რად გაღელვებს ბედი უცხო ადამიანისა?

ფერდინანდი. როგორ თუ უცხო! შენ ჩემთვის უცხო არა ხარ. შენი სახელი ყმაწვილობიდანვე მინათებდა ვარსკვლავის მსგავსად. რა ხშირად მსმენია შენზე, რა ბევრჯერ მიკითხავს შენი ამბავი! ყმაწვილის ოცნება ჭაბუკობაა, ჭაბუკისა კი ვაჟკაცობა. ასე მიდიოდი ჩემს წინ, მუდამ ჩემს წინ, მე კი შურალუძრევლად გყურებდი ყოველთვის წინ მიმავალს და უკან მოგდედი. ახლა კი, ბოლოს, იმედი მომეცა შენი ნახვისა, განახე კიდევაც და ჩემი გული ფრენით შეგეგება. ჩემი გული ყოველთვის შენსკენ მოიწვევდა და როდესაც გიხილე, ხელმეორედ შენ ავირჩიე; მაშინ იმედი მომეცა, ხშირად განახავდი, შენა გვერდით ვიცხოვრებდი, გაგიგებდი—მაგრამ ყოველივე ეს გაქრა და ახლა აქ გხედავ!

ეგმონტი. ჩემო მეგობარო, თუ ამას შეუძლია გასიამოვნოს, მაშინ დამერწმუნე, რომ პირველი ნახვისთანავე ჩემმა სულმა შენსკენ გამოსწია. ყური მათხოვე, მოდი ერთმანეთს რამდენიმე სიტყვა დამშვიდებით ვუთხრათ: მამაშენს მართლა მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ჩემი მოკვლა?

ფერდინანდი. მტკიცედ.

ეგმონტი. ნუთუ ეს განაჩენი მხოლოდ უბრალო განზრახვა არ არის, რომ შემაშინოს, დამსაჯოს შიშითა და დამუქრებით, დამამციროს და შემდეგ კვლავ აღმაჯევოს მეფის წყალობით?

ფერდინანდი. არა! სამწუხაროდ, არა! პირველად მეც თავს ვიტყუებდი ამგვარი იმედით. მაშინაც შიშსა და გულისტკი-

ვილს ვგრძნობდი, რომ ამ ყოფაში გიხილავდი. ახლა კი ყველაფერი ეს აშკარა სინამდვილეა. არა, აღარ შემიძლია საკუთარ თავს დავეუფლო. ვის შეუძლია, ვინ მომცემს რჩევას, როგორ გამოვიდეთ ამ გამოუვალ მდგომარეობიდან?

ეგმონტი. თუ ასეა, მომისმინე! თუ შენი სული ასე ძლიერ მიისწრაფის ჩემს დასახსნელად და ზიზღსა გვერის ეს ძალმომრეობა, მე რომ ბოროტები დამადო, ძიხსენი მაშინ. ეს წამები მეტად ძვირფასია. შენ შეილი ხარ ყოვლისშემძლე ადამიანისა და თვითონაც ძლიერი... მოდი, გავიქცეთ! მე ვიცი გასასყლელი გზა! შენ კი არ შეიძლება საშუალებანი არ იცოდე. მხოლოდ ეს კედლები, მხოლოდ რამდენიმე მილი მაშორებს ჩემი მეგობრებისაგან. შემხსენი ეს ბოროტები, მიმყვანე მათთან და გადმოდი ჩვენს მხარეზე. ხელმწიფე ოდესმე დაგიპაღლებს ჩემს გადარჩენას. ახლა ის თავზარდაცემულია და შეიძლება ყოველივე ეს არც კი იცის. მამაშენმა თავისი ნებით გაბედა ჩემი შეპყრობა და მისმა უდიდებულესობამ უნდა დაამტკიცოს მომხდარი ამბავი, თუმცა მას ეს აძრწუნებს. შენ ჩაფიქოდი? გამომიძებნე გზა თავისუფლებისა! მითხარ და განმიმტკიცე იმედი ჯერ კიდევ ცოცხალი გულისა!

ფერდინანდი. კმარა! კმარა! ყოველა სიტყვით აღიდებ ჩემს სასოწარკვეთილებას. აქედან გამოსავალი აღარ არსებობს. არავითარი ხსნა, არავითარი იმედი გაქცევისა... აი, რა მაწამებს, რა მტანჯავს და მიძიძგნის გულს ბასრი კლანჭებით. მე თვითონ გავაბი ეს ბადე და ვაცი, რა მაგარი კვანძებიც აქვს; ვიცი, აქ არავითარი გამბედაობა და ცბიერება აღარ გავა. მე ვგრძნობ, როგორ მაქვს ხელ-ფეხი შეკრული შენთან და ყველა დანარჩენებთან ერთად. განა ასეთ მოთქმასა და ჩივალს დავიწყებდი, რომ ყოველივე არ მეცადა? მამაჩემს ფურხთით ჩაფუარდი, ვთხოვე, ემუდარე. მან კი აქ გამომგზავნა, რომ რაც სიცოცხლის ხალისი და სიხარული გამაჩნია, ამით დამემსხვრეს.

ეგმონტი. მაშ არავითარი ხსნა აღარ არის?

ფერდინანდი. არავითარი.

ეგმონტი (ფხს დაჰკრავს). არავითარი ხსნა!.. ტუბილო სიცოცხლე! დიდებულო ჩვეულებავ არსებობისა და მოქმედებისა, უნდა გამოგეთხოვო! ასე უნდა გამოგეთხოვო! არა ბრძოლის აურზაურში, არა იარაღის ხმაურში, როცა დიდი ალიაქოთია ატენილი, მემშვიდობები შენ; სასწრაფოდ, უეცრად როდი მეთხოვები



და მიმოკლებ განშორების წუთებს. უნდა მაგრად ჩამოგართვა ხელი, ერთხელ კიდევ ჩაგხედო თვალებში, რომ ცოცხლად ვიგრძნო შენი მშვენიერება, შენი ღირსება. მხოლოდ მაშინ გაგეცლები გაზედულად და გეტყვი: „მშვიდობით!“

ფერდინანდი. მე კი უნდა გვერდით გედგე, გიყურო და არ შემეძლოს შენი გაჩერება, შენი შეკავება. როგორი წამოძახებით შეიძლება გამოითქვას ეს მწუხარება! რომელი გულის ბორკილებს არ დაამსხვრევს ამგვარი გოდება?

ეგმონტი. დამშვიდდი!

ფერდინანდი. შენ შეგიძლია დამშვიდდე და ისე გამოეცხოვო სიცოცხლეს, შენ შეგიძლია აუცილებლობასთან ხელიხელჩაკიდებულმა გასწიო წინ გმირული ნაბიჯით. მე რა შემიძლია? რა უნდა ვქნა? შენ საკუთარ თავსაც დასძლევ და ჩვენზეც გაიმარჯვებ; შენ აიტან; მე კი შენც მოგინებ და საკუთარ თავსაც. შენთან შეჯიბრის სიხარულში დავკარგე ჩემი სინათლე და ბრძოლის აურზაურში ხელიდან გამივარდა ჩემი ბაირალი. მწუხარე, ცარიელი და უმიზნო ჩეჩვენება მომავალი.

ეგმონტი. ჭაბუკო მეგობარო, იშვიათი ბედის მეოხებით ერთდროულად რომ გპოულობ და გკარგავ კიდევაც, ჩემთვის რომ ასე გული გეწვის და იტანჯები, დამაკვირდი ამ უკანასკნელ წამებში და არ დამკარგავ მაშინ. თუ ჩემი სიცოცხლე შენთვის ის სარკე იყო, რომელშიც საკუთარ თავს სიამოვნებით ათვალიერებდი, დაე იმ სარკედ გამოგადგეს ჩემი სიკვდილიც. ადამიანები მხოლოდ მაშინ კი არ არიან ერთად, როცა ერთად ცხოვრობენ ხოლმე, არამედ ჩვენგან განშორებულმა, შორს წასულმაც შეიძლება იცოცხლოს ჩვენთვის. მე აწ შენთვის ვიცოცხლებ; რაც ვიცოცხლე, ჩემთვის ისაც საკმარისია. ყოველი დღე ჩემთვის სიხარულის მომტანი იყო; ყოველდღე ვისწრაფოდი შეუნებელი მოღვაწეობით მომეხადა ჩემი ვალი, როგორც ამას საკუთარი სინდისი მიკარნახებდა. ახლა კი თავდება ჩემი სიცოცხლე, როგორც ეს ადრე, უფრო ადრე შეიძლებოდა გრაველინგენის ქვიშაზე დამთავრებულიყო. მე ვამთავრებ სიცოცხლეს, მაგრამ ხომ ვიცხოვრე უკვე. ასე იცხოვრე შენც, ჩემო მეგობარო, სიამოვნებითა და სიხარულით, სიკვდილისა ნუ გეშინია!

ფერდინანდი. შენ შეგიძლია, შენ ვალდებული იყავი შენი თავისა და ჩვენი გულისთვის გაფრთხილებოდი სიცოცხლეს. ახლა კი თავი თვითონ მოიკალი. ხშირად მსმენია, როცა შენზე საუბ-

რობდნენ ჩვენი კაცები, მტრებიცა და მოყვარენიც; ისინი დიდხანს კამათობდნენ შენს ღირსებაზე; მაგრამ საბოლოოდ ყველანი ერთ რამეზე თანხმდებოდნენ ხოლმე: ვერც ერთი მათგანი ვერ ზედადა სიცრუე ეთქვა, ყველა ამას აღიარებდა—ღიას, ის საშინაო გზაზეა შემდგარიო. რა ხშირად მსურდა, რომ გამეფრთხილებინე. განა არც ერთი მეგობარი არა გყავდა?

ეგმონტი. უკვე გამაფრთხილეს.

ფერდინანდი. დაკითხვის ოქმში სიტყვასიტყვით ამოვიკითხე ყველა ეს ბრალდება და იქვე თვალი გადავაგლე შენს პასუხებსაც. ისინი საკმარისნი არიან მხოლოდ იმისათვის, რომ ბოღნიში მოიხადონ, ბრალდებისაგან კი ვერ დაგიხსნიან.

ეგმონტი. თავი დავანებოთ მაგას. კაცს სჯერა, რომ ის თავისუფალია თავის მოქმედებაში და თავის ცხოვრებას თვითონ მართავს, სინამდვილეში კი მისი სული შეუჩერებლად მიექანება ბედისწერისაკენ. ნულარ ვიფიქრებთ ამაზე! ამგვარ აზრებს მე იოლად გამოვეთხოვები... ჩემთვის უფრო სამძიმოა, თავიდან მოვიცილო საკუთარ სამშობლოზე ფიქრი. რომ ვიცოდე, ჩემი სისხლი მრავალთათვის დაიქცევა და ჩემს ხალხს მშვიდობას მოუტანს, მას სიამოვნებით დავანთხევდი. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდება. მაგრამ კაცი ბევრ ბჭობას და თავისმტკრევას არ უნდა გადაჰყვეს, როცა მეტის გაკეთება არ შეუძლია. თუ ძალგდის შეაჩერო მამაშენის გამანადგურებელი ძალა, ჰქმენი ეს. მაგრამ ამას ვინმე შეიძლებს? მშვიდობით!

ფერდინანდი. მე არ ძალმიძს აქედან წასვლა.

ეგმონტი. შენ გაბარებ ჩემს მსახურებს. კარგი ხალხია. მფარველობა გაუწიე; არ გაითანტონ, არ გაუბედურდნენ. როგორ არის ჩემი მდივანი რიხარდი?

ფერდინანდი. მან შენ გაგასწრო. როგორც სახელმწიფოს მოლაღატეს, თავი მოჰკვეთეს...

ეგმონტი. უბედური!.. კიდევ ერთი სიტყვა უნდა გითხრა და მერე მშვიდობით. მეტი აღარ ძალმიძს. რაც არ უნდა მეტბრძოლი სული გვედგას, ბუნება ბოლოს მაინც თავისას მოითხოვს. როგორც გველებით შემოხვეული ბავშვი ენერგიის აღმდგენი ძილით განცხრომას ეძლევა ხოლმე, ასევე დაღლილი მგზავრიც სიკვდილის ქიშკართან ერთხელ კიდევ წამოწვება დასასვენებლად და ღრმა ძილს მიეცემა, თითქოს წინ კიდევ გრძელი გზა ჰქონდეს გასავლელი. აი, კიდევ რა უნდა გითხრა! მე ვიცნობ ერთ ქალიშვილს. ნუ

შეიზიზღებ მას იმისათვის, რომ ჩემი იყო. ახლა შენ გაბარებ და დამშვიდებით ვკვდები. კეთილშობილი ადამიანი ხარ, ის ქალი კი, ვინც შენ გპოებს, უზრუნველი იქნება მუდამ. ნეტავი ჩემი მოხუცი ადოლფი ცოცხალია? თავისუფალია?

ფერდინანდი. ის მხიარული მოხუცი, თქვენ რომ მუდამ ცხენით დაგყვებოდათ ხოლმე?

ეგმონტი. სწორედ ის.

ფერდინანდი. ცოცხალია, თავისუფალი.

ეგმონტი. მან იცის იმ ქალის ბინა, უთხარი და წაგიყვანს მასთან; დაჯილდოვე სიკვდილამდე წყალობით, რომ მან იმ საუნჯის გზა გიჩვენა... მშვიდობით!

ფერდინანდი. არ წავალ!

ეგმონტი (კარებამდე ძალით მიიყვანს). მშვიდობით!

ფერდინანდი. ცოტა ხანს კიდევ დავრჩები!

ეგმონტი. წადი, მეგობარო, გამოუმშვიდობებლად!

(კარებამდე მიაცილებს ფერდინანდს და ძლივს დააღწევს თავს მისი ხელიდან. ფერდინანდი აჩქარებით მიდის.)

ეგმონტი (მარტო). ბოროტო კაცო! ფიქრადაც არ მოგსვლია, რომ ამ სიკეთეს მიზამდი შენი შვილის გამოგზავნით. მისი წყალობით თავი გაეი თავისუფლე ფიქრისა და მწუხარებისაგან, შიშისა და ყოველგვარი საშინელებისაგან. მშვიდად და დაუინებით მოითხოვს ბუნება თავის უკანასკნელ ხარკს. ყველაფერი გათავდა. ყოველივე გადაწყვეტილია! ის ექვები, რაც მე ამ უკანასკნელ ღამეს ჩემს საწოლში მაწრიალებდა და მოსვენებას არ მაძლევდა, ჩემთვის უკვე ცნობილი გახდა და ჩემს დამშვიდებულ გრძნობებს ახლა ნანას ეუბნებიან.

(დაჯდება საწოლზე. მოისმის მუსიკის ხმა.)

ტბილო ძილო! შენ მოდიხარ, როგორც წმინდა ბედნიერება, უთხოვრელად, შენივე ნებით. შენ ხსნი კვანძებს ჩემი შავი ფიქრისას და ერთად რევ სიხარულისა და მწუხარების ყველა სურათს; შეუჩერებლად მომდინარეობს წრე შინაგანი ჰარმონიისა და, სასურველ უაზრობას მრცემულნი, ვიძირებით არარაობაში.

(ეგმონტი დაიძინებს; მუსიკა აწყვება მს თვლენაში. მისი საწოლის უკან კედლები თითქოს გარხსება და წარბოდება ბრწყინვალე მოჩვენება, ღრუბლებზე

ისვენებს თეთრი სამოსელითა და ციური შარავანდდით შემოსილი თავისუფლება. მას კლერენის სახე აქვს, იგი დაიხრება მძინარე გმირისაკენ. მისი სახე მწუხარებითაა აღბეჭდილი, ჩნს, ეგონტი ძლიერ ეცოდება. მაგრამ მალე დასწევს მწუხარე გზობა და მიუთითებს მას ისრებით კონახე, კვერთხსა და ქუდზე. იგი ეგმონტს მოუწოდებს გზიარულდეს და ანიშნებს, რომ მსო სიკვდილი თვისუფლებას მოუტანს პროვინციებს. კლერენი მას სცნობს გმარჯვებულად და გაუწოდებს დაფნის გვრავის. როგორც კი დაფნის გვირგვინი ეგმონტის თავს მიუახლოვდება, ეგმონტი შეჩვენება, როგორც ძილში შემოფოთებული ადამიანი, გადმობრუნდება და წვეს კლერენისაკენ სახეშეცვლილი. კლერენს გვირგვინი ეგმონტის თავს ზემოთ უპყრია. შორედან მოისმის სამხედრო მუსიკის, დაფნისა და ფორტეპიანოს ხმები. ამ მუსიკის პირველივე ხმებია გაგონებაზე მოჩვენება ქრება. მუსიკის ხმა თანდათან ძლიერდება. ეგმონტი გამოიღვიძებს. საყრბობილე ოდნავ განათებულია განთიადი უქეთო. იგი მაშინვე თავზე ხელს იტაცებს, ადგება და ირგვლივ იმზირება, თან ხელი შუბლზე აქვს მიდებული.)

გვირგვინი გაქრა. ო, მშვენიერო მოჩვენებაე, როგორ შეგაშინა დღის სინათლემ! დიახ, ისინი იყვნენ, ერთმანეთთან შეერთებულნი, ორივე ურკბესი სიხარული ჩემი გულისა. ღვთაებრივმა თავისუფლებამ ჩემი სატრფოს სახე მიიღო; მშვენიერი ქალიშვილი შემოსილი იყო მეგობრის ზეციური ტანსაცმლით. ამ სასტიკ წამს ისინი ერთ მოჩვენებად გამოცხადდნენ, უფრო დიდებულ, ვიდრე სანატრელ მოჩვენებად. სისხლიანი ფეხებით მიახლოვდებოდა იგი და მისი მოფრიალე კაბის ნაოჭებიც სისხლით იყო მოწინწყლული. ეს ჩემი სისხლი იყო, სისხლი მრავალი დიდებული ვაჟაკისა. არა, ის ამოდ არ დაქცეულა. გასწი წინ ამ სისხლიან გზაზე, ჩემო მამაცო ხალხო! გამარჯვების ქალღმერთი წაგიძლევბა! და, როგორც აღელვებული ზღვა მას შესაკავებლად შენს მიერ აგებული ჯებირებს გადმოანგრეეს ხოლმე, ასე დაანგრეე მტარვალეზის ციხე-სიმაგრე, ალგავე ისინი პირიდან იმ მიწისა, რომელიც ასე უსამართლოდ ხელთ იგდეს მათ!

(დაფდაფის ხმა ახლოვდება.)

გესმის! ყური დაუგდე! როგორ ხშირად მომიწოდებდა ხოლმე ეს ხმა ბრძოლისა და გამარჯვებისაკენ! რარიგ თავისუფლად მიეჭროდი ბრძოლის ველისაკენ, რა მხნედ მიაბიჯებდნენ ჩემი ამხანაგები ამ საშინელ, სახელოვან გზაზე! მეც გამოვალ ამ ციხიდან დიდებით აღსაესე სიკვდილის შესაგებებლად; მე ვკვდები თავისუფლებისათვის, რომლის გულისთვისაც ეცხოვრობდი და ვიბრძოდი ამქვეყნად, მისი გულისათვის ვწირავ ახლაც სიცოცხლეს ჩემსას.

(სცენის სიღრმეს ესპანელი ჯარისკაცები იკაგებენ, რომელნიც აფთებით არიან შეიარაღებულნი.)

დიახ, ყველანი ერთად გამოიყვანეთ. შეჰკარით რიგები. სულ ერთია, ვერ შემაშინებთ. მიჩვეული ვარ, წვერგამახულ შუბთა წინ ვიდგე და მრისხანე სიკვდილით გარემოცულმა მხნე სიცოცხლეს ვიგონო ორმაგი სიძლიერით.

(მოისმის დაუდაფების ხმა.)

ყოველი მხრიდან ალყას გარტყამს ვერაგი მტერი. ხმლები ელავენ. მხნედ, მეგობრებო! თქვენს ზურგს უკან დგანან მშობლები, ცოლები და შეილები თქვენი!

(ხელს გაიშვებს გუშაგებისაკენ.)

ამათ აქეთ ერეკება მბრძანებლის რიტონი სიტყვა და არა გულოვნება და სიმამაცე; დაიცავით თქვენი მამული და გასწირეთ სიცოცხლე იმისათვის, რაც თქვენთვის ყველაზე ძვირფასია; სიხარულით შეეწირეთ თავისუფლებას, ვით მე გაძლევთ ამის მაგალითს!

(გაისმის დაუდაფის ხმა; როცა ესპანელებს გვერდით გაუვლის და სცენის უკანა კარისაკენ გაემართება, ფარჯა დაეშვება, რის შემდეგ მუსიკა მთავრდება გამარჯვების სიმფონიით.)

